CMYK - 1

www.24saati.ge

# 24 საათი

© გაზეთი 24 საათი | ორშაბათი 12 იანვარი, 2009 წელი. №3 (2041) | ფასი 50 თეთრი

"24 საათის" ფიფქიანი ნომერი
*2424

წლის საუკეთესო ავტომობილი თბილისშია
A5




ვაშინგტონი ისრაელის ბეგმას წინ აღუდგა
A7



TOP 14-ის ქართული სარაგბო დერბი და სხვა ქართველები
A15



# ფეშავარიდან ბათუმამდე:
## აღმოსავლეთ-დასავლეთის დერეფნის რეალიზების დროა




*აშშ-ს სამხედრო-საზღვაო ფლოტი ბათუმში.*

დევიდ ჰ. სმიტი
*სპეციალურად „24 საათისთვის"*

ჰაკიმულა მეჰსუდმა დამაჯერებელი არგუმენტი მოიყვანა აღმოსავლეთის დერეფნის განვითარების სასარგებლოდ, რომელიც საქართველოსა და აზერბაიჯანის გავლით შავი ზღვიდან კასპიის ზღვამდე მიემართება. რამდენიმე კვირის წინ, მისი "თალიბანის" მებრძოლებმა პაკისტანიდან და ავღანეთიდან მომავალ ნატო-ს მომარაგების ბადრაგზე და პაკისტანის ქალაქ ფეშავარში მდებარე მთავარ მატერიალურ-ტექნიკურ ბაზაზე იერიში მიიტანეს. **"მომარაგების მარშრუტების პრობლემა საკმაოდ სერიოზულია,"** – განაცხადა აშშ-ს ცენტრალური სარდლობის მეთაურმა, გენერალმა დევიდ პეტრეუსმა. ამდენად, აშშ-სა და ნატო-ს ოფიციალური პირები პაკისტანური მარშრუტების ალტერნატივებს ეძებენ.

ავღანეთში ნატო-ს 53-ათასიანი კონტინგენტისთვის განკუთვნილი ტვირთის სამი მეოთხედი პაკისტანის პორტ ყარაჩიში იყრის თავს. იქიდან ამ ტვირთის დიდი ნაწილი სატვირთო ავტომობილებით 850 კილომეტრის მანძილზე გადაიზიდება ფეშავარის ჩრდილოეთით, ხიბერის უღელტეხილის გავლით, ქაბულისკენ და მის ფარგლებს მიღმაც. ყოველდღიურად ამ მარშრუტს, დაახლოებით, 150 სატვირთო ავტომობილი გადის.

მათ გარკვეული პრობლემები ექმნებათ პაკისტანის ფედერალურად ადმინისტრირებულ ტომთა რაიონებში – ტერიტორიებზე, რომლებზეც ზედამხედველობას ისლამაბადის მიერ ნომინალურად დანიშნული წარმომადგენლები ახორციელებენ, მაგრამ ეფექტურად კონტროლდება სხვადასხვა კავშირების მქონე ტომთა ბელადების მიერ.

გაგრძელება A3 გვერდზე

## მეორე სუნთქვა აშშ-საქართველოს ურთიერთობებში

დათო გამისონია

*2009 წელი აშშ-საქართველოს ურთიერთობების კიდევ უფრო გაღრმავებით დაიწყო. რამდენიმე დღის წინ ხელმოწერილ "სტრატეგიული პარტნიორობის შესახებ ქარტიაში" ნათქვამია, რომ შეერთებული შტატები და საქართველო შეადგენენ და შეასრულებენ ორგანიზებულ გეგმას, რომლის მიზანიც ნატო-სა და საქართველოს შესაძლებლობების თავსებადობისა და კოორდინაციის ამაღლება, ასევე საქართველოს შეიარაღებული ძალების წვრთნისა და აღჭურვის გაუმჯობესებაა. ქარტიას საფუძვლად უდევს საერთო ღირებულებები და ინტერესები. დოკუმენტში მითითებულია, რომ "თავდაცვისა და უსაფრთხოების სფეროში დემოკრატიათა თანამშრომლობას არსებითი მნიშვნელობა აქვს მშვიდობისა და უსაფრთხოების წინაშე არსებულ გამოწვევებზე ეფექტიანი რეაგირებისთვის. ჩვენი მეგობრობა ეფუძნება ერთიან გაგებას და ერთობლივი რწმენის აღიარებას, რომ დემოკრატია პოლიტიკური ლეგიტიმურობის და შესაბამისად, სტაბილურობის მთავარ საფუძველს წარმოადგენს."*

გაგრძელება A3 გვერდზე

## პროტოკოლი მხოლოდ რუსეთის პოზიციას ეწინააღმდეგება

ხათუნა გაბიევი

კვირას ღამით, უკრაინამ ხელი მოაწერა პროტოკოლს, რომელიც ბუნებრივი გაზის ტრანზიტზე საკონტროლო მექანიზმის შექმნას ეხება, რის გარეშეც რუსული მხარე უკრაინის ტერიტორიის გავლით ევროპისთვის ბუნებრივი გაზის მიწოდების აღდგენაზე უარს აცხადებდა. "რია ნოვოსტის" თანახმად, უკრაინული ხელისუფლების მხრიდან ხელმოწერილი დოკუმენტის რიგი საკითხები, მათ შორის ტრანზიტის შეჩერების მიზეზების შესახებ გადამწყვეტი მნიშვნელობის მქონე ასპექტები, რუსულ პოზიციას ეწინააღმდეგება. ხელმოწერის შემდეგ, უკრაინის პრემიერ-მინისტრმა იულია ტიმოშენკომ პროტოკოლის ხუთი კონკრეტული პუნქტი დაასახელა, რომლებიც, მისი აზრით, უკრაინისთვის ყველაზე მნიშვნელოვანია.

**"პუნქტი პირველი: უკრაინა იყო და რჩება ბუნებრივი გაზის საიმედო სატრანზიტო ქვეყნად. მას ევროპისთვის გაზის მიწოდება არ შეუწყვეტია. მეორე: უკრაინას 2009 წლის 1 იანვრიდან არასანქცირებული გაზი არ მიუღია.**

გაგრძელება A2 გვერდზე

24 საათი
"24 საათის" ელექტრონული ვერსია იხილეთ Web-გვერდზე
www.24saati.ge
ჩვენი პარტნიორები:
თიბისი ბანკი TBC BANK ჩვენ ვაძლიერებთ ერთმანეთს
BORJOMI ბორჯომი
GRDC group
ჯი პი აი ვენის სადაზღვევო ჯგუფი

CMYK - 1

## ორი სიტყვით

**ნიუ-იორკი.** საქართველოს ყოფილი ელჩი გაერო-ში ირაკლი ალასანია აშშ-ს ახლად არჩეულ პრეზიდენტ ბარაკ ობამას ინაუგურაციის ცერემონიას დაესწრება. **პირველი**

**თბილისი.** საქართველოს საპატრიარქომ გაავრცელა განცხადება, რომელშიც ნათქვამია, რომ "პირველი არხის" გადაცემა, რომელიც ეთერში "დიდი ათეულის" სახელწოდებით გადის, არსებული ფორმატით ეკლესიისთვის არ არის მისაღები, რადგან იგი სასულიერო და საერო მოღვაწეთა ერთგვარ შეჯიბრს ისახავს მიზნად. **მედიანიუსი**

**თბილისი.** საქართველოს პრემიერ-მინისტრი გრიგოლ მგალობლიშვილი გერმანიაში მკურნალობის შემდეგ თბილისში დაბრუნდა. იგი თავს კარგად გრძნობს და მუშაობას დღეიდან შეუდგება. **ინტერპრესნიუსი**

**თბილისი.** საქართველოს ეკონომიკური განვითარების მინისტრი ლაშა ჟვანია მთავრობის დღევანდელ სხდომაზე საკუთარი მოადგილეების რაოდენობის შემცირების საკითხს დააყენებს. **პირველი**

**თბილისი.** ებრაული სათვისტომოს ინიციატივით, "ვარდების მოედანზე" ისრაელის მხარდამჭერი აქცია გაიმართა. აქციის მონაწილეების განცხადებით, ისრაელი პალესტინური აგრესიისგან საკუთარი მოქალაქეების დაცვას ცდილობს. **პირველი**

## შვეიცარია - "შუამავალი" საქართველოსა და რუსეთს შორის

საქართველო და შვეიცარია დღეს ნოტებს გაცვლიან, რომელთა თანახმად, მოსკოვში საქართველოს ინტერესებს ბერნი წარმოადგენს.

საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს ინფორმაციით, ნოტების გაცვლა თბილისში, შვეიცარიის საგარეო საქმეთა დეპარტამენტის ხელმძღვანელ მიშლინ კალმი-რეის და საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრ გრიგოლ ვაშაძეს შორის მოხდება.

თბილისში რუსეთის ფედერაციის ინტერესთა სექცია შეიქმნება, რომელიც საქართველოში რუსეთის ყოფილი საელჩოს შენობაში განთავსდება. ინტერესთა სექციაში რუსეთის დიპლომატიური და ადმინისტრაციულ-ტექნიკური პერსონალი შევა, რომელთა აკრედიტება საქართველოში შვეიცარიის საელჩოში მოხდება.

საგულისხმოა, რომ საქართველოში მოსკოვის ინტერესებსაც სწორედ შვეიცარია დაიცავს.

რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა სერგეი ლავროვმა და შვეიცარიის საგარეო საქმეთა დეპარტამენტის ხელმძღვანელმა მიშლინ კალმი-რეიმ მოსკოვში გამართული მოლაპარაკებების შემდეგ შესაბამისი ნოტები 2008 წლის 13 დეკემბერს გაცვალეს.

ცნობისათვის - საქართველომ რუსეთთან დიპლომატიური ურთიერთობები 2008 წლის 2 სექტემბერს იმ აგრესიის გამო შეწყვიტა, რომელიც მოსკოვმა საქართველოში 2008 წლის აგვისტოში განახორციელა და რომლის შედეგადაც საქართველოს ტერიტორიების მნიშვნელოვანი ნაწილი, მათ შორის აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის ტერიტორია რუსეთის სამხედრო ნაწილების მიერ ოკუპირებული აღმოჩნდა.

*ჯი-ეიჩ-ენი*

## ალექსანდრე ანქვაბი რუსეთს ელაქუცება

სეპარატისტული აფხაზეთის ე. წ. პრემიერ-მინისტრი ალექსანდრე ანქვაბი აცხადებს, რომ რუსეთთან 2008 წელს დაწყებულ პირდაპირი კონტაქტების დამყარების პროცესს აფხაზეთისთვის დიდი მნიშვნელობა აქვს.

ანქვაბი დარწმუნებულია, რომ მიმდინარე წელიც ნაყოფიერი იქნება შეხვედრებითა და სხვადასხვა სფეროებში თანამშრომლობის ახალი ხელშეკრულებების გაფორმებით. "მივიჩნევ, რომ რუსულ-აფხაზური ურთიერთობების გეოგრაფია კალინინგრადიდან ნოვოსიბირსკის ოლქამდე გაფართოვდება", - აცხადებს ალექსანდრე ანქვაბი და დასძენს, რომ ყველა რუსული საინვესტიციო პროექტი, რომელიც აფხაზეთში ხორციელდება, წარმატებულია.

სეპარატისტთა პრემიერი ზოგიერთ რუსულ პროექტსაც ასახელებს, რომლებიც სეპარატისტულ აფხაზეთში ხორციელდება. "პრაქტიკულად თავიდან აშენდა პუშკინის სახელობის სოხუმის N2 რუსული სკოლა, რომლისთვისაც 90 მილიონი რუსული რუბლი დაიხარჯა, ასევე 90 მილიონი რუსული რუბლი დაიხარჯა ფილარმონიის გარემონტებაზე. სწორედ საინვესტიციო პროექტების წყალობით მიმდინარეობს სოხუმის რესპუბლიკური საავადმყოფოსა და სოხუმის სამშობიარო სახლის აღდგენითი სამუშაოები," - აღნიშნავს ანქვაბი და იქვე შენიშნავს, რომ სოხუმის სამშობიარო სახლის რემონტი, სავარაუდოდ, 2009 წლის თებერვალში დასრულდება.

*ჯი-ეიჩ-ენი*

# პროტოკოლი მხოლოდ რუსეთის პოზიციას ეწინააღმდეგება

პირველი გვერდიდან

**მესამე: უკრაინას არ აქვს დავალიანება, 2008 წელს მიღებული ბუნებრივი გაზის საფასური ჩვენ სრულად დავფარეთ. მეოთხე: უკრაინის გაზსატრანსპორტო სისტემაზე კონტროლის განსახორციელებლად საერთაშორისო ექსპერტების მოწვევის ინიციატორი უკრაინა იყო. დაბოლოს, მეხუთე პუნქტი: ჩვენ ვიყავით და ვრჩებით რუსეთის ფედერაციასთან მოლაპარაკების კონსტრუქციულ მხარედ 2009 წლისთვის ხელშეკრულებასა თუ მემორანდუმის ბაზაზე სტრატეგიულ შეთანხმებაზე ხელმოწერამდე, რომელსაც 2008 წლის ოქტომბერში უკრაინისა და რუსეთის ფედერაციის პრემიერებმა მოაწერეს ხელი,"** – აღნიშნა პრემიერ-მინისტრმა მოლაპარაკებების შეჯამებისას.

თუმცა, როგორც გამოცემა იუწყება, ჩამოთვლილთაგან პირველი სამი პუნქტი ოფიციალური მოსკოვის პოზიციას ეწინააღმდეგება. რუსული მხარის განცხადებით, უკრაინამ 7 იანვრის ღამეს ბუნებრივი გაზის ტრანზიტი სრულებით შეწყვიტა, რამაც "გაზპრომი" აიძულა, უკრაინის ტერიტორიაზე სატრანზიტო გაზის მიწოდება შეეჩერებინა.

რუსული ჰოლდინგის მონაცემებით, ევროპელმა მომხმარებლებმა წლის დასაწყისში "ცისფერი საწვავის" 86 მლნ კუბურ მეტრზე მეტი მოცულობა ვერ მიიღეს.

ამასთან, "გაზპრომის" განცხადებით, უკრაინას გასული წლის ნოემბერსა და დეკემბერში მიღებულ ბუნებრივ გაზზე დავალიანება და დაკისრებული ჯარიმები რჩება.

ტიმოშენკომ ევროკავშირის თავმჯდომარე ქვეყნის ჩეხეთის მთავრობის მეთაურ მირეკ ტოპოლანეკთან ერთად გამართულ პრესკონფერენციაზე განაცხადა, რომ ოფიციალური კიევის გაანგარიშებით, უკრაინამ 1 იანვრიდან ევროპისთვის ბუნებრივი გაზის მიწოდების შეუფერხებლად მუშაობისთვის საკუთარი ტექნოლოგიური გაზი გამოიყენა.

უკრაინის გავლით ბუნებრივი გაზის ტრანზიტზე საერთაშორისო მექანიზმით კონტროლის განხორციელების შესახებ პროტოკოლის ხელმოწერას წინ უსწრებდა რუსეთის ფედერაციის პრემიერ-მინისტრ ვლადიმირ პუტინისა და ევროკავშირის წარმომადგენელ მირეკ ტოპოლანეკის მოლაპარაკებები.

ერთობლივ პრესკონფერენციაზე, სადაც ტიმოშენკომ დამსწრე საზოგადოებას სადავო პუნქტები გააცნო, ტოპოლანეკმა ევროპისთვის რუსული გაზის მიწოდების აღდგენის ვადებზე ისაუბრა. მისი თქმით, მიწოდება, სავარაუდოდ, 36 საათის შემდეგ განახლდება.

**"ამიერიდან უკრაინის გავლით ევროკავშირისთვის ბუნებრივი გაზის მიწოდებას ხელს ვერაფერი შეუშლის. უკრაინამ შეასრულა ყველა პირობა იმისთვის, რომ რუსეთმა გაზის მიწოდება აღადგინოს,"** – აღნიშნა ტოპოლანეკმა.



AFP ' 2009

*იულია ტიმოშენკო და ჩეხეთის მთავრობის მეთაური მირეკ ტოპოლანეკი.*

## საერთაშორისო ექსპერტებით დაკომპლექტებული სადამკვირვებლო კომისია

საერთაშორისო მონიტორინგის შესახებ დოკუმენტს ოფიციალურმა კიევმა უკვე მეორედ მოაწერა ხელი. ხუთშაბათს უკრაინამ ბრიუსელში ევროკომისიასთან მოაწერა ხელი შეთანხმებას ქვეყანაში ევროპელი დამკვირვებლების დაშვების შესახებ, მაგრამ უარი თქვა დამკვირვებელთა მრავალმხრივი კომიტეტის შექმნაზე "გაზპრომის", რუსეთის ენერგეტიკის სამინისტროს, სპეციალიზებული აუდიტორული კომპანიებისა და რუსული გაზის შემსყიდველი კომპანიების მონაწილეობით. ოფიციალური კიევი მონიტორინგის განხორციელებაში მხოლოდ უკრაინული მხარისა და ევროკომისიის მონაწილეობას მოითხოვდა.

ასეთი ვარიანტი ოფიციალური მოსკოვისთვის მიუღებელი აღმოჩნდა, რის გამოც საკითხის გადაწყვეტაში ევროკავშირიც ჩაერთო.

პროტოკოლის დეტალებზე ხელმოწერის შემდეგ, რუსეთის ფედერაციის პრემიერ-მინისტრმა ვლადიმირ პუტინმა ისაუბრა. კერძოდ, საერთაშორისო სადამკვირვებლო კომისიაში შევლენ "გაზპრომის", "ნეფტოგაზ უკრაინის", რუსეთისა და უკრაინის ენერგეტიკის სამინისტროს, ევროკომისიის, ევროპული კომპანიების წარმომადგენლები და საერთაშორისო სადამკვირველო ორგანიზაციებისა და ნორვეგიის გაზის კონცერნის ექსპერტები. სწორედ ასეთ შემადგენლობას მოითხოვდა დაჟინებით ოფიციალური მოსკოვი.

რუსული მხარე აცხადებდა, რომ მზად იყო, ევროპისთვის უკრაინის გავლით ბუნებრივი გაზის მიწოდება აღედგინა მას შემდეგ, რაც საერთაშორისო ექსპერტებისგან დაკომპლექტებული სადამკვირვებლო კომისია მუშაობას შეუდგებოდა.

## იუშჩენკოს ადმინისტრაციამ ტიმოშენკო რუსეთთან შეთქმულებაში დაადანაშაულა

პროტოკოლის ხელმოწერის გამოცხადების შემდეგ, უკრაინის პრეზიდენტის სამდივნოს ხელმძღვანელის მოადგილე რომან ბესმერტნი პრემიერ-მინისტრ იულია ტიმოშენკოსადმი პრეტენზიებით აღსავსე განცხადებით გამოვიდა და იგი რუსეთთან შეთქმულებაში დაადანაშაულა.

უკრაინის პრეზიდენტის სამდივნოს ხელმძღვანელის მოადგილეს ეეჭვება, რამდენად შეესაბამებოდა პრემიერ-მინისტრის მოქმედება ქვეყნის ინტერესებს, მაშინ, როცა თითქმის ორი კვირის მანძილზე იგი თავს არიდებდა საჯარო განცხადებებს.

**"დღეს, როცა მთელი მსოფლიოს ყურადღება უკრაინა-რუსეთის გაზის კონფლიქტზეა კონცენტრირებული, უკრაინის პრემიერ-მინისტრი უჩვეულო აპათიას ავლენს. ნათელია, რომ მას, უბრალოდ, არ სურს, კიდევ ერთხელ გააბრაზოს პუტინი – თავისი კოლეგა და ფარული პარტნიორი. იმ სიტუაციაში, როცა რუსეთი რეკეტიორივით იქცევა, ჩვენი მთავრობის ხელმძღვანელი ვალდებულია, ნაციონალური ინტერესები დაიცვას, მაგრამ ხდება პირიქით - ტიმოშენკო აბსოლუტურად შეგნებულად მოექცა ჩრდილში, რაც, ფაქტობრივად, მოსკოვისთვის ფეხის აწყობას ნიშნავს. გამოდის, რომ იმ დროს, როცა ევროპა მხარს უჭერს უკრაინას რუსეთთან გაზის სკანდალში, ჩვენი პრემიერი კრემლის მოკავშირესავით იქცევა,"** – აცხადებს ვიქტორ იუშჩენკოს ადმინისტრაციის ხელმძღვანელის მოადგილე.

# ქარტია უკვე „ამუშავდა"

საქართველომ და ამერიკის შეერთებულმა შტატებმა სამომავლო სამხედრო თანამშრომლობის გეგმა შეათანხმეს, - განაცხადა ამერიკის შეერთებული შტატებში ოფიციალური ვიზიტით მყოფმა საქართველოს თავდაცვის მინისტრმა დავით სიხარულიძემ. ვიზიტის ფარგლებში საქართველოს თავდაცვის მინისტრი აშშ-ს თავდაცვის მდივნის მოადგილე გორდონ ენგლანდს შეხვდა. შეხვედრა დახურულ კარს მიღმა ჩატარდა და საუბარი სამხედრო თანამშრომლობის გაფართოების საკითხს და საქართველოს ნატო-ში გაწევრიანებას შეეხო.

შეხვედრისას მხარეებმა საქართველოსა და აშშ-ს შორის გაფორმებული სტრატეგიული თანამშრომლობის ქარტიით გათვალისწინებული საკითხები განიხილეს. "დოკუმენტი ქმნის კარგ წინაპირობას, რომ ჩვენ უფრო აქტიურად ვიმუშაოთ ამერიკელ პარტნიორებთან და ასევე ევროპელ პარტნიორებთან საქართველოს ნატო-ში ინტეგრაციის საკითხებზე," - აღნიშნა დავით სიხარულიძემ.

*ინტერპრესნიუსი*

**გაზეთ "24 საათის" გამომცემელი შპს "მვპ". რედაქტორ-გამომცემლები:** მამუკა ფაჩუაშვილი, პაატა ვეშაპიძე.
**რედაქცია:** სოფიკო ჩხაიძე (მთავარი რედაქტორი), ლევან ღირსიაშვილი (მმართველი რედაქტორი). რედაქტორები: მაია ჭალაგანიძე (საზოგადოება,Weekend), ინგა ალავიძე (სამართალი), დავით ნინიკაშვილი (ბიზნესი), სოფო კილასონია (რევიუ), კახა ფაჩუაშვილი (სპორტი). **რეკლამის და მარკეტინგის მენეჯერი** *ირაკლი ლეჟავა ტელ: 899 22 09 49.* კომპიუტერული ცენტრი: თამაზ ჩხაიძე (მენეჯერი), დიმიტრი შალუტაშვილი, თენგიზ ქირია, ნინო ყაველაშვილი
**რედაქციის მისამართი: თბილისი, 01-86. ირაკლი გამრეკელის ქ.51. ტელ: 20-24-24, 31-91-03 (06, 07), 31-93-90 (91). ფაქსი: 31-93-86. ელ-ფოსტა: public@24hours.ge**

# მეორე სუნთქვა აშშ-საქართველოს ურთიერთობებში

პირველი გვერდიდან

ქარტია დეკლარაციული ხასიათისაა. ის არ არის არც მემორანდუმი, არც შეთანხმება ან ხელშეკრულება. ეს ნიშნავს, რომ "სტრატეგიული პარტნიორობის ქარტიით" მხარეებმა არსებული მდგომარეობა აღნიშნეს. მათ განსაზღვრეს პრინციპები და თანამშრომლობის მიმართულებები საერთო მიზნების განსახორციელებლად. როგორც დოკუმენტშია ნათქვამი, **"ორივე ქვეყნისთვის სასიცოცხლო ინტერესს წარმოადგენს, რომ საქართველო იყოს ძლიერი, დამოუკიდებელი, სუვერენული, ერთიანი და დემოკრატიული სახელმწიფო. აშშ აღიარებს საქართველოს მნიშვნელოვან წვლილს ერაყში საერთაშორისო კოალიციის ძალისხმევაში. ამით საქართველომ მოახდინა იმის დემონსტრირება, რომ აქვს პოტენციალი, საკუთარი წვლილი შეიტანოს საერთო უსაფრთხოებაში."**

ამერიკის შეერთებულ შტატები და საქართველო თავდაცვისა და უსაფრთხოების სფეროში მიმდინარე თანამშრომლობის პროგრამების ფარგლების გაფართოებას გეგმავენ. ქარტიაში აღნიშნულია, რომ **"თავდაცვისა და შეიარაღებული ძალების შესაბამის უწყებებს შორის არსებულ თანამშრომლობაზე დაყრდნობით, ამერიკის შეერთებული შტატები მხარს დაუჭერს საქართველოს ძალისხმევას, დააკმაყოფილოს თავისი უსაფრთხოებისა და თავდაცვის ლეგიტიმური საჭიროებები, მათ შორის ჯეროვანი, ნატო-სთან თავსებადი სამხედრო ძალების განვითარების გზით."**

"აშშ-საქართველოს სტრატეგიული პარტნიორობის შესახებ ქარტიის" მიხედვით, დაგეგმილია ქვეყნების კოოპერაცია ორმხრივი ურთიერთობების მთელ რიგ საკითხებში. მათ შორის, აშშ-სა და საქართველოს განზრახული აქვთ **"თანამშრომლობის გაფართოება საბაზრო-ეკონომიკური რეფორმისა და ლიბერალიზაციის მხარდასაჭერად. აშშ ხელს შეუწყობს საქართველოს ინტეგრაციას გლობალურ ეკონომიკაში და შესაბამის საერთაშორისო ეკონომიკურ ორგანიზაციებში."**

ქარტია შეიცავს პუნქტებს, სადაც აღნიშნულია საქართველოს მნიშვნელოვანი მიღწევები. მხარეები კიდევ ერთხელ ადასტურებენ დემოკრატიისადმი ერთგულებას. დოკუმენტში მითითებულია, რომ აშშ საქართველოსთან ითანამშრომლებს და ხელს შეუწყობს დამოუკიდებელ მედიას, გამოხატვის თავისუფლებას და ობიექტური ახალი ამბებისა თუ ინფორმაციის ხელმისაწვდომობას, მათ შორის ჟურნალისტებისა და მედიისათვის დახმარების გაწევის გზით. აშშ და საქართველო პირობას დებენ, რომ ითანამშრომლებენ საქართველოში პოლიტიკური პლურალიზმის ზრდისა და პოლიტიკური პარტიების განვითარებისთვის. ასევე, დაგეგმილია ანალიტიკური ცენტრების და არასამთავრობო ორგანიზაციების მონაწილეობით საქართველოს კანონმდებლობაში რეფორმების გატარება, რათა უფრო კონკურენტული საარჩევნო გარემო შეიქმნას. აშშ მზადყოფნას გამოთქვამს სამართლის უზენაესობის შემდგომი განმტკიცების საქმეში თანამშრომლობისთვის, მათ შორის სასამართლოს დამოუკიდებლობის ხარისხის გაზრდისთვის.

### ვაშინგტონის შეფასება

ქარტიის გაფორმების შემდეგ, ორ ქვეყანას შორის დადებული დოკუმენტი შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივნის მოადგილის თანაშემწემ მეთიუ ბრაიზამ მიმოიხილა. სახელმწიფო დეპარტამენტის წარმომადგენელი ყურადღებას ამახვილებს საქართველოში ბოლო დროს ხშირად დასმულ შეკითხვაზე – დაიცავს თუ არა ხელმოწერილი დოკუმენტი საქართველოს რუსეთის მორიგი აგრესიის შემთხვევაში. ბრაიზას თქმით, **"ქარტია არ წარმოადგენს ორმხრივ თავდაცვით ხელშეკრულებას,"** თუმცა, მისივე თქმით, აღნიშნული ხელშეკრულება, გასული წლის აგვისტოში საქართველოში განხორციელებული რუსული აგრესიის შემდეგ, აშშ-ს მიერ კავკასიური ქვეყნის მხარდაჭერის სრულიად აშკარა გამოხატულებაა. **"უსაფრთხოების გარანტიები კი ნატო-ს წევრობასთან ერთად მოვა,"** - აღინიშნა ბრაიზამ. მან ასევე განაცხადა, რომ შეერთებული შტატები დიპლომატიური გზებით წინ აღუდგება სამხრეთ ოსეთისა და აფხაზეთის დამოუკიდებლობის აღიარების შემდგომ მცდელობებს.

### თბილისის შეფასებები

დოკუმენტის მნიშვნელობა საქართველოს პრეზიდენტმაც შეაფასა. მისი თქმით, **"საქართველოს და ამერიკის ურთიერთობა გადადის სრულიად ახალ ეტაპზე და ეს არის ჩვენი სტრატეგიული ურთიერთობის დაწყება."**

საქართველოს პრეზიდენტის განცხადებით, **"უმნიშვნელოვანესი ფაქტორია, რომ მთელი ქართული საზოგადოება აშშ-სთან სტრატეგიული პარტნიორობის დოკუმენტს კონსოლიდირებულად ვუჭერთ მხარს."**

საქართველოს საგარეო საქმეთა ექს-მინისტრი ირაკლი მენაღარიშვილი "სტრატეგიული პარტნიორობის ქარტიას" მნიშვნელოვან მოვლენად აფასებს. ექსპერტის თქმით, დოკუმენტში ჩადებული ვალდებულებების შესრულება ქვეყნის დემოკრატიულ განვითარებას უზრუნველყოფს. გარდა ამისა, იგი მიიჩნევს, რომ **"ქარტია საკმარის საშუალებას იძლევა იმისთვის, რომ თვისობრივად ახალი საფუძველი შეუქმნას აშშ-საქართველოს შემდგომი ურთიერთობების განვითარებას."**

საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო კვლევების ფონდის ექსპერტ არჩილ გეგეშიძის თქმით, უახლოეს ისტორიაში ასეთი დოკუმენტი ბევრი არ ყოფილა. საერთოდ, შეერთებული შტატები სხვა ქვეყნებთან ამ ტიპის დოკუმენტებს იშვიათად აფორმებს. საქართველოსთან ამგვარი ქარტიის გაფორმება ნიშნავს, რომ ვაშინგტონი თბილისთან ურთიერთობას სერიოზულ მნიშვნელობას ანიჭებს. აქედან გამომდინარე, დოკუმენტის პოლიტიკური მნიშვნელობა ძალიან მაღალია. გასათვალისწინებელია ისიც, რომ აშშ-მ ახლახანს, რუსეთის გააქტიურების ფონზე, ანალოგიური ქარტია უკრაინასთანაც გააფორმა. **"ცხადია, რომ ამ ქარტიების მიღმა აშშ-ს რეალური პოლიტიკური ნება დგას, რაც საქართველოსა და უკრაინის მხარდაჭერას ითვალისწინებს. ფაქტია, რომ ვაშინგტონი, გეოპოლიტიკის გათვალისწინებით, საქართველოსა და უკრაინას მზრუნველობის ერთნაირ ობიექტებად აღგვიქვამს,"** - აღნიშნა გეგეშიძემ. ექსპერტი რუსეთისგან მკაცრ განცხადებებს ელოდება, რადგან საქართველოსთან გაფორმებული ქარტია უკრაინული დოკუმენტისგან განსხვავდება. მისი თქმით, ზოგ ისეთ საკითხში, რომელიც რუსეთს არ მოსწონს, მეტი კონკრეტიკაა. **"ჩვენი ქარტიის პარტნიორობის პრინციპების ჩამონათვალში პირდაპირ წერია, რომ საერთო მიზანს წარმოადგენს საქართველოს სრული ინტეგრაცია ევროპულ და ტრანს-ატლანტიკურ პოლიტიკურ, ეკონომიკურ, უსაფრთხოებისა და თავდაცვის ინსტიტუტებში. ასეთი რამ უკრაინის ქარტიაში არ წერია. თავის დროზე სწორედ ანალოგიური პოზიციის გამო დაიდო ქარტია შეერთებულ შტატებსა და ბალტიის ქვეყნებს შორის. ამან ხელი შეუწყო ამ ქვეყნების ევროკავშირში და ჩრდილოატლანტიკურ ალიანსში გაწევრიანებას,"** - აცხადებს გეგეშიძე. საქართველოს ასეთი კურსი რუსეთს, რა თქმა უნდა, გააღიზიანებს. გარდა ამისა, უკრაინული ქარტიისგან განსხვავებით, ქართულ-ამერიკულ დოკუმენტში საუბარია იმაზე, რომ უსაფრთხოების სფეროში იგეგმება გაფართოებული თანამშრომლობის პროგრამის წამოწყება, რომლის მიზანია საქართველოს შესაძლებლობების გაძლიერება და ნატო-ს წევრობისთვის მომზადება. **"რუსეთს სწორედ ასეთ საკითხები აღიზიანებს და არ მოსწონს, რომ საქართველოს შეიარაღებული ძალები გაძლიერდება. ყოველივე ამის გათვალისწინებით, კრემლის რეაქცია ალბათ მკაცრი იქნება,"** – მიიჩნევს არჩილ გეგეშიძე.

გეგეშიძე ქარტიაში ჩამოთვლილი სფეროებიდან ყურადღებას ამახვილებს სამხრეთული ენერგეტიკული სატრანზიტო დერეფნის შექმნის საკითხზე. მისი აზრით, **"ნაბუკოს" პროექტთან ერთად, საუბარია ე.წ. "თეთრ ნაკადზეც", რომელიც გულისხმობს ჩვენი პორტებიდან, შავი ზღვის ფსკერის ან ყირიმის გავლით, რუმინეთში და იქიდან ევროპაში გაზის გატანას. ყველაფერი ეს, შუა აზიის გაზის პროექტით ირანიდან თურქეთის გავლით გაზის ტრანსპორტირებასთან ერთად, ჯამში ე.წ. სამხრეთულ დერეფანს ქმნის, რომელიც რუსული გაზის რეალური ალტერნატივა იქნება. ამ საკითხს ევროპაც უკვე ძალიან სერიოზულად უდგება,"** – აღნიშნავს გეგეშიძე.

# ფეშავარიდან ბათუმამდე: აღმოსავლეთ-დასავლეთის დერეფნის რეალიზების დროა



*დევიდ ჯ.სმიტი*

პირველი გვერდიდან

**"ხიბერის გზაზე ძალადობის ესკალაცია "თალიბანის" ახალგაზრდა მეთაურ ჰაკიმულა მეჰსუდის აღზევებას დაემთხვა,"** – წერენ "ნიუ იორკ თაიმსში" რიჩარდ ოპელი და პირზუბაირ შაჰი. კონვოიზე თავდასხმებმა რეგულარული ხასიათი მიიღო, 6 დეკემბერს კი მეჰსუდის მებრძოლებმა ფეშავარში ნატო-ს მთავარი მატერიალურ-ტექნიკური ბაზა დაარბიეს. **"საერთო ჯამში, 6 დეკემბრის თავდასხმის დროს 145 ერთეული სატრანსპორტო საშუალება, ტრეილერი, კონტეინერი და ორი ჯავშანტრანსპორტიორი იქნა განადგურებული,"** – იუწყება "გარდიანი".

ნატო-ს ოფიციალური წარმომადგენლები ალიანსის ლოგისტიკურ მარშრუტებზე თავდასხმების შედეგებს აკნინებენ. **"ამ გზით იმდენად დიდი რაოდენობის ტვირთი მიედინება, რომ ამან რეალურად კვალიც კი ვერ დაამჩნია,"** – განუცხადა ერთ-ერთმა მათგანმა "გარდიანს". თუმცა, იმის გათვალისწინებით, რომ პაკისტანი სიტუაციის კონტროლის უნარში მოიკოჭლებს და 2009 წელს ავღანეთში ნატო-ს კონტინგენტის გაზრდაა მოსალოდნელი, ალიანსი პაკისტანის მარშრუტების ალტერნატივას ეძებს.

იმდენად, რამდენადაც ნაკლებად სავარაუდოა, რომ ირანის ისლამური რესპუბლიკა აშშ-სა და ნატო-ს დაეხმარება, ერთადერთი ალტერნატიული გზა ავღანეთში ჩრდილოეთიდან მოდის, ცენტრალური აზიის ქვეყნებზე გავლით, რომელთაგან ყაზახეთი, თურქმენეთი და უზბეკეთი ყველაზე მნიშვნელოვანია.

სამწუხაროდ, ადამიანის უფლებების დარღვევისა და სტრატეგიული აუტიზმის გამო გაფუჭებული ურთიერთობების შედეგად, 2005 წელს აშშ-ს უზბეკეთში იდეალური მდებარეობის მქონე კარში-ხანაბადის ლოგისტიკური ბაზა დაატოვებინეს. ამჟამად ტაშკენტი მიანიშნებს, რომ თავის ტერიტორიაზე აშშ-ს მარშრუტების განახლების საკითხს მხოლოდ იმ შემთხვევაში განიხილავს, თუ ვაშინგტონთან ურთიერთობები ყოველმხრივ გაუმჯობესდება.

ამერიკამ უზბეკეთთან ურთიერთობები უნდა გამოასწოროს და ცენტრალური აზიის ყველა ქვეყანასთან უკეთესი კავშირები დაამყაროს.

ცენტრალური აზიის ქვეყნებს ზღვაზე გასასვლელი არა აქვთ, ამიტომ არსებობს მხოლოდ ორი გზა – რუსეთიდან და სამხრეთ კავკასიიდან. ნატო უკვე კარგა ხანია, არასწორ გზას ადგას.

2008 აპრილში ნატო-ს ბუქარესტის სამიტზე რუსეთმა ავღანეთისთვის განკუთვნილი არასამხედრო ტვირთების ტრანზიტზე თანხმობა განაცხადა. იმავდროულად, ნატო-მ უარი უთხრა საქართველოს წევრობის სამოქმედო გეგმაზე. ამან ბიძგი მისცა აგვისტოში რუსეთის თავდასხმას საქართველოსა და – დარწმუნებული იყავით – აღმოსავლეთ-დასავლეთის დერეფანზე.

დასავლურმა ალიანსმა ნატო-რუსეთის საბჭოს შეჩერებით უპასუხა – ჩაიშალა რამდენიმე ერთობლივი სამხედრო ღონისძიება და შეჩერდა "ჩვეულებრივი ბიზნესი", რომლის ზუსტი მნიშვნელობა არავინ იცის. შედეგად, რუსეთის ელჩმა ავღანეთში ზამირ ქაბულოვმა "თაიმსს" განუცხადა, რომ ეს ავღანეთში რუსეთის გავლით ტრანზიტის შეწყვეტას ნიშნავდა.

გვიან შემოდგომაზე ნატო-ს საგარეო საქმეთა მინისტრებმა კიდევ ერთხელ თქვეს უარი საქართველოსთვის "MAP"-ის მინიჭებაზე და სანაცვლოდ "პირობითი და თანმიმდევრული მოწვევა" არჩიეს, რომლის ზუსტი მნიშვნელობაც არავინ იცის.

რუსეთისთვის ეს ნატო-ს გახლეჩას ნიშნავდა - ალიანსის თითოეულ წევრთან ინდივიდუალური ურთიერთობის გზით, ზუსტად ისევე, როგორც ევროკავშირს ხლეჩს ერთჯერადი ენერგეტიკული გარიგებებით. **"26-ისთვის ძალზე რთულია შეთანხმების მიღწევა,"** – განუცხადა "რადიო თავისუფლებას" ნატო-ს პრესმდივანმა კარმენ რომერომ.

შესაბამისად, 6 ნოემბერს რუსეთმა შეთანხმებას მიაღწია ესპანეთთან ავღანეთში არასამხედრო ტვირთების ტრანზიტზე, ხოლო 10 ნოემბერს გერმანიას სამხედრო ტვირთების ტრანზიტზის უფლებაც კი მისცა.

ტერორიზმთან ბრძოლასა და ბირთვული გაუვრცელებლობის საკითხში მოკრძალებული მხარდაჭერის მსგავსად, მოსკოვი დასავლეთის ახალ მოთხოვნილებაზე მუშაობს, რომლით მანიპულირებასაც სურვილისამებრ შეძლებს.

ცუდი არაფერია იმაში, რომ ავღანეთთან დაკავშირებით რუსეთის დახმარებას ეძებდე, მაგრამ დასავლელმა ლიდერებმა უნდა შეიგნონ - მოსკოვს ავღანეთში ჩვენი ინტერესები რომ გაეზიარებინა, ის მართლაც დაგვეხმარებოდა და არ დაიწყებდა ვაჭრობას იმაზე, თუ ვის რისი გადატანა შეუძლია მისი რკინიგზით. ნატო-მ ფართოდ გახელილი თვალებით უნდა ეძებოს რუსეთზე ტრანზიტის ნებისმიერი შესაძლებლობა და ამის გამო მოსკოვთან ურთიერთობები უნდა გააუმჯობესოს.

თუმცა, ნატო-ს რეალური სტრატეგიული ინტერესი სამხრეთ კავკასიის აღმოსავლეთ-დასავლეთის დერეფანია, რომელიც, როგორც ზოგიერთი ექსპერტი წლების მანძილზე აცხადებდა, სამ ენერგეტიკულ მილსადენზე მეტს ნიშნავს.

იმდენად, რამდენადაც შავი ზღვის დასავლეთ სანაპიროზე ნატო-ს წევრი ბულგარეთი და რუმინეთი იმყოფებიან, აღმოსავლეთ სანაპიროზე საქართველოს მდებარეობა, აღმოსავლეთ-დასავლეთის სატრანსპორტო გადაზიდვების თვალსაზრისით, იდეალური გახლავთ. რა თქმა უნდა, ამერიკამ და საქართველომ ბათუმის ან ფოთის უსაფრთხო პორტებში ლოგისტიკური კვანძის შექმნის შესაძლებლობა უნდა განიხილონ.

საქართველო და აზერბაიჯანი სთავაზობენ საიმედო და ხანგრძლივ აღმოსავლეთ-დასავლეთის ტრანზიტს, ჭეშმარიტად საერთო ინტერესებზე დაყრდნობით. ორივე ქვეყანამ გააგზავნა შეიარაღებული ძალები ავღანეთში ნატო-ს ოპერაციაში მონაწილეობის მისაღებად. აღმოსაველთ-დასავლეთის დერეფანში კაპიტალის, ინფრასტრუქტურისა და ადამიანური რესურსების ინვესტირება დაუყოვნებლივ დააკმაყოფილებდა დასავლეთის მოთხოვნებს ავღანეთში და მომავალშიც კარგი კაპიტალდაბანდება იქნებოდა.

ფეშავარსა და ბათუმს შორის კავშირი არსებობს – დროა, აღმოსავლეთ-დასავლეთის დერეფნის რეალიზება მოხდეს.

*დევიდ ჯ.სმიტი არის პოტომაკის პოლიტიკურ მეცნიერებათა ინსტიტუტის უფროსი მეცნიერ-თანამშრომელი (ვაშინგტონი)*
*საქართველოს უსაფრთხოების ანალიზის ცენტრის დირექტორი (თბილისი)*

## ევროპასთან ასოციაციის ხელშეკრულება გაფორმდება

უახლოეს მომავალში საქართველო ევროპასთან ასოციაციის ხელშეკრულებას გააფორმებს, - ამის შესახებ საქართველოს პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა განაცხადა.

"ვიმედოვნებთ, რომ ხელს არაფერი შეგვიშლის. ეს ხელშეკრულება აღმოსავლეთის პარტნიორობის დოკუმენტია, რომელიც საგანგებოდ ომის შემდეგ შეიქმნა. ეს იყო, ერთი მხრივ, საქართველოს ინიციატივა, ხოლო მეორე მხრივ, სკანდინავიის ქვეყნების შვედეთის, გერმანიისა და რამდენიმე სხვა სახელმწიფოს წინადადება. ჩვენი ინტეგრაცია შეუქცევადი იქნება," - განაცხადა პრეზიდენტმა სააკაშვილმა.

*პირველი*

## პერევიდან გახიზნულ მოსახლეობას დაბრუნების ეშინია

საჩხერის რაიონის სოფელ პერევიდან გაიხიზნული მოსახლეობა სოფელში დაბრუნებისგან თავს იკავებს. სოფლიდან ბავშვებისა და ახალგაზრდობის გახიზვნა მას შემდეგ მოხდა, რაც ოკუპანტები პერევში გახუთმაგებული შემადგენლობით და ჯავშანტექნიკით დაბრუნდნენ.

როგორც საჩხერის რაიონის გამგებელი ზურაბ ცერცვაძე აღნიშნავს, დაძაბულობის დროს გახიზნული მოსახლეობის ნაწილი დაბრუნდა, ნაწილი კი პერევში დაბრუნებისგან ისევ თავს იკავებს.

"მიუხედავად იმისა, რომ ახლა სოფელში ვითარება შედარებით სტაბილურია და შესვლა-გამოსვლაც შეზღუდული არ არის, ხალხი მაინც შეშინებულია," - აცხადებს ზურაბ ცერცვაძე.

*მედიანიუსი*

## კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის უწყებათაშორისი საკოორდინაციო საბჭოს შეხვედრა გაიმართა

საქართველოს იუსტიციის სამინისტროში კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის უწყებათაშორისი საკოორდინაციო საბჭო შეხვედრა გაიმართა.

საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულების საფუძველზე, საბჭო საქართველოს იუსტიციის სამინისტროსთან 2008 წლის 26 დეკემბერს შეიქმნა. საბჭოს იუსტიციის მინისტრი ზურაბ ადეიშვილი ხელმძღვანელობს, ხოლო თავმჯდომარის მოადგილეა საქართველოს პრემიერ-მინისტრის მთავარი მრჩეველი ვახტანგ ლეჟავა. საბჭოს შემადგენლობაში შედიან აღმასრულებელი, საკანონმდებლო და სასამართლო ხელისუფლების წარმომადგენლები. მის მუშაობაში მონაწილეობენ არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენლებიც.

"მნიშვნელოვანია, რომ კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლა გაგრძელდეს, ეს ეხება როგორც კორუფციული დანაშაულებისათვის დასჯის ნაწილს, ისე მის პრევენციას. უნდა შეფასდეს ძველი სტრატეგიის განხორციელება, მისი შედეგები და უნდა ვიმსჯელოთ, როგორც განახლდეს იგი ახალი გამოწვევების გათვალისწინებით," - შეხვედრის შემდეგ განაცხადა საბჭოს წევრმა პარლამენტის იურიდიულ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარე პავლე კუბლაშვილმა.

მომდევნო სხდომა ორი კვირის შემდეგ გაიმართება.

*მედიანიუსი*

## ოქრუაშვილის პარტიის ოფისთან დაკავშირებით სასამართლოს გადაწყვეტილება დღეს გამოცხადდება

დღეს, ირაკლი ოქრუაშვილის პარტიის ათონელის ქ.№27-ში მდებარე ოფისთან დაკავშირებით, თბილისის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება გამოცხადდება.

"მოძრაობა ერთიანი საქართველოსათვის" გენერალური მდივანმა ეკა ბესელიამ განაცხადა, რომ ირაკლი ოქრუაშვილის პარტიასთან დაკავშირებით პოლიტიკური დავა მიმდინარეობს, რომელიც აუცილებლად სახელმწიფოს სასარგებლოდ გადაწყდება.

"სასამართლო ოქრუაშვილის პარტიასთან დაკავშირებით არა სამართლებრივ, არამედ პოლიტიკურ დავას განიხილავს. შედეგი ძნელი გამოსაცნობი არ არის. ყველასთვის ადვილი მისახვედრია, რომ სასამართლო დაუფიქრებლად დააკმაყოფილებს პროკურატურის მოთხოვნას. ეს საერთაშორისო სამართლის დარღვევაა," - განაცხადა ბესელიამ.

მისი თქმით, პარტია ოფისის დასაბრუნებლად ყველა ხერხს მიმართავს და იმ შემთხვევაში, თუ სასამართლო გადაწყვეტილებით პარტიას ოფისს ჩამოართმევენ, ამ საქმესთან დაკავშირებულ დოკუმენტაცია ერთ კვირაში ევროსასამართლოს გადაეგზავნება.

ბესელიას თქმით, სტრასბურგის სასამართლო უკვე იხილავს ოქრუაშვილის სახელით შეტანილ განაცხადს, რომელიც ეხება მისთვის საქართველოში დაუსწრებლად გამოტანილ განაჩენს და პოლიტიკურ დევნას.

პროკურატურამ თბილისის საქალაქო სასამართლოში ათონელის N27-ში მდებარე ოფისის მესაკუთრეებისთვის ჩამორთმევასა და სახელმწიფოსთვის გადაცემასთან დაკავშირებით სარჩელი 2008 წლის ოქტომბერში შეიტანა.

*ჯი-ეიჩ-ენი*

---

*თვალსაზრისი*

# დათვის სიზმრები

**დევიდ მორგენშტერნი**
*სპეციალურად "24 საათისათვის" მიუნხენიდან*

ამ სტატიის დაწერა უცებ გადავწყვიტე. გუშინ საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს ვებ-გვერდს ვათვალიერებდი; როგორც ეუთო-ს ყოფილ თანამშრომელს, ძალიან მაინტერესებდა, რა ლოგიკის ან რეზონის მოშველიებით ცდილობს რუსეთი ცხინვალის რეგიონში, საქართველო, ეუთო-ს მისიის "მოკვლას." როგორც მოარული ხმები ამბობენ, მერე გაერო-ს მისიას, ე.წ. UNOMIG-ს, მიადგებიანო.

რუსეთის არგუმენტები იმდენად აბსურდულია, რომ ამაზე დროის დაკარგვას საერთოდ არ ვაპირებ. თეთრი ძაფით ნაკერი, ალბათ, ყველაზე რბილი და კორექტული დახასიათება იქნებოდა. მაგრამ არა. ნონსენსია, აბსურდი, სისულელე. ერთი რუსული ანეკდოტი მახსენდება: მგელი კურდღელს ჩაგრავს. ხან სიგარეტს თხოვს, ხან ასანთს, და ა.შ. და ცემს. ბოლოს მელაკუდა ურჩევს კურდღელს: გაიგე, რა სიგარეტები მოსწონს მგელს, რითი უკიდებს და გადაურჩებიო. ჰოდა, გააჩერა მგელმა კურდღელი:

მგელი: სიგარეტი გაქვს?

კურდღელი: რომელი გნებავთ?

მგელი: "მარლბორო", 100 მილიმეტრიანი.

კურდღელი: ინებეთ.

მგელი: მომიკიდე.

კურდღელი: ასანთი გნებავთ თუ სანთებელა?

მგელი: "ზიპო"

კურდღელი: ინებეთ.

მგელი (უკვე იმედგაცრუებული): მმმ... ყურებიანი ქუდი რატო არ გახურავს, ბიჭო???

ასე მუშაობს რუსული დიპლომატიაც. გასდის და იმიტომ. ევროპელების სირცხვილია ეს. მეტი არაფერი. სანამ რამდენიმე ჩემი მეზობელი ქვეყანა ცოტა აქტიური არ გახდება, EUFOR და CFSP/ESDP ისეთივე უსარგებლო ფულის ყრა იქნება, როგორც მაჟინოს ხაზი იყო მეორე მსოფლიო ომის დროს.

გაერო და ეუთო ხანდახან მხოლოდ ე.წ. "Kaffeeklatsch" არის, რუსულად "ª□□□□Łº□□". ამაში არც ორგანიზაციებს და არც მათ ბევრ პატიოსან მუშაკს არანაირი ბრალი არ მიუძღვით. ბოლოსდაბოლოს, ერთში უშიშროების საბჭოა ვეტოს უფლება და მეორეში კონსენსუსის წესი მოქმედებს. რუსებმა, მახსოვს, საზღვრის მისია დაბლოკეს საქართველოში რამდენიმე წლის წინ. მაშინაც რაღაც აბსურდული მიზეზი მოიფიქრეს; ევროპელებმა ცოტა იყვირეს, მაგრამ კრემლი ბიუჯეტის დაბლოკვით დაიმუქრა და კომედიაც დამთავრდა.

არადა, ორივე ორგანიზაცია ბევრ სასიკეთო საქმეს აკეთებს. კოფი ანანმა ტაქტიკური უპირატესობა გამოიყენა და ბოსნია-ჰერცეგოვინაში მლადიჩის ჯარების დაბომბვის ავტორიზაცია მოახდინა 1995 წელს (პატივცემული ბუტროს გალი ლორდ რობერტსონის ტელეფონის ზარს არ პასუხობდა, თუ უმაღლესი რანგის ამერიკელი დიპლომატის მემუარებს დავუჯერებთ); მარკ პერინ დე ბრიშამბო წინ და უკან დაფრინავს, რათა "დუუმვირატს" კულტურულად აუხსნას 21-ე საუკუნის სამყაროს წესები. სხვათა შორის, მოსამართლეა პროფესიით და კარგი ადამიანი. სამწუხაროდ, მთე-ის კედლებში ეტყობა კიდევ ტრიალებს მოჩვენება აწ განსვენებული ანდრეი გრომიკოსი, "Mister NO" რომ უწოდეს კოლეგა დიპლომატებმა. თუმცა ლავროვიც არაა გამონაკლისი, სამწუხაროდ ქალბატონი მერკელიც იმავე გზას ადგას, ჯერჯერობით.

სამი წლის წინ მიტროვიცაში ვიყავი. უზარმაზარი ფრანგული სამხედრო ბაზა აკონტროლებდა სერბებსა და ალბანელებს შორის გაყოფილ ქალაქს. ზუსტად ხიდს გადაჰყურებს ეს ბაზა და ბარე ორი დივიზიის არ შეეშინდება; ალესტეირ ლივინგსტონს ნამდვილად დაეჯერება, მით უმეტეს თუ მის CV-ს თვალს გადავავლებთ.

ანალოგიური ტიპის სამხედრო კონტინგენტი რომ შეეყვანათ აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში, ათობით ადამიანი გადარჩებოდა წამებით სიკვდილს. ჩემთვის ეროვნებას მნიშვნელობა არ აქვს: ყველა ადამიანის სიცოცხლე ძვირფასია, იქნება ეს ტიროლელი ავსტრიელი, კრაისტჩერჩელი მაორი თუ ინდიელი პოტავატუმის ტომიდან.

მით უმეტეს, რომ ათ წელზე მეტია არსებობს მეორე და მესამე თაობის, ე.წ. "robust" სამშვიდობო ძალები; მძიმე ტექნიკით, არტილერიით და ავიაციით. მათ არც ერთი ჭკუათმყოფელი საველე მეთაური თუ ჩვეულებრივი ბანდა არ დაუპირისპირდება. ვინც დაუპირისპირდა, ყველა პანღურის ცემით მიაბრძანეს ჰააგის ტრიბუნალში, რადოვან კარაჯიჩის თამადობით. ახლა მლადიჩის ჯერია. სხვათა შორის, კარაჯიჩი ფსიქიატრი გახლდათ პროფესიით და, როცა სარაევოს ალყა შემოარტყა, პირველად ის საავადმყოფი დაბომბა, სადაც თავად მუშაობდა.

რუსები ამერიკელებს არ ენდობოდნენ. არც ინგლისელებს. არც უკრაინელებს. კი, ბატონო. ინდოელების კონტინგენტი შესულიყო საქართველოს კონფლიქტურ რეგიონებში. ან მალაიზიელების. გენერალ ბჰატიშარ ნამბიარის პროფესიონალიზმს არცერთი ოფიცერი არ აყენებს ეჭვქვეშ. იცის კაცმა თავისი საქმე. მოგადიშუს ბრძოლისას "შავი ქორის" დესანტის გადარჩენაში კი, გარდა თავად სპეცრაზმელების სიმამაცისა, პაკისტანის ტანკების და მალაიზიის სამხედრო ჯიპების უზარმაზარი წვლილიცაა.

კრემლს არ აწყობდა ამ კონფლიქტების მოგვარება. არც ახლა აწყობს. ნებისმიერმა მოაზროვნე აფხაზმა და ოსმა კარგად იცის, რომ რუსეთის ხელში დიდი-დიდი ათი წელი იარსებოს მათმა ეთნოსმა. იმედია, მუჰაჯირები ახსოვთ. იმედია, ისიც არ დავიწყნიათ, ბაღაფში რომ აირჩიეს, რა მოიმოქმედა პუტინმა: კრასნოდარის გუბერნატორი და გენპროკურორის მოადგილე მიავლინა, პენსიების არმიცემით დაემუქრა და ვიცე-პრეზიდენტად რაულ ხაჯიმბა დასვა, ძალოვანი სამინისტროების და ბიუჯეტის 40 პროცენტის განკარგვის უფლებით. სამხრეთ ოსეთზე საერთოდ ლაპარაკი ზედმეტია. თურმე კოკოითის და მის დამქაშებს ფსბ-გრუ-ესვეერის იმდენი ფული აქვთ შეჭმული, თავად რუსები აკრაჭუნებენ კბილებს. წმენდასაც გადაურჩა წმინდა ედუარდ განმათავისუფლებელი. ჯერჯერობით სჭირდებათ და იმიტომ. ისე, რუსებმა იამადაევი და ბასაევი მოიშორეს; ჯოხარ დუდაევი და ალექსანდრ ლებედი "გაასაღეს" - ავღანეთში ნაომარი გენერლები.

ჰოდა ამ "სიამტკბილობის" კითხვისას ერთ განცხადებასაც წავაწყდი: ვინმე ქართველ სამხედროს, ჰოლანდიური ტელევიზიისათვის ინტერვიუ მიუცია. ჩემი ერთ-ერთი პროფესია ჟურნალისტიკაა. ინგლისური გაზეთის მთავარი რედაქტორი ვიყავი ორი წლის განმავლობაში.

პატივცემული ჰოლანდიური არხის ღრმადპატივცემულმა ხელმძღვანელობამ მინიმუმ ის მაინც უნდა იცოდეს, რომ ნებისმიერ ინფორმაციას სულ ცოტა ორი წყარო ესაჭიროება. ეს ჟურნალისტიკის ანბანაა და პროფესიული ღირსების ამბავია. მეტი არაფერი.

მერე ხსენებული ქართველი სამხედრო ტელევიზიით გამოვიდა და ურცხვ სიცრუეში დაადანაშაულა არხი და რეპორტაჟის ავტორი - მოსკოვის ფილიალის ჟურნალისტი...

საინტერესოა, ის რატომ არ თქვა ამავე არხმა, 21 წლის ქართველ გოგოს 2 დღის განმავლობაში რომ აუპატიურებდა 50 არაკაცი? რა მნიშვნელობა აქვს, ოსი იყო, რუსი თუ ვინმე სხვა?

სწორედ ასეთების გამო ვეწინააღმდეგები სიკვდილით დასჯის გაუქმებას. უფრო მეტიც, ძველ ინგლისურ ემასკულაციას დავაბრუნებდი მათთვის. მერე ევისცერაციას. "მამაც გულში" ზუსტად ასე სასტიკად აწამეს - დაუმსახურებლად - უილიამ უოლესი. არა მგონია, ზემოთ ხსენებულმა არაკაცებმა მსგავსი სიმამაცე გამოიჩინონ. ასეთები, როგორც წესი, სიკვდილის წინ წიკვინებენ და მუხლზე დაჩოქილები ტირიან.

გარეთ ზამთარია. საკმაოდ ცივა ამ დროს მიუნხენში. გაზის გათიშვაც რატომღაც ზამთარში ახსენდებათ ვოვას და დიმას. ისე, 1945 წელს ვენაში ძალიან სუსხიანი ზამთარი იყო, პაპაჩემი მიამბობდა. ბევრი ადამიანი გაიყინა.

■ ■ ■

ზამთარში დათვებს სძინავთ. ჰოდა, ერთი რუსული ანეკდოტი გამახსენდა ამ თემაზე: ´Ł□□Ł-ˇ□ı, Œ□Œ □□□ □□□ □□ßØ □□ □□ □□□, □Ł□□□ □æª□□ æ□□º. ¨æ□æ□º □□º□□. □ □□□ □□□ŒŒŒ □□□ □□□ □□□□ æ□Ł□□□, □æª□□ □□Ł□ □□º□ □□ □ºæ□...

■ ■ ■

გუშინ ჩემს მეგობარს დავურეკე თბილისში. საუბარში მომითხრო, თურმე ოცი წლის ბიჭი მოყოლილა ავარიაში და სისხლი სჭირდებოდა. დაუყოვნებლივ დაურეკა ჩემმა მეგობარმა და ამაში არაფერია საოცარი – ადამიანი ადამიანს უნდა დაეხმაროს. სწორედ ეს აქცევს განვითარებულ პრიმატს ადამიანად, ღმერთის მიერ საკუთარ ხატად შექმნილ შედევრად.

თურმე ბევრს დაურეკავს უკვე და სისხლიც მიუციათ. ასეც უნდა იყოს. ასე მასწავლიდნენ მე. "გიყვარდეს მოყვასი შენი ვითარცა თავი შენი!" - ბრძანა უფალმა. მტერი შეიძლება ვერ შეიყვარო, მაგრამ ომში მტრის ოჯახიც ისევე უნდა დაიცვა, როგორც საკუთარი, ბოლომდე.

სანამ ასეთები იქნებით, ქართველებო, საქართველო არასოდეს დაიღუპება, და როგორც მამა გაბრიელმა ბრძანა, ანტიქრისტე ტახტს ვერასოდეს დაიდგამს საქართველოში.

---

# რუსმა ოკუპანტებმა ქართველების გამოძევება დაიწყეს

აფხაზეთში დაბანაკებულმა რუსული საოკუპაციო ჯარის ნაწილებმა გალის რაიონის დაბალი ზონის სოფლებიდან ეთნიკური ქართველების გამოძევება დაიწყეს.

ადგილობრივი მოსახლეობის განმარტებით, ოკუპანტები ქართველების საცხოვრებელ სახლებს იკავებენ და მათ მთელს ქონებას ითვისებენ.

არსებული მონაცემებით, გალის რეგიონიდან გამოძევებულია 1000-მდე ადგილობრივი მოსახლე. გამოძევებული ქართული მოსახლეობა საქართველოს ხელისუფლებასა და საერთაშორისო დამკვირვებლებს დახმარებას სთხოვს.

ადგილობრივთა განმარტებით, ისინი ამჟამად დროებით მეზობლებთან აფარებენ თავს, თუმცა არ არის გამორიცხული, რომ უახლოეს მომავალში რუსი ოკუპანტებისა და აფხაზი სეპარატისტების მიერ გალის რაიონის ქართული მოსახლეობის ეგზეკუციამ უფრო ფართო მასშტაბები მიიღოს.

გალში დარჩენილი ეთნიკური ქართველები კი ჰუმანიტარულ კრიზისს განიცდიან. როგორც აფხაზეთის ლეგიტიმური ხელისუფლების მედიაცენტრის უფროსი რაულ ქირია აცხადებს, გალის რაიონის მოსახლეობა საყოფაცხოვრებო პროდუქტების შესაძენად ზუგდიდის რაიონში გადმოსვლას ვერ ახერხებს. რაც შეეხება გადმოსულებს, მათ უკან დაბრუნების საშუალება არ ეძლევათ. რუსი ოკუპანტები მოსახლეობას, ენგურზე გადასვლის სანაცვლოდ, 500 რუბლის ოდენობით თანხის გადახდას სთხოვენ.

*ჯი-ეიჩ-ენი, პირველი*

# წლის საუკეთესო ავტომობილი თბილისშია

მერაბ ლორთქიფანიძე

თითქმის სამი თვე დასჭირდა ევროპის 2009 წლის საუკეთესო ავტომობილ "ოპელ ინსინიას" იმისათვის, რომ თბილისამდე ჩამოეღწია. ნურავინ იფიქრებს, რომ რუსელჰაიმიდან თბილისამდე ჩამოსვლას სამი თვე სჭირდება. უბრალოდ, ევროპაში ამ ავტომობილზე იმდენად დიდი მოთხოვნილებაა, რომ "ჯენერალ მოტორსის" ევროპული შტო "ოპელი" მიღებული შეკვეთების დაკმაყოფილებას ვერ აუდის. შესაბამისად, აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებისთვის კვოტები მკაცრად შეზღუდულია და საქართველოშიც იმის ნაცვლად, რომ ავტომობილი ოქტომბერში (როცა მისი გაყიდვები გერმანიაში დაიწყო) ჩამოსულიყო, იანვარშიღა გვეწვია.

9 იანვარს "ოპელის" და "ჯენერალ მოტორსის" ქართველმა დილერმა, შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება "აუტოჰაუზმა", საკუთარ შოურუმში ავტომობილების თემაზე მომუშავე ქართველი ჟურნალისტებისთვის "ოპელ ინსინიას" პრეზენტაცია მოაწყო. პრეზენტაციაზე წარმოდგენილი იყო რუსელჰაიმური ავტოგიგანტის ახალი ფლაგმანი მოდელის ტოპ-ვერსია, რომელიც ულტრათანამედროვე ელექტრონული ტექნოლოგიების გარდა, 2.8-ლიტრიანი ტურბომოტორითა და სრულამძრავიანი ტრანსმისიითაა აღჭურვილი.

"აუტოჰაუზის" გაყიდვებისა და მარკეტინგის მენეჯერმა ოთარ ჩიტეიშვილმა დამსწრე საზოგადოებას მოკლედ გააცნო ახალი ავტომობილი. პარალელურად კი ეკრანზე "ინსინიას" შესახებ გადაღებული სარეკლამო რგოლი უფრო დაწვრილებით გვაცნობდა იმ სიახლეებს, რომლებიც ამ ავტომობილს მისი კონკურენტებისგან გამოარჩევს. და ბოლოს, დადგა კულმინაციური მომენტი, რომლის დროსაც "ინსინიას" საბურველი მოხსნეს და ჩვენ წინაშე ელეგანტური ავტომობილი წარდგა, რომლითაც "ოპელმა", ფაქტობრივად, პრემიუმ სეგმენტში შეაბიჯა.

პირვანდელი ჩანაფიქრით, "ინსინია" (შეიძლება გამოითქვას, როგორც „ინსიგნია". ეს სიტყვა ლათინურად სიმბოლოს, განმასხვავებელ სიმბოლოს ნიშნავს) მოდელ "ვექტრას" შემცვლელი უნდა ყოფილიყო და სახელიც ძველი უნდა დარჩენოდა. მაგრამ გამოვიდა ისე, რომ "ოპელმა" ამ ავტომობილით ფაქტობრივად მისთვის და ევროპული ბაზრისთვისაც სრულიად ახალი, საშუალო და ბიზნესკლასებს შორის სეგმენტი გახსნა. უფრო მეტი თვალსაჩინოებისთვის შეიძლება ითქვას, რომ "ინსინია" "ბეემვეს" მე-3 და მე-5 სერიის მოდელებს შორის დგას და ამ ორივე ავტომობილს გაუწევს მეტოქეობას. გარდა ამისა, ბაზარზე მისი კონკურენტები იქნებიან "ფორდ მონდეო", "აუდი A4", "ჰონდა აკორდი", "ფოლკსვაგენ პასატი" და, რა თქმა უნდა, "ტოიოტა ქამრი".

ელეგანტურ დიზაინზე რომ არაფერი ვთქვათ, "ინსინიას" ბევრი ისეთი სისტემა გააჩნია, რომელიც მყიდველს განსაკუთრებით მოხიბლავს. მათგან სულ რამდენიმეს გამოვყოფთ.

მათგან პირველია სისტემა "ოპელ აი", რომელიც ავტომობილის პასიურ უსაფრთხოებას ემსახურება. ვიდეოთვალის მეშვეობით "ინსინია" სიჩქარის შემზღუდველ საგზაო ნიშნებს არჩევს და მათ შესახებ მძღოლს აცნობებს. გარდა ამისა, "ოპელ აი" იმასაც აფიქსირებს, თუ




ავტოჰაუსის მარკეტინგისა და გაყიდვების მენეჯერი ოთარ ჩიტეიშვილი "ინსინიას" წარმოადგენს.

მძღოლმა ყურადღება მოადუნა და მოძრაობის სხვა ზოლში გადავიდა. ამ დროს ის განგაშს იმ შემთხვევაში ატეხს, თუ ავტომობილის სიჩქარე 50 კმ/სთ-ზე მეტია.

სისტემის მთავარი ნაწილი ვიდეოკამერაა, რომელიც საქარე მინასა და სალონში მდებარე უკანა ხედვის სარკეს შორისაა მოთავსებული. ეს კამერა წამში 30-მდე სურათს იღებს. კამერის ხედვის არეში 100 მეტრით დაშორებული საგნებიც ხვდება და ის ობიექტებს ღამითაც კი არჩევს (რა თქმა უნდა, თუ ეს ობიექტები განათებულია). გადაღებული ფოტოები ელექტრონულ ტვინში ხვდება, სადაც ორი პროცესორი მათ გადაამუშავებს და მახსოვრობაში ჩადებულ ფოტოებს ადარებს. თუ საგზაო ნიშანი კომპიუტერის მეხსიერებაში არსებულ ნიშნებს ემთხვევა, მაშინ ამკრძალავი ნიშანი მაჩვენებლების დაფაზე (ტაქსომეტრსა და სპიდომეტრს შორის) ინთება და მძღოლის ყურადღებას იქცევს.

მეორე სისტემაა "ფლექს რაიდ", რომელიც "ინსინიას" სამ სხვადასხვა რეჟიმში მოძრაობის საშუალებას აძლევს. ეს რეჟიმებია სპორტი, ნორმალი და ტური. მათი გადართვა კი ღილაკ "კონფიგ"-ზე დაჭერით ხდება. სისტემა "ფლექს რაიდ" არეგულირებს საკიდარის, საჭის მექანიზმის და დამხმარე სისტემების მოქმედებას. მაგალითად, სპორტულ რეჟიმში მოძრაობისას საკიდარი უფრო ხისტი, საჭის რგოლი კი უფრო ინფორმატიული ხდება. "ტურზე" გადართვის დროს კი აქცენტი კომფორტის გაუმჯობესებაზე გადადის და, შესაბამისად, საკიდარიც და საჭის მექანიზმიც რბილდება. შუალედურია რეჟიმი ნორმალი.

აღსანიშნავია, რომ "ფლექს რაიდს" დამოუკიდებლად (მძღოლის მითითების გარეშე) მოქმედებაც შეუძლია. მაგალითად, ავტომობილი ტურ-რეჟიმში მოძრაობს, მაგრამ მოულოდნელად შეიქმნა სიტუაცია, როდესაც საჭიროა გასწრება ან მოსახვევის სწრაფად გავლა. სისტემა თავადვე აფიქსირებს შექმნილ სიტუაციას და რეჟიმსაც თავადვე არჩევს. რა თქმა უნდა, სიტუაციის შეცვლისთანავე ის მითითებულ რეჟიმს უბრუნდება.

მესამე გამორჩეული სისტემა "ჭკვიანი" მაშუქებია. მას ცხრა რეჟიმი აქვს და ღამით მოძრაობისას, მძღოლს მაქსიმალურ კომფორტს უქმნის. სწორ გზაზე მოძრაობისას სისტემა იმ ზოლს, რომელშიც "ინსინია" მოძრაობს, მაქსიმალურად ანათებს. შეზღუდულია შემხვედრი ზოლის განათება. ამგვარად, საპირისპირო მიმართულებით მოძრავი ავტომობილების მძღოლებს მხედველობის პრობლემები არ ექმნებათ. ამასთან, სპეციალური გადამწოდი არჩევს შემხვედრ ზოლში არსებულ სიტუაციას. მაგალითად, იქ მოძრავი ავტომობილი შენიშნა. ამ შემთხვევაში ინფორმაცია ელექტრონულ ტვინს გადაეცემა, სადაც დგინდება შემხვედრ ავტომობილამდე მანძილი და საჭიროების შემთხვევაში, სისტემა იმ მხარეს განათების სიმძლავრეს ავტომატურად ამცირებს. მძღოლს შეუძლია, მაშუქების სისტემა რეჟიმ "ავტოზე" დააყენოს და ამ შემთხვევაში ის თავად აირჩევს მუშაობის რეჟიმებს.

გარდა ამისა, სისტემა დინამიკურიცაა – ის საჭის მექანიზმთანაა დაკავშირებული და განათების ძირითად ჭავლს იმ მხარეს მიმართავს, საითაც მძღოლი მოხვევას ცდილობს. ამგვარად, გზის ის სეგმენტი განათდება, საითაც ავტომობილი მოძრაობს და მცირდება სახიფათო სიტუაციის შექმნის ალბათობა.

მეოთხე საინტერესო სისტემაა "ჰალდექსი", რომელიც მხოლოდ "ინსინიას" სრულამძრავიან ვერსიებზე გამოიყენება და "ფლექსრაიდთან" უნისონში მუშაობს. ამ სისტემის მთავარი კვანძია მრავალდისკოიანი ქურო, რომელიც წინა და უკანა ღერძებს შორის მაბრუნ მომენტს ანაწილებს. თანაც, ყველაფერი სწრაფად და ავტომატურად ხდება – მოძრაობის რეჟიმის და საგზაო პირობების ცვლის შესაბამისად, სისტემა თავად წყვეტს, თუ რომელ ღერძს მომენტის რა ულუფა უნდა მიაწოდოს. ბრძანების შესრულება კი 80 მილისეკუნდში ხდება. ამ ტრანსმისიას გააჩნია კომპლექტაცია "სპორტ", რომელსაც ბორბლებს შორის დიფერენციალის ბლოკირება შეუძლია.

მშვიდ რეჟიმში მოძრაობისას, "ჰალდექსი" უკანა ხიდს მაბრუნი მომენტის მხოლოდ 10 პროცენტს უგზავნის. ამ დროს ავტომობილი, ფაქტობრივად, წინაწამყვანთვლიანია. მაგრამ თუ ელექტრონიკა დაადგენს, რომ წინა ბორბლების გზასთან ჩაჭიდების ხარისხი შემცირდა, მაშინ მაბრუნი მომენტი უკანა ღერძზე მეტი დოზით გადანაწილდება. არის იმის ალბათობაც, რომ უკანა ღერძი 100 პროცენტით დაიტვირთოს, წინას კი საერთოდ შეუწყდეს მომენტის მიწოდება. ამ დროს ავტომობილი უკანაწამყვანთვლიანი ხდება.

რაც შეეხება ძრავებს, აქ მყიდველს ფართო არჩევანი აქვს. "ინსინიასთვის" ამ ეტაპზე 7 აგრეგატია განკუთვნილი. მათგან ოთხი ბენზინზე მუშაობს, სამი კი – დიზელზე. შვიდივე ევრო-5 სტანდარტს შეესაბამება. საბაზო კომპლექტაციაში, ძრავებს 6-საფეხურიანი კოლოფი უწყვილდება. შეკვეთით კი ამდენივე საფეხურიანი ავტომატური კოლოფის დაყენებაც შეიძლება. ამასთან, ავტომატური კოლოფი "ინსინიას" ტოპ-ვერსიებზე საბაზო კომპლექტაციაში შედის.

ბენზინის ძრავების სამუშაო მოცულობა 1.6, 1.8, 2.0 და 2.8 ლიტრია (შესაბამისად, 115, 140, 220 და 260 ცხენის ძალა). დიზელის სამივე აგრეგატი კი 2-ლიტრიანია და ისინი ტურბოკომპრესორითაა აღჭურვილი, მათი სიმძლავრე კი 110, 130 და 160 ცხენისძალაა. ბენზინის აგრეგატებს შორის ყველაზე მძლავრი, რა თქმა უნდა, 2.8-ლიტრიანი V6-ია, რომლის მაქსიმალური სიმძლავრე 260 ცხენისძალას აღწევს. ყურადღებას იმსახურებს ბენზინის ორი ტურბომოტორის (2.0 და 2.8-ლიტრიანის) სოლიდური მაბრუნი მომენტი, რომელიც 350 ნმ-ს აწევს. ამასთან, მაქსიმუმი მუხლა ლილვის ფართო დიაპაზონში (შესაბამისად, 2000-5000 და 1800-4500 ბრ/წთ) მიიღწევა. მომავალში ეს გამა კიდევ ორი უფრო მძლავრი და ეკონომიური ძრავით შეივსება.

და ბოლოს, ფასების შესახებ. "აუტოჰაუზი" "ინსინიას" საბაზო ვერსიას 16 150 ევროდ აფასებს. კომპლექტაციის გამდიდრების კვალობაზე კი ფასი მატულობს და ტოპ-ვერსიის შემთხვევაში, 35 950 ევროს აღწევს. "აუტოჰაუზს" გაზაფხულამდე კვოტით კიდევ ათი "ინსინიას" ჩამოყვანა შეუძლია, თუმცა უფრო მეტი მოთხოვნის შემთხვევაში კვოტის გაზრდაც შესაძლებელია.



## საავტომობილო გზებზე მკაცრი შეზღუდვები კვლავ მოქმედებს

საავტომობილო გზების დეპარტამენტის ინფორმაციით, დიდთოვლობის გამო, მცხეთა-სტეფანწმინდა-ლარსის საავტომობილო გზის მლეთა-კობის მონაკვეთებზე მისაბმელიანი, ნახევრადმისაბმელიანი ავტოტრანსპორტის და 30 ადგილზე მეტი ტევადობის ავტობუსების მოძრაობა აკრძალულია, ხოლო დანარჩენი სახის ავტოტრანსპორტის მოძრაობა დასაშვებია მოცურების საწინააღმდეგო ჯაჭვების გამოყენებით. ორი და მეტი წამყვანი ხიდის მქონე ავტოტრანსპორტის მოძრაობა თავისუფალია.

ჟინვალი-ბარისახო-შატილის საავტომობილო გზის 29-52 კმ-ებზე ავტოტრანსპორტის მოძრაობა დასაშვებია მოცურების საწინააღმდეგო ჯაჭვების გამოყენებით, ხოლო ორი და მეტი წამყვანი ხიდის მქონე ავტოტრანსპორტის მოძრაობა თავისუფალია.

ბორჯომი-ბაკურიანის საავტომობილო გზის 0-28 კმ-ებზე მისაბმელიანი და ნახევრადმისაბმელიანი ავტოტრანსპორტის მოძრაობა აკრძალულია, ხოლო დანარჩენი სახის ავტოტრანსპორტის მოძრაობა თავისუფალია.

დიდთოვლობისა და ზვავსაშიშროების გამო, ზუგდიდი-ჯვარი-მესტია-ლასდილის საავტომობილო გზის 140-188 კმ-ებზე ყველა სახის ავტოტრანსპორტის მოძრაობა აკრძალულია. ამავე გზის 28-140 კმ-ებზე (ჯვარი-მესტიის მონაკვეთი) ავტოტრანსპორტის მოძრაობა დასაშვებია მოცურების საწინააღმდეგო ჯაჭვების გამოყენებით, ხოლო ორი და მეტი წამყვანი ხიდის მქონე ავტოტრანსპორტის მოძრაობა თავისუფალია.

დიდთოვლობისა და ზვავსაშიშროების გამო, ქუთაისი-ტყიბული-ამბროლაურის საავტომობილო გზის 37-56 კმ-ებზე (ნაქერალას უღელტეხილი) ყველა სახის ავტოტრანსპორტის მოძრაობა აკრძალულია.

ამავე გზის 20-37 კმ-ებზე და 56-73 კმ-ებზე მისაბმელიანი, ნახევრადმისაბმელიანი ავტოტრანსპორტის და 30 ადგილზე მეტი ტევადობის ავტობუსების მოძრაობა აკრძალულია, ხოლო დანარჩენი სახის ავტოტრანსპორტის მოძრაობა დასაშვებია მოცურების საწინააღმდეგო ჯაჭვების გამოყენებით. ორი და მეტი წამყვანი ხიდის მქონე ავტოტრანსპორტის მოძრაობა თავისუფალია.

დიდთოვლობის გამო, ალპანა-ცაგერის საავტომობილო გზის 10-22 კმ-ებზე (ორბელი-ცაგერის მონაკვეთი) ყველა სახის ავტოტრანსპორტის მოძრაობა აკრძალულია.

დიდთოვლობისა და ზვავსაშიშროების გამო, ქუთაისი-წყალტუბო-ცაგერი-ლენტეხი-ლასდილის საავტომობილო გზის 95-130 კმ-ებზე (ლენტეხი-მელეს მონაკვეთი) ყველა სახის ავტოტრანსპორტის მოძრაობა აკრძალულია.

დიდი დმანისი-დმანისი-ბედიანის საავტომობილო გზის 17-70 კ-ებზე მისაბმელიანი, ნახევრადმისაბმელიანი ავტოტრანსპორტის და დიდი ტევადობის ავტობუსებისათვის მოძრაობა აკრძალულია, დანარჩენი სახის ავტოტრანსპორტისათვის მოძრაობა დასაშვებია მოცურების საწინააღმდეგო ჯაჭვების გამოყენებით. მაღალი გამავლობის ავტოტრანსპორტის მოძრაობა თავისუფალია.

სიღნაღი-წნორის საავტომობილო გზის 0-6 კმ-ებზე მისაბმელიანი და ნახევრადმისაბმელიანი ავტოტრანსპორტის მოძრაობა აკრძალულია, ხოლო დანარჩენი სახის ავტოტრანსპორტის მოძრაობა თავისუფალია.

დიდთოვლობის გამო, ბათუმი-ახალციხის საავტომობილო გზის 90-101 კმ-ებზე ყველა სახის ავტოტრანსპორტის მოძრაობა დასაშვებია მოცურების საწინააღმდეგო ჯაჭვების გამოყენებით. მაღალი გამავლობის ავტოტრანსპორტის მოძრაობა თავისუფალია.

ამავე გზის 1-90 კმ-ებზე ავტოტრანსპორტის მოძრაობა თავისუფალია.

აღნიშნულ მიმართულებებზე მობილიზებულია საგზაო ტექნიკა. შეუფერხებელი და უსაფრთხო განვლადობის უზრუნველსაყოფად სისტემატურად მიმდინარეობს გზების გაწმენდითი სამუშაოები.

დანარჩენ გზებზე მოძრაობა თავისუფალია.

*მედიანიუსი*

## 45 წლის მამაკაცი ხანძრის დროს სახლში დაიწვა

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სოფელ სუფსაში, ერთ-ერთ საცხოვრებელ სახლს დაუდგენელი მიზეზით ცეცხლი გაუჩნდა და მთლიანად დაიწვა. გარდაიცვალა 45 წლის მამაკაცი, რომელიც ხანძრის დროს სახლში იმყოფებოდა. სავარაუდოდ, იგი არაფხიზელ მდგომარეობაში იყო.

"ჯი-ეიჩ-ენის" ინფორმაციით, გარდაცვლილს საკუთარი სახლი არ ჰქონდა და ღამეს სხვის სახლში ათევდა. მისი ოჯახის წევრები ამჟამად თბილისში ცხოვრობენ.

# სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში შესატანი ცვლილებები

*ქართულ სამართალწარმოებასა და მის საფუძველთან - კანონმდებლობასთან დაკავშირებით არსებულ სერიოზულ ხარვეზებზე, როგორც ქართველი ასევე უცხოელი ექსპერტებიც ხშირად საუბრობენ. ბოლო პერიოდში ამის აღიარება ხელისუფლებასაც მოუწია. მათი აზრით, შექმნილი სიტუაციიდან გამოსავალი ახალი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის ამოქმედებაა, რომელზე მუშაობაც ჯერ კიდევ 2004 წლიდან დაიწყო, მაგრამ კანონპროექტს საბოლოო სახე დღემდე არ მიუღია, მიუხედავად იმისა, რომ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის პროექტი ხელისუფლებამ რევოლუციურად შეაფასა და მათი პირობის მიხედვით, 2009 წლის იანვარში უნდა ამოქმედდეს.*

სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის კანონპროექტი პარლამენტმა 2007 წელს პირველი მოსმენით მიიღო, თუმცა გადაწყდა, რომ საპროცესო კოდექსის დახვეწა გაფართოებული სამუშაო ჯგუფის ფორმატში გაგრძელებულიყო. თავის დროზე, პროექტის მომზადებაში აქტიურად იყვნენ ჩაბმული დამოუკიდებელი ექსპერტები, მათ შორის "საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციაც". ერთი წლის მანძილზე, სპეციალისტების რეკომენდაციების გათვალისწინებით, კოდექსის პროექტმა არაერთი ცვლილება განიცადა. ოთხი თვის წინ კი "ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციამ" კიდევ ერთხელ მოამზადა კანონპროექტში შესატანი შენიშვნები და წინადადებები, რომლებიც გადაეგზავნა როგორც საქართველოს პარლამენტს, ისე საერთაშორისო ექსპერტებს. თუმცა, როგორც ახალგაზრდა იურისტები ირწმუნებიან, პარლამენტში მათი შენიშვნების დეტალური განხილვა ბოლო მომენტამდე არ შემდგარა. "ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციამ" ცოტა ხნის წინ პარლამენტში რეკომენდაციების ახალი პაკეტი გაგზავნა.

**"მიგვაჩნია, რომ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მიღება ძალიან მნიშვნელოვანი ნაბიჯია მართლმსაჯულების სისტემის რეფორმირების თვალსაზრისით, მაგრამ ამავე დროს აუცილებელია, რომ მოცემული დოკუმენტი საზოგადოებას წარედგინოს დახვეწილი სახით, რათა ისედაც დაგვიანებულმა რეფორმამ სასურველი შედეგი გამოიღოს,"** – წერს "ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია" პარლამენტში გაგზავნილ წერილში.

სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის კანონპრპექტის ავტორები ირწმუნებიან, რომ კანონპროექტში გათვალისწინებული ნორმები წინ გადადგმული ნაბიჯია დაცვის უფლების უზრუნველყოფისა და შეჯიბრებითობის პრონციპის განვითარების თვალსაზრისით. ამ მოსაზრებას ახალგაზრდა იურისტები ნაწილობრივ იზიარებენ. მათი მტკიცებით, ამ მიმართულებით დადებითი სიახლეები მართლაც არის პროექტში, მაგრამ 2007 წელს, პირველი მოსმენისას მნიშვნელოვანი ნორმები შეიცვალა. კერძოდ, დაცვის მხარეს დაეკარგა უფლება, სასამართლოს მიმართოს მისი ინტერესების შესაბამისად და კერძო გამოძიების მიზნით მოითხოვოს ჩხრეკის და ამოღების ბრძანება.

ამასთან, თუ საქართველოს მოქმედი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი ითვალისწინებს დაზარალებულისა და მოწმის უფლებას, იყოლიონ ადვოკატი, კანონპროექტით ეს უფლება იზღუდება.

**"სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის პროექტიდან ამოღებულია დებულება, რომელიც დაზარალებულსა და მოწმეს ადვოკატის ყოლის უფლებას ანიჭებდა, მიუხედავად იმისა, რომ მოწმე და დაზარალებული, არსებული პროექტის მიხედვით, შესაძლებელია დაიკითხოს მხოლოდ მოსამართლის წინაშე,"** – აცხადებენ "ახალგაზრდა იურისტები".

დღეს ხშირად საუბრობენ იმაზე, რომ ქვეყანაში პროკურატურა განსაზღვრავს სისხლის სამართლის პოლიტიკას. ადამიანის უფლებების დამცველების აზრით, ეს მცდარი მოსაზრებაა, რადგან, მართალია, სწორედ პროკურატურაა ის ორგანო, რომელიც ახორციელებს სისხლის სამართლის დევნას და მას შეუძლია სწორი და ადეკვატური სისხლისსამართლებრივი პოლიტიკის შემუშავება, მაგრამ საქართველოს პარლამენტს კონსტიტუციით ევალება ქვეყნის საშინაო პოლიტიკის განსაზღვრა და ამ პოლიტიკის შესრულებაზე კონტროლი. "ახალგაზრდა იუსრისტთა ასოციაციის" აზრით, გენერალური პროკურორი პარლამენტის მთავარი მრჩეველი უნდა იყოს.

კანონპროექტში პირველი მოსმენის შემდგომ გაჩნდა პუნქტი, რომლის თანახმადაც, პოლიციის თანამშრომელს შეუძლია პირის შეჩერება, იმისთვის, რათა დადასტურდეს ან გაქარწყლდეს ეჭვი მისი დანაშაულში მონაწილეობის შესახებ. "ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის" აზრით, პირის შეჩერების არსებობა პროცესუალური სტატუსისა და უფლებების გარეშე დაუშვებელია და აღნიშნული მექანიზმის ამ ფორმით საპროცესო კანონმდებლობაში შეტანა უკან გადადგმული ნაბიჯი იქნება.

"ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციას" სხვა ცვლილებების თაობაზეც გააჩნია მოსაზრებები, რომელიც განსახილველად პარლამენტს გადაუგზავნეს.

**"მიუხედავად ჩვენს მიერ დაფიქსირებული პრინციპული შენიშვნებისა, მიგვაჩნია, რომ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის პროექტი მრავალ მნიშვნელოვან საკითხს ახლებურად და უკეთ არეგულირებს, შემოდის არაერთი საინტერესო ნოვაცია, მათ შორის ნაფიც მსაჯულთა სასამართლო, პროცესი ხდება უფრო შეჯიბრებითი, მოწმეთა დაკითხვა მიმდინარეობს მხოლოდ მოსამართლის წინაშე, გამოძიება ხდება უფრო მარტივი და მოქნილი და ა.შ. მაგრამ, თუკი ამ დოკუმენტში ავსახეთ მოქმედი სისტემის ნაკლოვანებები, თუკი ჩავდეთ გაუაზრებელი ნოვაციები, თუკი დისკრეციული დევნა შეუზღუდავად, ყოველგვარი კონტროლის გარეშე განხორციელდება, თუკი ბოლომდე იგნორირებული იქნება დაზარალებულის ინტერესები, ეს რეფორმა არ მოგვცემს სასურველ შედეგს. ამიტომ გთავაზობთ ინტენსიურ რეჟიმში, იურიდიული საზოგადოების მაქსიმალური ჩართულობის პირობებში, სრულად გავაანალიზოთ პრობლემატური ასპექტები და მხოლოდ ამის შემდგომ მივიღოთ სისხლის სამართლის ახალი საპროცესო კოდექსი,"** - ასეთია "ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის" მოთხოვნა, რომლითაც მათ პარლამენტს მიმართეს.

# რუსეთში 3 წლის განმავლობაში მანიაკებმა 500-ზე მეტი მკვლელობა ჩაიდინეს

რუსეთში უკანასკნელ სამი წლის განმავლობაში სერიულმა მკვლელებმა 500-ზე მეტი მკვლელობა ჩაიდინეს. მოკლულთა უმეტესობა ბავშვები არიან და აღსანიშნავია, რომ საქმეების უმრავლესობა გაუხსნელია. ინფორმაცია სააგენტო "რია ნოვოსტიმ" გაავრცელა რუსეთის ფედერაციის პროკურატურის საგამოძიებო კომიტეტის თავმჯდომარის, ალექსანდრ ბასტირიკინის განცხადებაზე დაყრდნობით.

ოფიაციალური სტატისტიკის თანახმად, 2007-2008 წლებში რუსეთის ფედერაციაში 132 მკვლელობაა გახსნილი. ყველაზე საგანგაშო ის ფაქტია, რომ სერიული მკვლელების მსხვერპლნი ბავშვები ხდებიან. დამნაშავეთა მსხვერპლი 1,5 ათასზე მეტი მოზარდი გახდა. ბასტირიკინის თქმით, დანაშაულის ერთი ტიპის ხელწერა ადასტურებს დამნაშავის მოქმედების გააზრებულობასა და მიზანმიმართულობას.

**"სერიული მანიაკები ცდილობენ მსხვერპლთა დიდ რაოდენობას ზიანი განზრახ მიაყენონ. ამასთან დაკავშირებით რუსეთის ფედერაციის პროკურატურის საგამოძიებო კომიტეტი, სხვა სამართალდამცველ ორგანოებთან ერთად. კონკრეტულ პროფილაქტიკურ ღონისძიებებს ამუშავებ-ენ,"** - განაცხადა ბასტრიკინმა.

რუსეთის ფედერაციის პროკურატურის მონაცემებით, რუსეთში უკანასკნელი ხუთი წლის განმავლობაში ბავშვების წინააღმდეგ "ძალადობრივი სექსუალური დანაშაულის რაოდენობა" თითქმის შვიდჯერ გაიზარდა. იმ ბიჭების რაოდენობა, რომლებიც " მოძალადე ჰომოსექსუალების ქმედებებით" დაზარალდნენ, 14-ჯერ გაიზარდა.

**"2005-2007 წლებში ჩადენილი არასრულწლოვანების 320-ზე მეტი მკვლელობაა გაუხსნელი,"** - განაცხადა ბასტირიკინმა.

მან აღნიშნა, რომ პროკურატურის საგამოძიებო კომიტეტში არასრულწლოვნების მკვლელობების საქმის გამოძიებას დიდ დროს უთმობენ.

# რუსეთის შსს-ის გენერალ-მაიორის მკვლელობაზე პასუხისმგებლობა "შარიათმა" აიღო

გაზეთ "კომერსანტის" ინფორმაციით, რუსეთის ფედერაციის შინაგან საქმეთა სამინისტროს გენერალ-მაიორ ვალერი ლიპინსკის მკვლელობაზე პასუხისმგებლობა ტერორისტულმა დაჯგუფება "შარიათმა" აიღო.

გამოცემის ინფორმაციით, ტერორისტული დაჯგუფების მხრიდან შურისძიება გამოძიების ძირითადი ვერსიაა, რადგან 2004-2006 წლებში ვალერი ლიპინსკი დაღესტანის მიმართულებით მოქმედ შინაგან საქმეთა ოპერატიული სამმართველოს ჯგუფს ხელმძღვანელობდა. გენერალ-მაიორი ჩრდილოეთ კავკასიელი ბანდფორმირებების წინააღმდეგ ჩატარებულ არა ერთ სპეცოპერაციაში მონაწილეობდა და "სამხედრო დამსახურებისთვის" ორდენით და სხვადასხვა მედლებით იყო დაჯილდოვებული.

გაზეთის ინფორმაციით, ვერსია თავად "ბოევიკებმაც" დაადასტურეს, მათ მკვლელობიდან ერთ კვირაში საიტ "კავკას-ცენტრზე" ინფორმაცია განათავსეს. ამ განცხადების თანახმად, გენერალ ლიპინსკის მკვლელობა ჯამაათის "შარიათის" სპეციალურმა ოპერატიულმა დაჯგუფებამ ჩაიდინა, რომელსაც უკანასკნელ პერიოდში ომერ შეიხულაევი ხელმძღვანელობს. 2005 წელს "შარიათის" ლიდერის რასულ მაკაშარიპოვის ლიკვიდაციის შემდეგ, ეს ტერორისტული ორგანიზაცია განადგურდა და ცოტა ხნის წინ ისევ დაიწყო მოქმედება.

გენერალ-მაიორი ვალერი ლიპინსკი 29 დეკემბერს მახაჩკალაში საკუთარ ავტომანქანა "ნივაში" დაცხრილეს. თავდასხმისას გენერლის მეუღლე და მისი მეგობარი დაიჭრა, რომლებიც ასევე მანქანაში იმყოფებოდნენ. ამ ფაქტთან დაკავშირებით სისხლის სამართლის საქმე აღიძრა.

# ვაშინგტონი ისრაელის გეგმას წინ აღუდგა

როგორც გაზეთ "ნიუ იორკ თაიმსის" 15-თვიანი ჟურნალისტური გამოძიების შედეგად გახდა ცნობილი, გასულ წელს ისრაელის ხელისუფლება ირანში ნათანზას ბირთვულ კომპლექსზე იერიშის მიტანას აპირებდა და ამისთვის აშშ-ს სთხოვდა, რომ სპეციალური "ჯავშანგამტანი" ბომბები მიეწოდებინა. აშშ-ს პრეზიდენტმა ჯორჯ ბუშმა ისრაელის თხოვნა არ დააკმაყოფილა, თუმცა პრეზიდენტის ადმინისტრაციამ თელ-ავივის დაწყნარება სცადა და აუწყა, რომ ბუშმა საიდუმლო ოპერაციის ჩატარების სანქცია გასცა, რომელიც ირანის ბირთვული პროგრამის საბოტირებისკენ იყო მიმართული.

გამოძიებამ ასევე დაადგინა, რომ ბუშის ზოგიერთი კრიტიკოსის განცხადებების მიუხედავად, წარმავალმა პრეზიდენტმა პენტაგონს განკარგულება მისცა, არ გასცილებოდნენ იმ გეგმის ჩარჩოებს, რომელიც საგანგებო ვითარების შემთხვევაში შესაძლო ქმედებების განხორციელებას ითვალისწინებდა.

2007 წლის ბოლოს მომზადებულ ანგარიშში პენტაგონმა განაცხადა, რომ ირანმა, ფაქტობრივად, შეწყვიტა ბირთვულ იარაღზე მუშაობა, - იუწყება სტატიის ავტორი დევიდ სენჯერი. თუმცა, დოკუმენტის გამოქვეყნებულ ვერსიაში მხოლოდ მცირედი მინიშნება იყო იმაზე, თუ რა იმალებოდა მის გასაიდუმლოებულ ვარიანტში: სპეცსამსახურებს ეჭვი ჰქონდათ, რომ ირანი, გარდა საყოველთაოდ ცნობილი ქარხნებისა, კიდევ ფლობდა ბირთვული დანიშნულების 10-15 ობიექტს, სადაც შესაძლებელი იყო მუშაობა ბირთვული იარაღის კომპონენტების შექმნაზე.

სენჯერი აღნიშნავს, რომ სწორედ პენტაგონის ანგარიშმა აიძულა ისრაელის ხელისუფლება, დაეწყო საკუთარი ოპერაციისთვის მზადება: გაეცნო რა დოკუმენტის შინაარსს, ოლმერტმა დაასკვნა, რომ ბუში ირანის ბირთვულ პროგრამას არ შეეხებოდა და თავად გადაწყვიტა, ხელი მოეკიდა ამ საქმისთვის. თუმცა, ამერიკულმა მხარემ მტკიცე უარი განუცხადა ისრაელს თხოვნაზე, მიეწოდებინათ ავიადარტყმებისთვის საჭირო ტექნიკური საშუალებები და ნება დაერთოთ ერაყის საჰაერო სივრცეზე ფრენების



AFP ' 2009

*ვაშინგტონისგან უარის შემდეგ ოლმერტმა თავად გადაწყვიტა ირანის ბირთვული ობიექტის წინააღმდეგ ოპერაციის განხორციელება.*

განხორციელებისთვის. გაჩნდა საშიშროება, რომ ეს ნაბიჯი ერაყიდან ამერიკული ჯარების გაწვევის საფუძველს შექმნიდა. ამასთან, იმისათვის, რომ ისრაელს გადამწყვეტი ქმედებებისგან თავი შეეკავებინა, აშშ-ს ადმინისტრაციამ ირანში სადაზვერვო საქმიანობის გააქტიურება გადაწყვიტა.

გასული წლის ივნისში ისრაელის მიერ ხმელთაშუა ზღვის აკვატორიაში გამართულ სწავლებებში ამერიკელმა ექსპერტებმა ნათანზაზე იერიშის "რეპეტიცია" ამოიცნეს. ბუშის ადმინისტრაციაში სერიოზულად დაფიქრდნენ იმაზე, როგორი უნდა ყოფილიყო აშშ-ს რეაქცია, თუ ისრაელის სამხედრო ავიაცია ნებართვის გარეშე გამოჩნდებოდა ერაყის საჰაერო სივრცეში. თუმცა, **"როგორც ჩანს, ებრაელი მაღალჩინოსნები მიხვდნენ, რომ ისინი ამერიკელების დახმარების გარეშე ვერ შეძლებდნენ ობიექტზე საკმარისად ეფექტური დარტყმის განხორციელებას,"** რომელიც გადამწყვეტი გახდებოდა ირანის ბირთვული პროგრამის შესაჩერებლად.

როდესაც ცნობილი გახდა, რომ ირანელები იმაზე უფრო სწრაფად აწარმოებდნენ ურანს, ვიდრე ამერიკული სანქციების რაიმე შედეგი გამოჩნდებოდა, ბუშმა დახმარებისთვის დაზვერვის ცენტრალურ სააგენტოს მიმართა. სპეცსამსახურების წინაშე ორი მთავარი ამოცანა დაისახა: უნდა შეეფერხებულიყო სამუშაოები ნათანზას ობიექტზე და თანდათანობით გაძლიერებულიყო ზეწოლა ნაკლებად ცნობილ ირანელ პროფესორ მოხსენ ფაკრიზადეზე, რომელიც სადაზვერვო მონაცემების თანახმად, ირანის ატომური ბომბის შექმნას ხელმძღვანელობს.

ადრე მსგავს მცდელობებს უკვე ჰქონდა ადგილი, თუმცა მათ საგრძნობი შედეგი არ მოჰყოლია. როგორც "ნიუ იორკ თაიმსი" იუწყება, რამდენიმე წლის წინ ამერიკულმა სპეცსამსახურებმა ირანის მიერ თურქეთში შეძენილ, ცენტრფუგების ასამუშავებლად საჭირო ძალოვან დანადგარებზე გარკვეული "სამუშაოები" ჩაატარეს, რის შედეგადაც რამდენიმე მათგანი მწყობრიდან გამოვიდა.

ამერიკული გამოცემის მონაცემებით, ამჯერად საუბარია ზომების უფრო ფართო კომპლექსზე - იგი გავრცელდება მთელ სამრეწველო ინფრასტრუქტურაზე, რომელზეც ირანის ბირთვული პროგრამაა დამოკიდებული.

ოპერაცია 2008 წლის დასაწყისში დაიწყო. ამერიკელი მზვერავები ნედლეულისა და დანადგარების მიმწოდებელთა ქსელში შეღწევას და ირანის ელექტრონული და კომპიუტერული სისტემების მწყობრიდან გამოყვანას ცდილობენ.

გამოცემის ცნობით, მრავალი ამერიკელი მაღალჩინოსანი აღნიშნული პროგრამის მიმართ სკეპტიკურადაა განწყობილი. საპირისპირო მოსაზრების მქონენი კი თავიანთ პოზიციას იმით ხსნიან, რომ თუ ისრაელის ხელისუფლება ამერიკულ პროგრამას არაეფექტურად მიიჩნევდა, უარს არ იტყოდა ირანის ბირთვულ ობიექტზე პირდაპირ დარტყმაზე.

ბუშის ინიციატივა მემკვიდრეობით გადაეცემა ბარაკ ობამას და სწორედ ის გადაწყვეტს, "ღირს თუ არა ბუშის მიერ დაწყებული საიდუმლო ოპერაციების გამო ირანთან დიპლომატიური ურთიერთობების ინტენსიფიცირების რისკის ქვეშ დაყენება." ამასთან, აღსანიშნავია, რომ ნებისმიერი გადაწყვეტილება ობამას საკუთარ პოლიტიკურ რისკებსაც მოუტანს.

ამერიკული დაზვერვის უკანასკნელი მონაცემებით, ირანი საკმარის სიმძლავრეებს ფლობს იმისთვის, რომ, დაახლოებით, რვა თვეში ერთი საბრძოლო ბირთვული ქობინი შექმნას. სენჯერის თქმით, ამ ეტაპზე გაურკვეველია, რა სტადიაში იმყოფება ფაკრიზადეს პროექტები. მისი მონაცემებით, ამერიკული სპეცსამსახურები ძირითადად იმის გამო შიშობენ, რომ ირანის ბირთვული პროგრამის შეჩერების შემთხვევაშიც კი არ არსებობს გარანტია მის განუახლებლობაზე ან განახლების შემთხვევაში ინფორმაციის დროულად მიღებაზე.

# ლატვიის პრეზიდენტის პროტესტი რუსულ ენას

ლატვიის პრეზიდენტი ვალდის ზატლერსი რუსულენოვან ჟურნალისტებს რუსულ ენაზე აღარ გაესაუბრება. პრეზიდენტმა ამის შესახებ ჯერ კიდევ რამდენიმე კვირის წინ, ლატვიის რადიოეთერში განაცხადა. გუშინ კი მისმა პრესმდივანმა ილზე რასამ საინფორმაციო სააგენტო "რია-ნოვოსტის" ეს ინფორმაცია ოფიციალურად დაუდასტურა.

**"ლატვიაში ერთადერთი სახელმწიფო ენა მოქმედებს და ეს ლატვიურია,"** - ასე ხსნის ვალდის ზატლერსი რუსული ენისადმი გამოთქმულ პროტესტს. პრეზიდენტი იმედს გამოთქვამს, რომ მისი გადაწყვეტილება არ გააღიზიანებს ლატვიის რუსულენოვან მოქალაქეებს,



*ვალდის ზატლერსი.*

რომლებიც მოსახლეობის 44 პროცენტს შეადგენენ.

გასული წლის დეკემბერში, ლატვიის სეიმის იურიდიულმა კომისიამ ადმინისტრაციული კანონდარღვევის კოდექსში ცვლილებები დაამტკიცა, რომლებიც სამუშაო დაწესებულებებში სახელმწიფო ენის საჭირო მოცულობით გამოუყენებლობის შემთხვევაში ჯარიმის გაზრდას ითვალისწინებს. ახალი კანონის შესაბამისად, ჯარიმა 25 ლატიდან (50 დოლარიდან) – 50 (100 დოლარამდე) ლატამდე განისაზღვრება.

მოსკოვში ლატვიის ხელისუფლების ქმედებას დისკრიმინაციული უწოდეს, რადგანაც ის ეროვნული უმცირესობების უფლებების შემლახველია. რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროში აცხადებენ, რომ მსგავსი ზომები სამომავლოდ რუსული ენის გამოძევებისკენ არის მიმართული, განსაკუთრებით კი იმ შემთხვევაში, როცა რუსული ენა ლატვიის მოსახლეობის მესამედისთვის მშობლიურია.

სახელმწიფო ენის შესახებ 1999 წელს მიღებული კანონის თანახმად, ლატვიაში, ლატვიური და ლიტვური ენების გარდა, ყველა სხვა უცხო ენად მიიჩნევა. აღნიშნული კანონის მიღებისთანავე სახელმწიფო დაწესებულებებში რუსულ ენაზე დაწერილი დოკუმენტებისა და განცხადებების მიღება და შესაბამისად მათზე პასუხის გაცემა, განსაკუთრებული შემთხვევების გარდა, აიკრძალა.

# აიცილეთ კურსის ცვალებადობის რისკი!




# გახსენით
# კონვერტირებადი ანაბარი
# ბანკ "რესპუბლიკაში"!

ბანკი რესპუბლიკა
BANK REPUBLIC

ჯგუფი სოსიეტე ჟენერალი

## თქვენი ანაბრის ვალუტის კურსი ეცემა?

კონვერტირებადი ანაბარი გაძლევთ საშუალებას, გადაიტანოთ თქვენი დანაზოგი სხვა ვალუტაში და თანაც შეინარჩუნოთ ანაბარზე დაგროვილი სარგებელი.

**თუ გახსნილი გაქვთ კონვერტირებადი ანაბარი ბანკ "რესპუბლიკაში":**

- ანაბარზე განთავსებულ თანხას გაანაღდებთ ნებისმიერი ვალუტით
- მიიღებთ მაღალ სარგებელს – 14%-მდე
- ხართ მსოფლიოო საბანკო ჯგუფ "სოსიეტე ჟენერალის" პატივცემული მეანაბრე

## კონვერტირებადი ანაბრის გასახსნელად ეწვიეთ ჩვენს ნებისმიერ ფილიალს:

### თბილისის ფილიალების ქსელი

| | | |
|---|---|---|
| სათავო ოფისი | გრ. აბაშიძის ქ. 2 | 925555 |
| ცენტრალური ფილიალი | გრ. აბაშიძის ქ. 2 | 925555 |
| დელისის ფილიალი | ალ. ყაზბეგის გამზ. 47 | 312161 |
| სადგურის ფილიალი | რკინიგზის სადგურის მიმდებარე ტერიტორია | 910600 |
| დიდუბის ფილიალი | წერეთლის გამზ. 10 | 345556 |
| პეკინის ფილიალი | პეკინის გამზ. 28 | 433355 |
| გლდანის ფილიალი | ხიზანიშვილის ქ. 20 | 590550 |
| ისნის ფილიალი | ნავთლუღის ქ. 6/2 | 243737 |
| ფალიაშვილის ფილიალი | ფალიაშვილის ქ. 33ა | 912237 |
| ჭავჭავაძის 24 საათიანი ფილიალი | ჭავჭავაძის გამზ. 13 | 925555 |
| აღმაშენებლის ფილიალი | აღმაშენებლის გამზ. 112 | 243585 |
| ვაჟა - ფშაველას ფილიალი | ვაჟა - ფშაველას გამზ. 71 | 244114 |
| დიღმის ფილიალი | დიღმის მასივი, I კვარტალი, I ბ კორპუსი | 518515 |
| სანზონის ფილიალი | გურამიშვილის გამზ. 34 | 653515 |

### რეგიონების ფილიალების ქსელი

| | | |
|---|---|---|
| ქუთაისის ფილიალი | გრიშაშვილის ქ. 6 | 8(231) 58888 |
| ბათუმის ფილიალი | ქუთაისის ქ. 6 | (888 222) 32810 |
| ბათუმის 24 საათიანი ფილიალი | გოგებაშვილის ქ.24 | (888 222) 759 26 |
| სამტრედიის ფილიალი | რაზმაძის ქ. 2 | 8 (211) 21353 |
| ზუგდიდის ფილიალი | ზვ. გამსახურდიას გამზ. 34 | 8 (215) 50008 |
| რუსთავის ფილიალი | მეგობრობის გამზ. 20 | 8 (24) 12 55 55 |
| ფოთის ფილიალი | აღმაშენებლის ქ. 50 | 8 (293) 7 00 87 |
| თელავის ფილიალი | მარჯანიშვილის ქ. 4 | 8 (250) 70040 |
| სიღნაღის ფილიალი | თამარ მეფის ქ. 1 | 8 (255) 31037 |

დამატებითი ინფორმაციისათვის დაგვიკავშირდით 24 საათის განმავლობაში: (8 22) 92 55 55

www.republic.ge

ბანკი რესპუბლიკა
BANK REPUBLIC

ჯგუფი სოსიეტე ჟენერალი




12 იანვარი

**თეატრი**

**შოთა რუსთაველის სახელობის თეატრი**
გურამ საღარაძის ბენეფისი
დასაწყისი: 19.00

**კინო**

**"ამირანი"**
რაც ყველაზე ძალიან გიყვარს"
დასაწყისი: 12.30; 15.15; 17.30; 19.30; 20.00; 22.15
"დღეს, როცა დედამიწა გაჩერდა"
დასაწყისი: 19.45; 22.0
"ნადირობის სეზონი 2"
დასაწყისი: 12.00; 14.00; 16.00; 18.00;

**"რუსთაველი"**
"რაც ყველაზე ძალიან გიყვარს"
დასაწყისი: 12.15; 15.00; 17.15; 19.30; 22.00
"ნადირობის სეზონი 2"
დასაწყისი: 13.00; 15.00; 17.00 ; 19.00 ; 21.00
"დღეს, როცა დედამიწა გაჩერდა"
დასაწყისი: 12.00; 14.00; 16.15; 19.15; 21.30
"ტრანსპორტერი III"
დასაწყისი: 16.30; 20.15; 22.15

**გალერეა**

**"ქარვასლა"**
ჰორსტ იანსენის გრავიურები

**"ორნამენტი"**
ტიხრული მინანქრის მუდმივი გამოფენა

**"შარდენი"**
ლევან მარგიანის ნამუშევრების გამოფენა

**"ვერნისაჟი"**
ფელიქს ვარლამიშვილის (1903-1986) გამოფენა
ფერწერა და გრაფიკა კერძო კოლექციებიდან.

# აღადგენენ იმას, რაც დაანგრიეს?!

## ბაბილონის კონსერვაცია-რესტავრაციისათვის თანხები გამოიყო

აშშ-ს სახელმწიფო დეპარტამენტმა 700 ათასი დოლარი გამოყო იმისათვის, რომ შეიქმნას ბაღდადიდან 90 კილომეტრში მდებარე უძველესი ქალაქის, ბაბილონის ნანგრევების კონსერვაციისა და რესტავრაციის პროგრამა.

აღნიშნულ პროგრამას შეადგენს ნიუ-იორკის კულტურულ ძეგლთა დაცვის სახელმწიფო ფონდი, სახელწოდებით "World Monuments Fund" და ერაყის სახელმწიფო საბჭო, რომელსაც ამ ქვეყნის სიძველეებისა და კულტურული მემკვიდრეობის საკითხები ეხება. ამ სიახლის შესახებ ინფორმაციას სააგენტო Bloomberg ავრცელებს.

"თაიმსი" იუწყება, რომ ორგანიზატორები პროექტისა, რომელსაც The Futue of Babylon ("ბაბილონის მომავალი") ეწოდება, აპირებენ გამოსახონ ახალი და ზუსტი რუკები ქალაქში არქეოლოგიური ღირსშესანიშნაობების მდებარეობისა, ასევე, დაამუშაონ ცალკეული ობიექტების რესტავრაციის სქემა, შექმნან ტურიზმის განვითარების გეგმა და საგანმანათლებლო პროგრამა.



ბაბილონი, რომლის ნანგრევებიც სადამ ჰუსეინის დროს მრავალჯერ იქნა რესტავრირებული, 2003-2005 წლებში საგრძნობლად დაზიანდა, მაგრამ არა მარტო საომარი მოქმედებების მიზეზით, არამედ იმის გამოც, რომ მის მიდამოებში ერაყის საწინააღმდეგო კოალიციის ბაზები მოაწყვეს, ქალაქში გათხარეს ტრანშეები, დაზიანდა მისი კედლების წყობა და ა.შ.

აღსანიშნავია, რომ 2008 წლის ოქტომბერში სახელმწიფო დეპარტამენტი ერაყისა და ბაღდადის ნაციონალური მუზეუმების აღსადგენად 13 მილიონი დოლარის გამოყოფის შესახებ იუწყებოდა. ისინი ხომ 2003 წელს გაიძარცვა...

უფრო კონკრეტულად კი, 13 მილიონი დოლარის ოდენობის გრანტი აშშ-მ ერაყის სახელმწიფოს გამოუყო. ამის შესახებ ინფორმაცია სააგენტო Reuters-მა გაავრცელა.

"ჩვენ ამ თანხას მხოლოდ ერაყის დანგრეული მუზეუმის აღსადგენად კი არ მივმართავთ, არამედ ამით ინვესტიციას მსოფლიოს კულტურული მემკვიდრეობის შენარჩუნების საქმეშიც ვდებთ", - აცხადებდა აშშ-ს სახელმწიფო დეპარტამენტის მრჩეველი კულტურისა და განათლების განყოფილების საკითხებში გოლი ამერი (Goli Ameri).

იგივე საინფორმაციო სააგენტო იუწყებოდა, რომ ერაყში ამერიკული ჯარების მეთაურები საყოველთაოდ გააკრიტიკეს იმის გამო, რომ ისინი მსოფლიოს კულტურულ მონაპოვარს სათანადოდ არ მოექცნენ და კიდევ იმისათვის, რომ აშშ-ს სამხედრო ძალებმა ომის შემდგომ პერიოდში ყურადღება არ გამოიჩინეს ამ ქვეყნის კულტურული მემკვიდრეობის დასაცავად - 2007 წელს, ერაყში საომარი მოქმედებების აქტიური ფაზის შეწყვეტის შემდეგ, ნაციონალური მუზეუმიდან, დაახლოებით, 15 ათას ექსპონატზე მეტი მოიპარეს, რომელთაგან ნაწილი, დაახლოებით 6 ათასი, მოგვიანებით იპოვნეს.

## საქართველოს საპატრიარქოსთვის"ძდიდი ათეული" მიუღებელია

საქართველოს საპატრიარქომ გაავრცელა განცხადება, რომელშიც ნათქვამია, რომ გადაცემა, რომელიც საზოგადოებრივი მაუწყებლის ეთერში გასართობი პროგრამით ძდიდი ათეულის" სახელწოდებით გადის, არსებული ფორმატით არ არის მისაღები ეკლესიისთვის, რადგან იგი მიზნად ისახავს სასულიერო და საერო მოღვაწეთა ერთგვარ შეჯიბრს (არა აქვს მნიშვნელობა მოხდება ეს ძშემფასებლის" თუ ძადვოკატის" საშუალებით). "საერო პირებთან დაკავშირებით საკითხს ჩვენ არ ვეხებით, მაგრამ წმიდანებთან მიმართებაში ასეთი დამოკიდებულება გაუმართლებელია.

ეკლესია მიესალმება და მხარს დაუჭერს ნებისმიერ შემეცნებით-საგანმანათლებლო (და არა გასართობ) სატელევიზიო პროექტს, რომელიც ორიენტირებული იქნება ცოდნის გაღრმავებაზე როგორც საქართველოს ეკლესიის წმინდანების, ასევე საერო გამოჩენილ ადამიანთა მიმართ. საქართველოს საპატრიარქოს ამ საკითხზე მოლაპარაკებები აქვს ძპირველი არხის" ხელმძღვანელობასთან და ვიმედოვნებთ, ეს ურთიერთობა სასურველ შედეგს გამოიღებს, - ნათქვამია საპატრიარქოს განცხადებაში.

*მედიანიუსი*

## კომპიუტერული თამაშები ბავშვს სხვებთან ურთიერთობაში ეხმარება

კომპიუტერული თამაშები ბავშვს არათუ მარტოობაში ამყოფებს, არამედ მას სხვებთან ურთიერთობაში უწყობს ხელს, - ამბობენ ამერიკელი მკვლევარები. მათი მონაცემები "ბიბისი"-მ გამოაქვეყნა.

კვლევების თანახმად, კომპიუტერული თამაშებით მარტოდმარტო ძალიან ცოტა ბავშვი და მოზარდი ერთობა. გამოკითხულთა სამმა მეოთხედმა აღნიშნა, რომ ისინი კომპიუტერული თამაშებს ერთად, ან სხვა თანატოლებთან ონლაინ-რეჟიმში თამაშობენ.

მკვლევარებმა ასევე დაასკვნეს, რომ მცდარია მოსაზრება, თითქოსდა ამგვარი თამაშები მოზარდებს რეალური ცხოვრებისგან მთლიანად წყვეტს. კვლევაში მონაწილეთა ნახევარი ისეთ კომპიუტერულ თამაშებს ირჩევს, რომელიც მათ მორალური და ეთიკური საკითხების გადაჭრაში ეხმარება.

1102 გამოკითხულიდან, რომელთა ასაკი 12-დან 17 წლამდე მერყეობს, კომპიუტერული თამაშებით რეგულარულად ბიჭების 99. და გოგონების 94 პროცენტი ერთობა.

*მედიანიუსი*

# ანიმე და მანგა როგორც მეცნიერება

## სტუდია "დისნეი" იაპონური მულტიპლიკაციით დაინტერესდა

იაპონია თანამედროვე მსოფლიოს ერთ-ერთი ყველაზე კულტურულად მდიდარი და ამავდროულად უცნაური ქვეყანაა. ასე იყო საუკუნეების განმავლობაშიც და თუ ამ ქვეყნის განვითარების სწრაფ ტემპს გავითვალისწინებთ, იაპონია კიდევ დიდხანს გაგვაოცებს. მაგალითად, ახალი წლის დადგომისთანავე ცნობილი გახდა, რომ იაპონიის მსოფლიოში ცნობილი მეიძის უნივერსიტეტში მანგისა და ანიმეს შემსწავლელი უმსხვილესი კვლევითი ინსტიტუტი შეიქმნება.




მიუხედავად იმისა, რომ მანგასა და ანიმეს იაპონურ კულტურაში დაახლოებით ისეთი ადგილი უკავია, როგორც რელიგიას, აქამდე ამ მოვლენათა საფუძლიანად შესწავლა ვერ ხერხდებოდა. სწორედ ამიტომ გაჩნდა ამ სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის დაარსების აუცილებლობა. აღსანიშნავია, რომ ინსტიტუტს ფილიალები სხვადასხვა ქვეყანაშიც ექნება, რომლებიც ადგილზე შეისწავლიან მანგისა და ანიმეს განვითარებასა და გავლენას.

ინსტიტუტს უკვე განსაზღვრული აქვს ძირითადი მიმართულებები. აქ გამოიკვლევენ ანიმესა და მანგას ისტორიას, ტექნიკას, მეთოდოლოგიასა და დანიშნულებას თანამედროვე საზოგადოებაში. აქვე განთავსდება პატარა კინოთეატრი, სადაც ნემბისმიერ მსურველს შეეძლება სასურველი ფილმი ნახოს, ხოლო ბიბლიოთეკაში მანგას ყველა გამოცემა მოიყრის თავს.

ამ იდეას დახდებითად შეხვდა იაპონიის პრემიერ-მინისტრიც, რომელიც მანგა-ანიმეს დიდი თაყვანისმცემელი აღმოჩნდა. მან აღნიშნა, რომ კვირაში რამდენიმე მანგას წაკითხვას ახერხებს და ანიმესაც სიამოვნებით უყურებს. ამიტომ მისი ინციატივით ეს წამოწყება სახელმწიფო მნიშვნელობის რანგში აიყვანეს. გარდა ამისა, იაპონურმა დიპლომატიამ 2008 წელს უპრეცედენტო მეთოდს მიმართა და ამინეს ცნობილი პერსონაჟი Hello Kitty კეთილი ნების ელჩად დანიშნა. ამ პატარა ფისუნიას ქვეყანაში უცხოელი ტურისტების მოზიდვა ევალება, რისთვისაც მთავრობამ მისი გამოსახულების მქონე უამრავი სუვენირი გამოუშვა.

პარალელურად კინოკომპანია "დისნეი" სერიოზულად დაინტერესდა ანიმეს წარმოებით. პირველ რიგში კი ცნობილი მულტფილმის "ლილო და სტიჩის" იაპონურ ვერსიას გამოუშვებს, შემდეგ კი სხვა კლასიკური ნამუშევრების ადაპტაციას მიმართავს. როგორც "დისნეის" წარმომადგენლები აღნიშნავენ, მანგა და ანიმე იმდენად ვრცელი მასალაა, რომ ნამდვილ თემატურ ოაზისს წარმოადგენს, ამიტომ ინვესტიციების ჩადება მარკეტინგულად გამართლებული იქნება.

შეგახსენებთ, რომ მანგა დაახლოებით იგივეა, რაც ამერიკული კომიქსები. მისი ისტორია კი საუკუნეების წინ იწყება. სიტყვა მანგა ქართულად გროტესკულ, უცნაურ ნახატებს ნიშნავს. ანიმე სერიალების უმეტესობას სწორედ მანგას მიხედვით იღებენ, მანგამვე განსაზღვრა ანიმეს ცნობილი ჟანრებიც. ანიმეს სიუჟეტის შესაქმნელად ავტორს მხოლოდ შეუზღუდავი ფანტაზია მოეთხოვება. ზოგ ფილმში ისეთი სამყაროებია შექმნილი, რომლის თვითოეული დეტალი საოცრებაა. ჩვენს თვალწინ იშლება სამყარო, სადაც ყველაფერია ტრადიციული ფენტეზიდან, სრულიად ორიგინალური იდეებით დამთავრებული. ავტორი თავისუფალია პერსონაჟების ხასიათის, რაოდენობის, ასაკის, შესაძლებლობებისა და სექსუალური ორიენტაციის მხრივ. არ აქვს მნიშვნელობა სიუჟეტი კოსმოსურ საგაზე იქნება აგებული, პოლიტიკური დრამის შინაარსი ექნება, ისტორიულ პერიპეტიებს აღწერს თუ თანამედროვე ტოკიოს მაცხოვრებლებზე მოგვითხრობს - მთავარი საინტერესო და ჩამთრევი ისტორიაა.

სწორედ ამ თვისებების ნაკრები იყო ჰაიაო მიაძაკის შედევრი "სულებით გატაცებულნი", რომელმაც 2001 წელს "ოსკარი" მოიპოვა. ამავე რეჟისორის ბოლო ნამუშევარს "პონიო ტალღის ქიმზე" წელსაც აქვს ნომინაციაში მოხვედრის შანსი, რასაც დანამდვილებით 22 იანვარს გავიგებთ, როდესაც ლოს ანჯელესში "ოსკარის" ნომინანტებს დაასახელებენ.

# გურამ საღარაძე

## განუმეორებელი სახე, განუმეორებელი ხმა

თამარ კიკნაველიძე



რუსთაველის თეატრის მსახიობი - გურამ საღარაძე იუბილარია, მას 80 წელი შეუსრულდა. საიუბილეო თარიღთან დაკავშირებით, მისი შემოქმედების თაყვანისმცემლებს, საშუალება ეძლევათ კვლავ შეხვდნენ მსახიობს საღამოზე, რომელიც რუსთაველის თეატრის დიდ დარბაზში 19:00 საათზე დაიწყება.

გურამ საღარაძემ ქართველ მაყურებელს თავი არაერთი როლით დაამახსოვრა. თუმცა, სცენაზე გაცოცხლებული სახეების პარალელურად, მსახიობმა სახელი მხატვრული კითხვის ოსტატობითაც გაითქვა. ამ საქმეში ის ახლა იმ ახალგაზრდებს აოსტატებს, რომლებიც შოთა რუსთაველის სახელობის თეატრისა და კინოს უნივერსიტეტში სწავლობენ.

მსახიობის შემოქმედებითი შესაძლებლობების სრულად წარმოჩენის მიზნით, საიუბილეო საღამო ორი ნაწილისგან შედგება: თავდაპირველად გათამაშდება ნაწყვეტები რეჟისორ გოჩა კაპანაძის მიერ 2008 წელს განხორციელებული სპექტაკლიდან "მოხუცი ჯამბაზები", სადაც გურამ საღარაძე გრიგოლის როლს განასახიერებს, მას პარტნიორობას გაუწევენ: მედეა ჩახავა, ზაზა ლებანიძე, ზინა კვერენჩხილაძე, მარი ჯანაშია, მარინა კახიანი, კახი კავსაძე და ჯემალ ღაღანიძე, ხოლო მეორე ნაწილი ქართულ პოეზიას მიეძღვნება და იუბილარი მისთვის გამორჩეულად საყვარელ ლექსებს წაიკითხავს.

გურამ საღარაძე 1929 წლის 12 იანვარს, მსახიობ გიორგი საღარაძის ოჯახში დაიბადა. შოთა რუსთაველის სახელობის თეატრალური ინსტიტუტი მან 1951 წელს დაამთავრა და მაშინვე რუსთაველის თეატრში ჩაირიცხა. იმ დღიდან მოყოლებული, არაერთი საინტერესო სახე შექმნა, მათ შორის: *დონ ხაიმე* ("ესპანელი მღვდელი", რეჟისორი -

მ. თუმანიშვილი, 1954 წ.), *თეზევსი* ("ზაფხულის ღამის სიზმარი", რეჟისორი - მ. თუმანიშვილი, 1964წ.), *მასხარა* ("მეფე ლირი", რეჟისორი - მ. თუმანიშვილი, 1966წ.), *შუ ფუ* ("სეჩუანელი კეთილი ადამიანი", რეჟისორი - რ. სტურუა, 1969წ.), *იაზონი* ("მედეა", რეჟისორი -

რ. სტურუა, 1971წ.), *ჰოვსტედი* ("ექიმი სტოკმანი", რეჟისორი - რ. სტურუა, 1972წ.), *კეისარი* ("იულიუს კეისარი", რეჟისორი - მ. თუმანიშვილი, 1973წ.), *ჭეიშვილი* ("საბრალდებო დასკვნა", რეჟისორი - რ. სტურუა, 1973წ.), *კუდიანი* ("მაკბეტი", რეჟისორი - რ. სტურუა, 1995წ.) და სხვა.

ამ მსახიობის შემოქმედებას უფროსი თაობის წარმომადგენლები, ცხადია, უკეთ იცნობენ. ახალგაზრდა მაყურებელი კი, გურამ საღარაძის სამსახიობო ოსტატობაში დარწმუნდა როლებით, რომლებიც მან განასახიერა რობერტ სტურუას სპექტაკლებში "კავკასიური ცარცის წრე", (რომელიც რამაზ ჩხიკვაძის საიუბილეო თარიღებთან დაკავშირებით რამდენჯერმე აღადგინეს) და "როგორც გენებოთ ანუ შობის მეთორმეტე ღამე". პირველ მათგანში მან ერთდროულად სამი როლი - ყაზბეგი, ეფრეიტორი და მღვდელი განასახიერა, ხოლო მეორეში - სერ ტობი ბელჩი. "მოხუც ჯამბაზებს" რაც შეეხება, ამ დადგმაში გაცოცხლებული გრიგოლის სახე გურამ საღარაძის ბოლო ნამუშევარია, რომლითაც მის ოსტატობაში კიდევ ერთხელ დავრწმუნდით.

რადგან სიტყვა მსახიობის ოსტატობაზე ჩამოვარდა, არ შეიძლება არ ვახსენოთ გურამ საღარაძის პედაგოგი მიხეილ თუმანიშვილი, რომელიც მასზე წერდა: - "ინსტიტუტში დავდგით ტურგენევის "ერთი თვე სოფლად". აქ კარგად გამოჩნდა ახალგაზრდა გურამის ნიჭი და უნარი, რომელიც მან, შემდეგ უკვე რუსთაველის თეატრში გაშალა და განამტკიცა. ჩემთვის, მაგალითად, დაუვიწყარია მისი მილან სტიბორი ("როცა ასეთი სიყვარულია"), მასხარა ("მეფე ლირი"), შესანიშნავია იგი რობერტ სტურუას სპექტაკლებში - "სეილემის პროცესი", "კავკასიური ცარცის წრე" (აქ მან ჯგუფთან ერთად საბჭოთა კავშირის სახელმწიფო პრემია მიიღო) და ბევრს სხვა წარმოდგენაში... ყველგან გურამ საღარაძე გვევლინება უზადო პროფესიონალად, დრამატულ-ფსიქოლოგიურ თუ ირონიულ-სარკაზმული როლების ნიჭიერ შემსრულებლად".

გურამ საღარაძის მეტყველების პედაგოგი - მალიკო მრევლიშვილი კი, აღნიშნავდა: - "თავიდანვე ეტყობოდა, მხატვრული კითხვის ოსტატი რომ უნდა გამხდარიყო. ამას მოწმობდა გურამის მადლიანი, ვაჟკაცური ხმა, ამ ხმის ფერადოვნება, უზადო დიქცია, ქართული სიტყვის ფონეტიკური და რიტმულ-მელოდიური ბუნების სწორად ფლობა, ემოციურობა, ტემპერამენტი და არტისტიზმი. მაგრამ განა ინსტიტუტში სხვა სტუდენტები არ იყვნენ ამ თვისებებით დაჯილდოებულნი? რა თქმა უნდა, იყვნენ. გურამ საღარაძემ გაიმარჯვა, რადგან არ ჩაახშო თავისი ტალანტი, აწრთო იგი და ერთად გადმოშალა ესტრადაზე".

მსახიობის ოსტატობაზე საუბრისას, პარტნიორისადმი დამოკიდებულებასაც ახსენებენ ხოლმე. როგორც ჩანს, გურამ საღარაძე ამ თვალსაზრისითაც გამორჩეულია.

"მე და გურამი არაერთხელ ვყოფილვართ დანიშნული ერთსა და იმავე როლზე, ორივეს გვითამაშნია გეგა (მ. მრევლიშვილის "ზვავი"), ლერო

(კ. ბუაჩიძის "ამბავი სიყვარულიდა"), მინდია (კ. გამსახურდიას "ხოგაის მინდია) და სხვა. გურამი ყოველთვის რჩებოდა მაღალი მოქალაქეობრივი ტაქტის მქონე პიროვნებად და ყოველი ახალი ერთად ნათამაშევი როლის შემდეგ უფრო და უფრო ვახლოვდებოდით და უმნიშვნელო პატარა ღრუბელსაც კი არასოდეს დაუჩრდილავს ჩვენი მეგობრობის სუფთა ცა", - იხსენებდა მსახიობი კოტე მახარაძე.

გოგი გეგეჭკორი კი აღნიშნავდა: - "დღეს გურამ საღარაძეს რუსთაველის სახელობის თეატრში განსაკუთრებული და განუმეორებელი ადგილი აქვს. მე უაღრესად მომწონს მის მიერ შექმნილი მკვეთრად სახასიათო მხატვრული სახეები და იმასაც თუ გავითვალისწინებთ, რომ სახასიათო როლები უფრო ძნელი დასაძლევია, მით უფრო საინტერესოდ გამოჩნდება გურამის რთული შემოქმედებითი გზა. მისი მხატვრული სახეები ყოველთვის გამოირჩევიან მაღალნიჭიერებით, პროფესიონალიზმით, სიმკვეთრითა და მასშტაბურობით".

გურამ საღარაძის შესახებ ბევრი დაიწერა. მსახიობის შემოქმდებით წარმატებებზე გამოქვეყნებულ სტატიებში არაერთია ისეთი, სადაც კრიტიკოსთა დამოკიდებულებაა გამოვლენილი. მასზე თეატრმცოდნე ვასილ კიკნაძე წერდა: - "გურამ საღარაძემ იცის თანადროული მოტივების წარმოჩენა და სათქმელის ზუსტად განსაზღვრა. აქამდე, არც ერთ მსახიობს არ წარმოუდგენია ასე ფართო რეპერტუარით თავისი შემოქმედება დიდი აუდიტორიის წინაშე, როგორც ეს გააკეთა გურამ საღარაძემ თავისი გამოსვლებით ფილარმონიის დიდ დარბაზში თუ სხვადასხვა საღამოებზე, ტელეგადაცემებსა თუ ფირფიტებზე ჩაწერის დროს. ქართული თეატრის ისტორიაში მხოლოდ გურამ საღარაძეს მიენიჭა უმაღლესი ეროვნული ჯილდო - რუსთაველის პრემია მხატვრული კითხვისათვის".

გურამ საღარაძეს 1961 წელს მიენიჭა საქართველოს დამსახურებული არტისტის, ხოლო 1973 წელს - საქართველოს სახალხო არტისტის წოდებები. 1976 წელს, რუსთავის საერთაშორისო თეატრალურ ფესტივალზე - "ოქროს ნიღაბი" მას გადაეცა გრან-პრი კუდიანის როლის შესრულებისათვის სპექტაკლში "მაკბეტი" (რეჟისორი - რ. სტურუა). 1979 წელს მიიღო სახელმწიფო პრემია როლებისათვის: ყაზბეგი, ეფრეიტორი, მღვდელი ("კავკასიური ცარცის წრე", რეჟისორი - რ. სტურუა), ხოლო 1998 წელს, ლვოვის საერთაშორისო თეატრალურ ფესტივალზე - "ოქროს ლომი" კლავდიუსის როლის საუკეთესო შესრულებისათვის სპექტაკლში "ჰამლეტი" (რეჟისორი - ა. ვარსიმაშვილი). 2001 წელს გახდა თბილისის საპატიო მოქალაქე, ხოლო 2006 წლის 13 ნოემბერს რუსთაველის თეატრის წინ გაიხსნა მსახიობის სახელობის ვარსკვლავი.

გურამ საღარაძე მონაწილეობს მრავალ ქართულ ფილმში: "ბაში-აჩუკი" - 1956 წ., "მამლუქი" - 1958 წ., "პალიასტომის ტბა" - 1963 წ., "ნუცა" -1971 წ., "დათა თუთაშხია" - 1977 წ., "დიმიტრი II" -1982 წ., "მიდიოდა მატარებელი" - 2005 წ. და ა.შ.

**გურამ საღარძე**: "ინსტიტუტიდან, 1951 წელს პირდაპირ რუსთაველის თეატრში დავიწყე მუშაობა. მას შემდეგ აქ ვარ. ნეტავი იმ დროს... იყო აზრთა ჭიდილი, შეხლა-შემოხლა, კამათი, იყო არასწორი პოზიციებიც, მაგალითად, მიხეილ თუმანისვილის მიმართ. მაგრამ, მაინც ის დრო სჯობდა... ახლა, რატომღაც, მგონია (იქნებ იმიტომ რომ ხანში შევედი) ყველაფერი მშვიდად მიდის, არადა, ქართულ თეატრს დასამშვიდებელი არაფერი აქვს. მიუხედავად ცალკეული მიღწევებისა, მას სერიოზული დაფიქრება მართებს. განსაკუთრებით რეჟისურას. ვინ მოდის რობერტ სტურუასა და თემურ ჩხეიძის შემდეგ? ჩანს ჰორიზონტზე ისეთი ძალის ახალგაზრდა რეჟისორი, რომელიც გაუძღვება მომავალ თეატრს? მე ვერ ვხედავ."

ყოველ ორშაბათს საქართველოს ეროვნული მუზეუმი და გაზეთი "24 საათი" წარმოგიდგენთ პროექტს, რომელიც ეროვნულ მუზეუმში გაერთიანებული სხვადასხვა მუზეუმის გამორჩეული ექსპონატების პოპულარიზაციას ისახავს მიზნად.



## თიხის ორყურიანი ჭურჭელი

საქართველოს ეროვნული მუზეუმის სიღნაღის მუზეუმში არაჩვეულებრივი არქეოლოგიური კოლექცია არის დაცული. თქვენი ყურადღება არქეოლოგიის დარბაზში ექსპონირებულ ერთ მეტად საინტერესო ნივთზე კერძოდ კი ორყურიან ქვაბზე გვინდა გავამახვილოთ.

თიხის ორყურიანი ჭურჭელი, ე.წ. ქვაბი უხეში, მოყავისფრო თიხისგან არის დამზადებული. ამოღარული ხაზებითა და კოპების რიგით შემკული ჭურჭელი უნიკალურია თავის ფორმით. ჭურჭლის სიმაღლეა 21 სმ. ხოლო პირის დიამეტრი 31 სმ. ის XX საუკუნის 70 იან წლებში, კახეთში სოფელ ზემო ბოდბესთან შესწავლილ ერთ-ერთ გორასამარხში აღმოჩნდა. აღნიშნული სამარხიდან ძვ.წ. II ათასწლეულის 20-ზე მეტი თიხის ჭურჭელი, ბრინჯაოს სატევრები, ქვის კვერთხისთავი, ობსიდიანის ისრისპირები და სხვა ნივთებიც იქნა ამოღებული.

საქართველოში ბრინჯაოს ხანის არცერთ სხვა ძეგლზე მსგავსი ფორმის თიხის ჭურჭელი აღმოჩენილი არ არის. ამავე დროს ქართველმა არქეოლოგებმა (პროფ. კ. ფიცხელაური) ყურადღება მიაქციეს იმ ფაქტს, რომ ეს ჭურჭელი ფორმით 1938 წელს წალკის პლატოზე, თრიალეთის გორასამარხში აღმოჩენილ ბრინჯაოს ორყურიან ქვაბს ჰგავდა, რომელიც შუა ბრინჯაოს ხანის ე.წ. "თრიალეთის ბრწყინვალე ყორღანულ კულტურას" მიეკუთვნება.

თრიალეთის აღნიშნული ბრინჯაოს ქვაბიც თავის მხრივ უნიკალურ ნივთს წარმოადგენს, რომელსაც ამერიკელი მეცნიერის კ. რუბინსონის მიხედვით პარალელები მხოლოდ წინააზიურ და ეგეოსურ სამყაროში, ბიბლოსურ, ასურულ და მიკენურ კულტურებში ეძებნება.

ამრიგად, ზემო ბოდბეში აღმოჩენილი თიხის ორყურიანი ჭურჭლის შემთხვევაში ჩვენ საქმე გვაქვს ბრინჯაოს ხანის არქეოლოგიაში ცნობილ ფაქტთან, როდესაც ძვირფასი მასალისაგან დამზადებული ნივთის მიბაძვით შედარებით იოლად მოსაპოვებელი მასალისგან ამზადებენ იგივე ფორმის ან შემკულობის ნივთს, რომელსაც იგივე ფუნქცია უნდა შეესრულებინა მაშინდელ დაკრძალვის რიტუალში.

თრიალეთის N15 გორასამარხი რომ საზოგადოების გამორჩეულ წევრს ეკუთვნოდა, ამაზე იქ აღმოჩენილი ხელოვნების სხვა ბრწყინვალე ნიმუშებიც მიუთითებს. ხოლო საზოგადოების შედარებით ნაკლები შეძლების მქონე წევრები იძულებული იყვნენ წარჩინებულებისთვის იმით მიებაძათ, რომ უფრო ხელმისაწვდომი მასალისგან დაემზადებინათ ნივთები, რომლებიც ძვირფასი ნივთების ფორმას გაიმეორებდა.

*ლევან ჭაბაშვილი*
*საქართველოს ეროვნული მუზეუმი*

# შობა-ახალი წლის თარიღისათვის

## ნაწილი II

როგორ უნდა აისახოს საეკლესიო კალენდარში დღესასწაულთა თარიღები, მაგალითად, შობისა? როგორ უნდა მოხდეს მისი სეზონებთან დაკავშირება?

აქ ცხადია ერთი რამ, საეკლესიო კალენდრის სეზონებთან დაკავშირება მის გამიწიერებაზე მიუთითებს, რაც მიუღებელია მართლმადიდებლური ცნობიერებისათვის. მნიშვნელოვანია იმის გაცნობიერება, რომ უდიდეს საეკლესიო დღესასწაულებს სივრცობრივ-გეოგრაფიული მნიშვნელობები კი არა აქვთ შეძენილი, არამედ მისტიკურ-სიმბოლური! კონკრეტულად მაცხოვრის შობისათვის ვიტყვით: - ნუთუ შეიძლება ვიფიქროთ, რომ რადგან დედამიწის ჩრდილოეთ ნახევარსფეროში ამ პერიოდისათვის არის დღის ხანგრძლივობის მატება, ხოლო სამხრეთ ნახევარსფეროში კი კლება, ეკვატორს მიღმა აღარ მოქმედებს შობის წმიდა სიმბოლოები? ასევე მცდარია ის შეხედულებაც, რომლის მიხედვითაც ქრისტიანული პასექი ასტრონომიული გაზაფხულის დღესასწაულად არის მიჩნეული. მართალია, წმიდა წერილის უწყება ახალი აღთქმის პასექის შესახებ გაზაფხულის პირველ თვეზე - ნისანზე მიუთითებს, მაგრამ ეს სრულებით არ ნიშნავს იმას, რომ აღდგომა მთელ მსოფლიოში გაზაფხულზე უნდა აღინიშნოს, რადგან ეს ეკვატორის ორივე მხარეს სეზონთა სხვაობის გამო შეუძლებელია!

აქ საგულისხმო და არსებითი კი სულ სხვა რამ გახლავთ. წმ. იოანე ოქროპირი გაზაფხულის დღეღამსწორობის შესახებ საუბრისას უპირატესად მის საიდუმლო შინაარსზე გვესაუბრება, როგორც უმთავრესზე, და არა მის ასტრონომიულ მხარეზე, ხოლო მაცხოვრის შობაზე საუ-ბრისას, ეხება რა ზამთრისა და გაზაფხულის (სეზონთა) მონაცვლეობას, მორწმუნეთა ყურადღებას "ზეციური გაზაფხულის" დადგომაზე ამახვილებს. სწორედ ამიტომ ასე გვმოძღვრავს წმიდა მამა:

- "მაცხოვარმა აღასრულა რა ჭეშმარიტი პასექი, ვნების შვიდეულში თავი მოუყარა ყველა ნიშანს და ვადას, რომელიც ახასიათებდა ბიბლიურ შვიდ დღეს, რათა ზუსტად აღედგინა ყველა გარემოება შესაქმისა. ჩვენ კი იმის გამო, რომ დროთა გაერთიანება ამგვარი სიზუსტით ყოველთვის არ ხდება, მხოლოდ ჭეშმარიტი პასექის მიბაძვით ჩვენი შესაძლებლობების ფარგლებში აღვასრულებთ ხოლმე აღდგომის დღესასწაულს, რათა მივაღწიოთ გარკვეულ მსგავსებას მის პირველსახესთან - უფლის პასექთან".

მისივე თქმით: "საოცარია მართლმადიდებელთა დღესასწაულები, საზეიმოა მოწამეთა ხსენება, კეთილსახიერია (მორწმუნეთა) განკრძალული სიხარული! არა თუ ცვალებად ჟამს ვზეიმობთ, არც წელიწადს ვეთაყვანებით, ... არ ვმსახურებთ დროს, რადგან იგი წარმავალია, არც დღეს ვცემთ თაყვანს, როგორც კანონზომიერებას დაქვემდებარებულს. ყველაფერი ძველდება ჟამთა მსვლელობით და დროც მათთან ერთად; ... ჩვენ კი ღვთაებრივ, დიად მოვლენებს - მოწამეთა ღვაწლს, დაფლულთა (ამა ქვეყნიდან განსრულთა - დკ. ბ. გ.) გამარჯვებას ვზეიმობთ, ... უპირატესად კი იესო ქრისტეს სასწაულებს, ... მერე კი მის რჩეულთა ღვაწლს". ... თანავმკვიდრობთ ზეციურ სამყაროში, სადაც არც თვეთა სათვალავია, არც მზე და არც მთვარე, და არც წლიური წრებრუნვა".

ასევე წმ. გრიგოლ ნოსელი მსჯელობს რა დღე-ღამტოლობაზე, შემდეგ-ნაირად განმარტავს მას: ხოლო დღესწორობა, შემწყნარებელი სააღდგომო დღესასწაულისა, თავის თავში იმ განმარტებას შეიცავს, რომ მას შემდეგ, რაც თანაბარძალოვნად შეერკინება კეთილს ბოროტება, უკვე აღარ მოხდება გადასვლა საპირისპირო მდგომარეობაში, არამედ იმძლავრებს ნათელი ცხოვრება, განილევა რა დღის მოჭარბებით კერპთმსახურების წყვდიადი, რის გამოც მთვარისეული სრბოლის ორმოცდღიანი [ხანგრძლივობა] მზის სხივების პირისპირ აჩენს მას (მთვარეს), აღვსებულს ბრწყინვალების ყოველგვარი სიმდიდრით... ასე რომ, უწყვეტად ჰგიეს ერთი სინათლე, რაც დღისეული და ღამისეული სრბოლის ხანგრძლივობაში არანაირად აღარ განიყოფება წყვდიადის ჩამოწოლით".

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, ცხადია, რომ ...ძსიზუსტე და გულმოდგინება უნდა გამოვიჩინოთ არა დროთა ზუსტ დაკვირვებასა და აღრი-ცხვაში, არამედ უპირატესად წმიდა ზიარებასთან ღირსეულად მიმთხვევაში", როგორც ამას წმიდა იოანე ოქროპირი გვასწავლის.

შეკითხვა 7: საქართველოს ეკლესიის მე-4 კრება საეკლესიო კალენდრის რეფორმის საკითხს შეეხო. რას ვიტყოდით ამის შესახებ?

პასუხი: დიახ, საქართველოს ეკლესიის მე-4 კრებამ, 1927 წლის 24 ივნისის განჩინებით, საეკლესიო ცხოვრებაში ახალი სტილი - შერეული კალენდარი შემოიღო.

ამ საკითხში გარკვევისათვის აუცილებელია ისტორიული გარემოს გათვალისწინება, რომელიც თანმდევი იყო იმ პერიოდისა. 1921-27 წლები უმძიმესი დრო გახლდათ საქართველოს ეკლესიის ისტორიაში. როგორც ცნობილია, იმჟამინდელი ხელისუფლება ფართომასშტაბიან რეპრესიებს აწარმოებდა და ბუნებრივია, ძლიერი წნეხის ქვეშ საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიაც მოექცა. ანგრევდნენ და ძარცვავდენ ეკლესიებს, სასულიერო პირებს ძალით ათქმევინებდნენ უარს ღვთისმსახურებაზე. ამ ვითარებაში მორწმუნენი შიშით შეჰყურებდნენ ახალგაზრდა კომკავშირლების მიერ წამოწყებულ საზარელ საქმეებს, ტაძრების შებილწვას, კომკავშირული "შობისა" და "აღდგომის" დღესასწაულების ჩატარებას" და სხვა.

როგორც ეკლესიის ისტორიის ერთ-ერთი მკვლევარი გვაუწყებს, საქართვე-ლოს პროვინციებში ე. წ. "სასამართლო პროცესები" დაიწყო, სადაც ბრალმდებ-ლად მუშათა კლასისა და გლეხობის წარმომადგენლები გამოდიოდნენ, ძბრალ-დებულად" კი საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის ღვთისმსახურნი. ასეთი ძსასამართლოების" განაჩენით 1923 წლის 9 თებერვალს, ონში დაგმობილ იქნა რელიგია, როგორც "ხალხის მტერი". ასეთივე ღონისძიებები მოეწყო ქუთაისში 1923 წლის თებერვალში. სასამართლოს გადაწყვეტილებით ძდამნაშავეებად სცნეს" წმ. მოწამე დავით და კონსტანტინეს ნეშტები. ამაზე დიდი მკრეხელობა განა რა შეიძლება იყოს. ასეთი დიდი ზეწოლა იყო მაშინ სახელმწიფოს მხრიდან ეკლესიაზე.

სხვა ფაქტებსაც გავიხსენებთ. 1923 წლის 12 იანვარს საქართველოს სსრ საგანგებო კომისიამ მიიღო გადაწყვეტილება, საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის საკათალიკოსო საბჭოს წევრების დაპატიმრების შესახებ. იმავე დღეს დაპატიმრებულ იქნენ სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი, უწმიდესი და უნეტარესი წმიდა ამბროსი ხელაია, მიტროპოლიტი ქუთათელი წმიდა ნაზარი ლეჟავა, ქაშვეთის ეკლესიის წინამძღვარი კალისტრატე ცინცაძე, დიდუბის ეკლესიის დეკანოზი იოსებ მირიანაშვილი და მრავალი სხვა, ხოლო 1923 წლის 7 ივლისის ცეკ-ის საიდუმლო განკარგულებით საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის რეზიდენცია ქ. თბილისის საბინაო განყოფილებას გადაეცა.

ამდენად, ვფიქრობთ ჩვენს მიერ მოხმობილი მცირედი მასალიდანაც ცხადია, თუ როგორ ერეოდა საქართველოს ეკლესიის მართვა-გამგეობაში, და როგორ ზეგავლენას ახდენდა იმდროინდელი ხელისუფლება ეკლესიაზე.

ამგვარად, საქართველოს ეკლესიის მე-4 კრების ზემოხსენებული დადგენილების განხილვისას უცილობლად უნდა გავითვალისწინოთ:

1) თანმდევი ისტორიული გარემო და უმძაფრესი ზეწოლა ეკლესიაზე;

2) ის, რომ ხსენებულმა დადგენილებამ მორწმუნე ერში დიდი მღელვარება გამოიწვია. ამის გამო 1928 წლის 28 სექტემბერს საკათალიკოსო სინოდი კვლავ დაუბრუნდა ახალი სტილის საკითხს და განაჩინა: - 1928 წლის 1 ოქტომბრიდან საქართველოს ეკლესიაში ღვთისმსახურება კვლავ ძველი სტილით, იულიუსის კალენდრით აღსრულებულიყო!.

აქ შეიძლება მავანს შეკითხვა დაებადოს. ჰქონდა კი უფლება საკათალიკოსო სინოდს ამგვარი გადაწყვეტილების მიღებისა? რაზეც ვუპასუხებთ, რომ იმჟამად მოქმედი საქართველოს ეკლესიის მართვა-გამგეობის დებულებით, რომელიც ხსენებულ მე-4 კრებაზე იქნა მიღებული (1927 წლის 21-27 ივნისს), მას ამის უფლება ჰქონდა. ამ დებულების მე-19 პარაგრაფის მე-3გ მუხლში მითითებულია, რომ:

-საკათალიკოსო სინოდს ანუ მუდმივ კრებას "საჭიროებათა მიხედვით, არსებულ კანონთა ფარგლებში განკარგულების გამოცემა და დროებით, მორიგ საეკლესიო კრებამდე, მისი გატარება" შეუძლია. ამავე დებულების მე-18 პარა-გრაფის მითითებით, ირკვევა, რომ "საკათალიკოსო სინოდის დადგენილებანი სავალდებულოა ყველა საეკლესიო დაწესებულებათა და ეკლესიის წევრთათვის; იმათი შეცვლა შეუძლია მხოლოდ სინოდს და პერიოდულ ან არაჩვეულებრივ კრებას".

რაც შეეხება მორიგ, რიგით მე-5 საეკლესიო კრებას, მას არ გაუუქმებია საკათალიკოსო სინოდის ზემოხსენებული განჩინება ძველი სტილის სამოქმედოდ დატოვების შესახებ, რითაც აღნიშნული საკითხი დღის წესრიგიდან მოიხსნა.

შეკითხვა 8: ცნობილია, რომ ფინეთის ავტონომიური მართლმადიდებელი ეკლესია აღდგომის დღესასწაულს ახალი სტილით (გრიგოლის კალენდრით) აღ-ნიშნავს. რას ვიტყოდით ამის შესახებ?

პასუხი: ამ საკითხში გარკვევისათვის საქართველოს საპატრიარქოს სალვთისმეტყველო კომისიის N2 საინფორმაციო ბიულეტენიდან (თბილისი - 1998წ.) ამონარიდს მოვუხმობთ: "ფინეთის ავტონომიური ეკლესია არღვევს ნიკეის I მსოფლიო კრების გადაწყვეტილებებს: აღდგომას აღნიშნავს გრიგორიანული პასქალიით, რომელიც ხშირად იუდეველთა პასექს ემთხვევა. ასევე ირღვევა მსოფლიო კრების დადგენილება, რომ ყველა მართლმადიდებელმა ეკლესიამ ერთ დღეს აღნიშნოს აღდგომის დღესასწაული. გულისტკივილით უნდა აღვნიშნოთ, რომ ანტიოქიის კრების I კანონის თანახმად ფინელი ქრისტიანები სასჯელს იმსახურებენ. მათი შესმენა კონსტან-ტინოპოლის საპატრიარქომ უნდა განახორციელოს, რომლის იურისდიქციაშიც იმყოფება ფინეთის მართლმადიდებელი ეკლესია".

შეკითხვა 9: ისტორიულ ჭრილში რა ფაქტს გავიხსენებდით, საზოგადოდ, კალენდრის რეფორმის ზოგიერთ მომხრეთა ჭეშმარიტი მიზნების შესახებ?

პასუხი: საფრანგეთში 1789 წლის 14 ივლისს, ბასტილიის დაცემისა და საფრანგეთის რესპუბლიკად გამოცხადების პირველივე დღიდანვე, გამოცემულ იქნა კანონი საეკლესიო კალენდრის გაუქმების შესახებ. მოგვყავს ციტატა: - ეკლესიის მსახურთ და მესვეურთ, რა თქმა უნდა, სძულდათ ახალი კალენდარი და რევოლუციური წესები, მაგრამ რესპუბლიკური ხელისუფლებისა და ხალხის შიშით ხმას ვერ იღებდნენ. მხოლოდ ერთმა ეპისკოპოსმა გაბედა კალენდრის ერთ-ერთი ავტორისათვის – ჟ.რომმისათვის (1750-1795წ.) გაეგზავნა ასეთი შინაარსის ღვარძლიანი შეკითხვა: რისთვის გჭირდებათ თქვენი კალენდარი? რომმა თამამ ეპისკოპოსს ასეთი პასუხი გასცა: "იმისათვის, რომ თქვენი აღდგომა ესე იგი ქრისტეს რწმენა გავანადგუროთ".

ერთ-ერთი ისტორიკოსი შემდგომში ჟილბერტ რომმის შესახებ წერდა: - "იგი მსჯავრდებული იმის გამო, რომ დამშეული ხალხის მხარე დაიჭირა, გაექცა სასჯელს, დაიცა რა გულში დანა". ვფიქრობთ, რომ აღნი-შნული ფაქტი ნაწილობრივ მაინც წარმოაჩენს იმ ძალებს, რომლებიც შეგნებულად, კალენდრის საბაბით, თვით ეკლესიას უპირისპირდებიან.

**P. S.** და ბოლოს, ყოველივე ზემოთქმულთან დაკავშირებით გვსურს კვლავ სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია II 2005 წლის ძსაშობაო ეპისტოლედან" რამდენიმე ციტატას მოვუხმოთ:

რა თქმა უნდა, დამცველები მრავლად ეყოლება როგორც ახალი, ისე ძველი სტილის მიმდევართ და ისინი შეეცდებიან, დაამტკიცონ საკუთარი პოზიციის მართებულობა, მაგრამ არის რამდენიმე ისეთი უმნიშვნელოვანესი მოვლენა, რაც, ვფიქრობთ, ყველასათვის მრავლისმთქმელია:

- ყოველ 19 იანვარს (ძვ. სტილით 6 იანვარი), იესო ქრისტეს ნათლისღების და წყალკურთხევის დღესასწაულზე წმინდა მდინარე იორდანეში იერუსალიმის პატრიარქის მიერ წარმოთქმული ლოცვისას: "და მართლუკუნ იქცა იორდანე", მდინარე წუთიერად, მართლაც უკუსვლას იწყებს. ამ სასწაულის სანახავად მრავალი მორწმუნე ჩადის სხვა და სხვა ქვეყნიდან;

- ყოველ 19 აგვისტოს (ძვ. სტილით 6 აგვისტოს) ღამით, ფერისცვალების დღესასწაულზე, იერუსალიმში, თაბორის მთაზე, ზაფხულის ყველაზე მცხუნვარე დროს, ჩნდება ღრუბელი, რომელიც წირვის დამთავრებამდე ფარავს მორწმუნეთ და ახსენებს მათ I საუკუნეში აქ აღსრულებულ ერთ-ერთ უდიდეს სასწაულს;

- ყოველ წელს იერუსალიმში ძველი სტილით აღდგომის წინადღეს, მაცხოვრის საფლავზე მხოლოდ მართლმადიდებელი პატრიარქის ლოცვით ზეციდან გარდამოდის ღვთაებრივი ცეცხლი, რაც ნათელი დადასტურებაა როგორც იულიუსის კალენდრის ისე მართლმადიდებლური სარწმუნოების ჭეშმარიტებისა" (იხ. 5, გვ. 12-13).

- "ხაზგასმით აღსანიშნავია ისიც, რომ არცერთ წმიდა მამას არც XVI ს-მდე (ანუ ახალი სტილის შემოღებამდე) და არც მის შემდეგ, იულიუსის კალენდრის უნივერსალურობის გამო, მისი შეცვლის აუცილებლობის შესახებ საკითხი არასდროს დაუყენებია (იხ. 5, გვ. 13).

- დღეისათვის არ არსებობს ახალ კალენდართან დაკავშირებით მსოფლიო ეკლესიის საერთოსაყოველთაო შეთანხმება და მისი სათანადო დასაბუთება. ამიტომაც, ამგვარი ნოვაცია დამღუპველ ზიანს მოუტანს ჩვენი ეკლესიის ერთობას (რისი მაგალითებიც სხვაგან არაერთი გვაქვს), რაც აუცილებლად უნდა გავითვალისწინოთ" (იხ. 5, გვ. 11).

შენიშვნა: ზემოთ მოყვანილი ციტატების თანმიმდევრობა ჩვენს მიერ არის შეცვლილი, რაც ოდნავადაც არ ცვლის მათში წარმოდგენილ ავტორისეულ მოსაზრებებს.

*ქაშვეთის*
*წმიდა გიორგის სახელობის*
*ტაძრის წინამძღვარი*
*დეკანოზი*
*ბიძინა (გუნია)*

# სპორტი

## რჩეული ოთხეულები გაცხადდა

გიგა გურასაშვილი

*საქართველოს ძიუდოისტთა ნაკრები ახალ საერთაშორისო სეზონს შინ იწყებს. 24-25 იანვარს თბილისი მსოფლიო თასს უმასპინძლებს. მასპინძლებთან ერთად მასში მონაწილეობას მიიღებენ მსოფლიოს, ძირითადად კი ევროპის ნაკრები გუნდები. საქართველოს ნაკრები თბილისის მსოფლიო თასისთვის გაფართოებული შემადგენლობით ემზადება დიღომში, შოთა ჩოჩიშვილის სახელობის ძიუდოს აკადემიაში. საქართველოს ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა შოთა ხაბარელმა თითოეული წონის ის ოთხეულები დაასახელა, რომლებიც სპორტის სასახლეში იასპარეზებენ.*



*დავით ქევხიშვილი თბილისის მსოფლიო თასს გამოტოვებს.*

თბილისის საერთაშორისო ტურნირის საგზურის მფლობელები ჯერ კიდევ თვე-ნახევრის წინ საქართველოს ჩემპიონატის შედეგებით გამოვლინდნენ, მაგრამ 28-კაციანი სია ბოლომდე შევსებული მაინც არ იყო. საამისოდ ხაბარელმა წინასაშეჯიბრო შეკრება გამოიყენა და რჩეული კვარტეტებიც გაახმოვანა. უკვე ცნობილია, რომ თბილისის მსოფლიო თასზე ვერ ვიხილავთ ოლიმპიურ ჩემპიონებს ზურაბ ზვიადაურსა და ირაკლი ცირეკიძეს, ასევე დავით ქევხიშვილს. ამ სამეულის გარდა, მსოფლიო თასზე დანარჩენი ქართველი ძიუდოისტები მოსინჯავენ ძალებს.

ნესტორ ხერგიანი, ზაზა კედელაშვილი და გრიგოლ მამრიკიშვილი "მშობლიურ" წონით კატეგორიებზე ერთი წონით ზევით იასპარეზებენ. თუმცა, ხერგიანი და კედელაშვილი მომდევნო ტურნირებზე ჩვეულ წონებს დაუბრუნდებიან. მამრიკიშვილი კი, სავარაუდოდ, ახალ წონაში დასამკვიდრებლად გააგრძელებს ბრძოლას (81 კგ წონის აწ უკვე ყოფილმა ლიდერმა გრიგოლ მამრიკიშვილმა ბოლო ეროვნულ ჩემპიონატში 90 კილოგრამში მოსინჯა საკუთარი ძალა და მეორე ადგილი დაიკავა).

**საქართველოს ნაკრები:**

**60 კგ.**
ამირან პაპინაშვილი
ბეთქილ შუკვანი
იოსებ ნიჟარაძე
ლევან ჩუბინიძე

**66 კგ.**
ნესტორ ხერგიანი
მინდია ხომიზური
გიორგი ფერსაშვილი
შალვა ქარდავა

**73 კგ.**
ზაზა კედელაშვილი
თენგიზ პაპოშვილი
დავით კუპრაშვილი
ამბაკო ავალიანი

**81 კგ.**
ხვიჩა ხუციშვილი
გრიგოლ შინჯიკაშვილი
გიორგი ბაინდურაშვილი
ლევან წიკლაური

**90 კგ.**
ვარლამ ლიპარტელიანი
მინდია ბოდაველი
გრიგოლ მამრიკიშვილი
რევაზ ჩიკოიძე

**100 კგ.**
ლომერ ჟორჟოლიანი
დავით ლორიაშვილი
დიმიტრი ტურაშვილი
ვალერი იმერლიშვილი

**+100 კგ.**
ლაშა გუჯეჯიანი
ზვიად ხანჯალიაშვილი
ალექსი დავითაშვილი
ადამ ოქრუაშვილი

## წარმატებული სტარტი

გუშინ ტოკიოს სუმოს დარბაზ "კოკუგიკანეში" სტარტი აიღო 2009 წლის პირველმა სუპერტურნირმა. ელიტურ მაკუჩი დივიზიონში 2008 წლიდან ორი ქართველი ასპარეზობს - ლევან ცაგურია (კოკაი) და ლევან გორგაძე (ტოჩინოშინი). 2008 წელი კოკაიმ მეოთხე მაიგაშირას რანგში დაასრულა, ტოჩინოშინმა კი - მეთერთმეტე.

გუშინ იანვრის ბაშოს პირველი საასპარეზო დღე გაიმართა. ორივე ქართველი კარგად გაისარჯა. დოხიოზე ჯერ ტოჩინოშინი გამოვიდა, რომელსაც დასავლეთის მეთორმეტე მაიგაშირა კაკიზოე უწევდა მეტოქეობას. ახალგაზრდა ქართველმა სუმოისტმა იორიკირის ილეთით მოიგო ორთაბრძოლა და აქტივში პირველი გამარჯვება ჩაიწერა.

ლევან ცაგურიას მეტოქე კი აღმოსავლეთის მეხუთე მაიგაშირა ფუტენო იყო. კოკაიმ, ისევე როგორც მისმა ახალგაზრდა თანამემამულემ, მეტოქეს იორიკირის ილეთით სძლია.



*კოკაიმ და ტოჩინოშინმა სეზონის პირველი ბაშო გამარჯვებით დაიწყეს.*

იანვრის ბაშო იმითაცაა აღსანიშნავია, რომ მასში ორივე იოკოძუნა ასპარეზობს. მართალია, ლეგენდად ქცეულ ასოშორიუს ექიმები ამ ტურნირის გამოტოვებას ურჩევდნენ, მაგრამ იმპერატორის თასის არაერთგზის გამარჯვებული მაინც გამოვიდა დოხიოზე. გუშინ ასოშორიუმ აღმოსავლეთის სეკივაკე კისენოსატო დაამარცხა.

იოკოძუნა ჰაკუჰომ კი, რომელმაც ასოშორიუს არყოფნაში იოლად მოიგო 2008 წლის უკანასკნელი სუპერტურნირი, დასავლეთის სეკივაკე ტოიноშიმას დამარცხებით დაიწყო წლის პირველი ბაშო. დღეს ასპარეზობის მეორე დღეა. ჩვენთვის, ცხადია, ყველაზე საინტერესო ის არის, თუ ვისთან მოუწევთ ჭიდილი ქართველ სპორტსმენებს. ტოჩინოშინის მეტოქე იქნება დასავლეთის მეცამეტე მაიგაშირა კორიუ, რომელიც ბაშოს პირველ დღეს დამარცხდა. ბოლო ერთი წლის განმავლობაში კორიუ სულ ორჯერ დაუპირისპირდა ტოჩინოშინს და ორჯერვე მოუგო.

კოკაის მეტოქე კი იქნება დასავლეთის მესამე მაიგაშირა გუედო, რომელმაც, კოლკის მსგავსად, ბაშოს სტარტზე გამარჯვება იზეიმა. ბოლო ერთი წლის განმავლობაში კოკაი მხოლოდ ერთხელ შეხვდა გუედოს. მაშინ გამარჯვება ქართველს დარჩა.

### გრიგალავა - "აიაქსში"

შესაძლოა, მალე კიდევ ერთი ხმაურიანი ქართული ტრანსფერის მომსწრენი გავხდეთ - ამსტერდამის "აიაქსში" სინჯებზე იმყოფება 19 წლის ქართველი მცველი გია გრიგალავა. გრიგალავა ადრე მოსკოვის "ტორპედოში" თამაშობდა, თუმცა იქ ქართველობის გამო პრობლემები შეექმნა. გასული წელი მან პირველი დივიზიონის როსტოვის სკა-ში გაატარა, სადაც 25 მატჩში 2 გოლი გაიტანა. "აიაქსთან" ერთად გრიგალავა პორტუგალიურ "ალგავრეში" ვარჯიშობდა. სწორედ ახლა უნდა გაირკვეს, დარჩება თუ არა ახალგაზრდა ქართველი ფეხბურთელი ამსტერდამულ გრანდში.

### სალუქვაძე კლუბს იცვლის

საქართველოს საფეხბურთო ნაკრების მცველმა ლაშა სალუქვაძემ, რომელმაც გასულ სეზონში ყაზანის "რუბინთან" ერთად რუსეთის ჩემპიონატის ოქროს მედლები მოიგო, შესაძლოა "ტომის" ან "ყუბანის" მაისური მოირგოს.

სალუქვაძემ "რუბინის" რიგებში ბოლო ოთხი სეზონი გაატარა და სამომავლოდაც ყაზანში დარჩენა სურს, თუმცა, ჯერჯერობით, კლუბთან კონტრაქტი არ გაუგრძელებია. თანაც, "რუბინისთვის" საჩემპიონო სეზონში ლაშა თავისი გუნდის ძირითად შემადგენლობაში თითქმის ვერ ხვდებოდა. ქართველი ფეხბურთელის ბედი 20 იანვრისთვის გაირკვევა, როდესაც "რუბინი" თურქულ შეკრებას დაასრულებს.

### ბენიტესი ახალ კონტრაქტს ელის

მიუხედავად იმისა, რომ "ლივერპული" ამ სეზონს უმაღლეს დონეზე ატარებს და მერსისაიდელები ახლოს არიან სანუკვარ ოცნებასთან - ქვეყნის ჩემპიონობასთან, კლუბის ხელმძღვანელობა გუნდის მთავარ მწვრთნელ რაფაელ ბენიტესთან კონტრაქტის გახანგრძლივებას არ ჩქარობს, რაც ბენიტესს უხერხულ მდგომარეობაში აყენებს.

"ჩემს აგენტს კონკრეტული წინადადება არ მიუღია და ეს გულს მტკენს. იმედია, ყველაფერი კარგად იქნება. მომავალს დაველოდოთ. ახლა მეტს ვერაფერს გეტყვით," - რბილად მიანიშნებს საკუთარ უკმაყოფილებაზე ბენიტესი. მოქმედი კონტრაქტის მიხედვით, ბენიტესი "ენფილდზე" კიდევ 18 თვით უნდა დარჩეს. თითქოს კონტრაქტის გახანგრძლივება საჩქარო სულაც არ არის, მაგრამ მოლაპარაკებები ჯერ კიდევ გასული წლის ნოემბრის პირველ რიცხვებში დაიწყო და, პირვანდელი ინფორმაციით, ის თვის ბოლომდე უნდა დასრულებულიყო. გარკვეული პერიოდით, ის რაფას ჯანმრთელობის მდგომარეობამ შეაფერხა (ის თირკმელში კენჭის გავლამ შეაწუხა). მიუხედავად ამისა, მოლაპარაკებები გასული წლის ბოლოს მაინც უნდა დამთავრებულიყო, მაგრამ, როგორც ჩანს, ყველაფერი რიგზე არ არის.

### "ლაციოს" ტალანტის დაკარგვა ემუქრება

იტალიური კლუბი "ლაციო" შესაძლოა ლორენცო დე სილვესტრის გარეშე დარჩეს, რომელიც იტალიაში ერთ-ერთ ყველაზე პერსპექტიულ ტალანტად ითვლება. 20 წლის ფეხბურთელი რომაულ გუნდში საკუთარი მდგომარეობით უკმაყოფილოა, რადგან მიმდინარე სეზონში სერია A-ს მხოლოდ შვიდ შეხვედრაში მიიღო მონაწილეობა, კონტრაქტი კი "ლაციოსთან" 2010 წელს ეწურება.

"დღევანდელი დღით ცხოვრებას მიჩვეული ვარ, ამიტომ მომავალზე ჯერ არ ვფიქრობ. ჯერჯერობით "ლაციოს" ფეხბურთელი ვარ. რა იქნება მომავალში, ეს მოგვიანებით გაირკვევა. კლუბის პრეზიდენტთან საუბრის შემდეგ ალბათ ბევრი რამ გაირკვევა, ახლა კი ვერაფერს გეტყვით. "ლაციოსთან" ახალი კონტრაქტის გაფორმების წინააღმდეგი არ ვარ, მაგრამ ეს მხოლოდ იმ შემთხვევაში მოხდება, თუ ძირითადი შემადგენლობის ფეხბურთელი გავხდები", - ამბობს ლორენცო დე სილვესტრი.

### "ბორდომ" მცველი გაანათხოვრა

საფრანგეთის საფეხბურთო პირველ დივიზიონში მოასპარეზე "ბორდოს" მარცხენა მცველი ფლორიან მარანჟი სეზონის დარჩენილ ნაწილს იჯარით "ლე ავრში" გაატარებს, რომელიც სატურნირო ცხრილში ბოლო ადგილზეა.

"მისთვის აუცილებელია, რომ საკუთარ შესაძლებლობებში დარწმუნდეს, რისთვისაც სათამაშო პრაქტიკაა საჭირო", - განაცხადა "ბორდოს" მთავარმა მწვრთნელმა ლორან ბლანმა.

### კანუტეს არ აპატიეს

ესპანეთის ფეხბურთის ფედერაციის სადისციპლინო კომიტეტმა "სამეფო თასის" 1/8 ფინალში "დეპორტივოსთან" 2:1 მოგებულ მატჩში გოლის გატანის შემდეგ გაკეთებული ჟესტისთვის "სევილიას" ფორვარდი ფრედერიკ კანუტე 3000 ევროთი დააჯარიმა.

მეტოქის კარის აღების შემდეგ კანუტემ სათამაშო მაისური აიწია და დემონსტრაციულად გამოაჩინა შავი მაისური წარწერით "Palestina".

ამ ჟესტით მალელმა ფორვარდმა ისრაელ-პალესტინას შორის მიმდინარე შეირაღებულ კონფლიქტში პალესტინელებს დაუჭირა მხარი.

### იბიშევიჩი საუკეთესოდ დაასახელეს

გერმანიის პირველი ბუნდესლიგის ლიდერის "ჰოფენჰაიმის" თავდამსხმელი ვედად იბიშევიჩი 2008 წელს ბოსნია-ჰერცეგოვინის საუკეთესო ფეხბურთელად დაასახელეს. 24 წლის ფორვარდს, რომელმაც მიმდინარე სეზონში ბუნდესლიგის 17 მატჩში 18 გოლი გაიტანა, სარაევოში გადასცეს პრიზი.

იბიშეჩივი 2007 წლის ივლისიდან იცავს "ჰოფენჰაიმის" ღირსებას და საერთო ჯამში გერმანიის როგორც მეორე, ისე პირველ ბუნდესლიგაში გამართულ 48 შეხვედრაში 23-ჯერ აიღო მეტოქის კარი.

### ვენგერს ფული სჭირდება

ლონდონის "არსენალის" მთავარი მწვრთნელი არსენ ვენგერი უფულობას უჩივის და ზამთრის სატრანსფერო ბაზარზე გუნდის პასიურობას ამით ხსნის.

"რა თქმა უნდა, გარკვეული რგოლების გაძლიერება მუდამ საჭიროა, თუმცა, მე ჩვენს ხელთ არსებული კონტინგენტითაც კმაყოფილი ვარ. ჯერჯერობით მოკლე სათადარიგო სკამი გვაქვს და ამის გამო ზამთრის სატრანსფერო პერიოდში ერთ ან ორ ფეხბურთელს დავიმატებთ. ბევრი ფული არ გვაქვს და სატრანსფერო ბაზარზე ამიტომ არ ვაქტიურობთ. ეს მხოლოდ ჩვენს კლუბს არ ეხება. თუ დააკვირდებით, ინგლისური კლუბების უმრავლესობა ასეთივე სიტუაციაშია", - ამბობს ვენგერი.

### ელერდაისს კრუსი არ ემეტება

"ბლექბერნის" მთავარმა მწვრთნელმა სემ ელერდაისმა განაცხადა, რომ პარაგვაელმა თავდამსხმელმა როკე სანტა კრუზმა ზამთრის სატრანსფერო პერიოდში გუნდი არ უნდა მიატოვოს და მას პრემიერლიგაში დარჩენაში დაეხმაროს. "სანტა კრუსმა გუნდი ზამთარში არ უნდა მიატოვოს. მასთან ერთად პრემიერლიგაში დარჩენის მეტი შანსი გვექნება, ზაფხულში კი შევხედავთ, შესაძლოა კრუსმა წასვლა თავადაც არ ისურვოს. როკეს შესაძლო წასვლასთან დაკავშირებული ხმები გუნდში ერთგვარ დაძაბულობას ქმნის. მესმის, რომ ზაფხულში მისი სატრანსფერო ფასი დაეცემა, მაგრამ ჩვენთვის ახლა მთავარია არა მასში აღებული ფული, არამედ თავად ფეხბურთელი, რომელსაც გუნდის გადარჩენა შეუძლია", - განაცხადა ელერდაისმა.

### დეფო "დეზებს" დაუბრუნდა

"ტოტენჰემ ჰოტსპურმა" "პორტსმუთიდან" ჯერმეინ დეფოს ტრანსფერის შესახებ ოფიციალური განცხადება გააკეთა. ტოტენჰემელთა მთავარი მწვრთნელის ჰარი რედნაპის განცხადებით, იგი დეფოსგან შედეგიან თამაშს ელის.

"ჩემს სამწვრთნელო კარიერაში ჯერმეინთან კონტრაქტს უკვე მესამედ ვაფორმებ, რადგან მას ექსტრა-კლასის თავდამსხმელად ვთვლი. მისი გუნდში დაბრუნება გუნდის გულშემატკივრებსაც ძალიან გაუხარდებათ". დეფომ 2004-08 წლებში "ტოტენჰემის" მაისურით გამართულ 139 მატჩში 43 გოლი გაიტანა.

### რა ღირს ბუნდესლიგის ლიდერობა

როგორც "ჰოფენჰაიმის" მეცენატმა, პროგრამული უზრუნველყოფის მწარმოებელ SAP-ის 68 წლის თანადამფუძნებელმა დიტმარ ჰოპმა ერთ-ერთ გერმანულ გამოცემასთან საუბარში განაცხადა, უკანასკნელი რვა წლის განმავლობაში მან კლუბის განვითარებაზე 175 მილიონი ევრო დახარჯა.

ამ თანხის უმეტესი ნაწილი ინფრასტრუქტურაში ჩაიდო - 90 მილიონად ჰოპმა ორი სტადიონი და საწვრთნელი ბაზა ააშენა; 40 მილიონი რეგიონში ბავშვთა მოსამზადებელი ცენტრების შექმნას მოახმარა; 25 მილიონად კლუბმა ბოლო ორი წლის განმავლობაში ახალი ფეხბურთელები შეიძინა, რომელთა დახმარებითაც ბუნდესლიგამდე აღზევდა და მიმდინარე სეზონში შემოდგომის ჩემპიონიც გახდა; კიდევ 20 მილიონით ჰოპმა კლუბის სხვადასხვა საჭიროებანი დააფინანსა. ჰოპი იმედოვნებს, რომ მის მიერ კლუბში ჩადებული თანხები მომდევნო სეზონიდანვე მოუტანს მოგებას, "განსაკუთრებით იმის გათვალისწინებით, რომ "ჰოფენჰაიმის" მოთამაშეთა საბაზრო ღირებულებამ მკვეთრად იმატა."

ამავე დროს ის დასძენს, რომ კლუბი "ახლა არავის გაყიდვას არ გეგმავს" და "მეორე წრეშიც იგივე შემადგენლობით ითამაშებს".

# ფაჩულიას გარეშე "ქორები" მეორედაც დამარცხდნენ

NBA-ს რეგულარულ სეზონში ზედიზედ მეორე თამაში წააგო "ატლანტა ჰოუქსმა". ზაზა ფაჩულიას ეს ორი მატჩი ავადმყოფობის გამო გაუცდა - ქართველ ცენტრს გრიპის ვირუსი შეეყარა. მის არყოფნაში ატლანტელები მეორედ შეხვდნენ "ორლანდო მეჯიქს". ამჯერად, ფლორიდაში და წინა მატჩისგან განსხვავებით, დამარცხდნენ.

სამი დღის წინ შინაურ "ფილიპს არენაზე" "ჰოუქსმა" 102:106 წააგო "ორლანდოსთან", შაბათს, გამთენიისას კი 87:121 დამარცხდა. ატლანტელებისთვის ყველაფერი დასრულდა პირველი მეოთხედის შემდეგ, რომელიც მათ 18:41 წააგეს. ამ მატჩში საინტერესო მეტი არაფერი მომხდარა. ორლანდოელები დიდი სხვაობით გაიჭრნენ წინ და საბოლოოდ იოლ გამარჯვებას მიაღწიეს.

ამ წაგების შემდეგ ატლანტელებმა დაკარგეს აღმოსავლეთ კონფერენციაში მეოთხე ადგილი. მათ გაასწრო "დეტროიტმა", რომელსაც, "ქორების" მსგავსად, 22 მოგება კი აქვს, მაგრამ ერთით ნაკლები მატჩი წააგო და მეტოქე უკან ჩამოიტოვა.

ზაზა ფაჩულია, სავარაუდოდ, დღეს გამთენიისას უნდა დაბრუნებულიყო მოედანზე, როდესაც "ატლანტა" შინ "ფილადელფიას" ეთამაშებოდა.



ფაჩულია "ქორებს" ვერ ეხმარება.

წარუმატებელი გამოდგა უკრაინის საკალათბურთო პირველობის მორიგი ტური "ბკ კიევისთვისაც". მანუჩარ მარკოიშვილის გუნდი საშინაო ჩემპიონატში მეორედ დამარცხდა. დედაქალაქელები მისივე უახლოესმა მდევარმა "აზოვმაშმა" დაამარცხა და სატურნირო ცხრილში ლიდერთან ჩამორჩენა მინიმუმამდე შეამცირა.

მასპინძელთა გამარჯვება მათ მიერ მაღალ დონეზე ჩატარებულმა მატჩის პირველმა ნახევარმა განაპირობა. დიდ შესვენებაზე "აზოვმაში" 11-ქულიანი უპირატესობით დაწინაურდა - 46:35. კიეველებმა მხოლოდ ამის შემდეგ დაიწყეს მატჩის გადარჩენისთვის ზრუნვა, მაგრამ მათი მონდომება მხოლოდ ანგარიშში სხვაობის შემცირებას ეყო. საბოლოოდ "აზოვმაშმა" 77:75 გაიმარჯვა.

დიდად არც ქართველ კალათბურთელს გამოუჩენია თავი. მოედანზე გატარებულ 18 წუთში მან მხოლოდ 4 ქულა (5-დან 2 ორქულიანი, 1-დან 0 სამქულიანი, საჯარიმო არ უსვრია) და ამდენივე მოხსნა დააგროვა.

ამ მატჩის შემდეგ "ბკ კიევს" უკრაინის ჩემპიონატში 12 გამარჯვება დარჩა, წაგებათა გრაფაში კი ერთიანი ორიანად გადაკეთდა. "აზოვმაშის" აქტივში, 3 მარცხის წილ, 11 მოგებაა. კიეველები უახლოეს მატჩს 13 იანვარს, ევროჩელენჯზე გამართავენ. ამ დღეს ისინი გერმანულ "სკაილაინერსს" უმასპინძლებენ.

ესტონეთის საკალათბურთო ჩემპიონატის ცენტრალურ მატჩში კი გიორგი ცინცაძისა და ვიქტორ სანიკიძის "ტარტუ როკი" ტალინის "კალევს" ესტუმრა და პრინციპულ მეტოქეს 103:80 სძლია.

მატჩის პირველი მეოთხედი ტალინელებმა 7 ქულის სხვაობით მოიგეს, თუმცა, დარჩენილ დროში ტარტუელებს სათანადო წინააღმდეგობა ვერ გაუწიეს და 23-ქულიანი სხვაობით დამარცხდნენ.

ქართველ კალათბურთელთაგან "როკის" სასტარტო ხუთეულში ცინცაძემ ითამაშა და 26 წუთში 5 ქულა, 2 მოხსნა და 9 პასი მიითვალა.

გიორგიმ 2-დან 1 ორქულიანი გამოიყენა და 3 სამქულიანი ცდიდანაც 1 ჩააგდო.

ჩინებულად გაისარჯა სანიკიძე, რომელმაც 18 წუთში 13 ქულა და 6 მოხსნა მოაგროვა.

ვიქტორმა 5-დან 3 ორქულიანი და 3-დან 1 სამქულიანი ზუსტად ტყორცნა, ხოლო 7 საჯარიმოდან 4 გამოიყენა.

"ტარტუ როკს" 6-დან 6 მატჩი აქვს მოგებული და ესტონეთის პირველობის ლიდერად რჩება.

16 იანვარს ქართველთა გუნდი ბოლოსწინა ადგილზე მყოფ "პიარნუს" უმასპინძლებს.

# მიზანი - მსოფლიო ჩემპიონობა

2008 წელი ქართული ჭადრაკისთვის წარმატებული გამოდგა. საქართველოს ქალთა ნაკრებმა ოლიმპიური ჩემპიონის ტიტული დაიბრუნა.

ახალი წლის დაწყებასთან ერთად გასული სეზონის შედეგებზე საუბარი ჩვეული საქმეა. ჭადრაკის ფედერაციის პრეზიდენტმა, საერთაშორისო დიდოსტატმა გია გიორგაძემ საქართველოს ჭადრაკის ფედერაციის ოფიციალური ვებგვერდისთვის მიცემულ ინტერვიუში 2008 წელი შეაჯამა და სამომავლო გეგმებზე ისაუბრა.

**- რას იტყვით აგვისტოში გამართულ ქალთა მსოფლიო ჩემპიონატზე, რომელზეც ქართველ მოჭადრაკეებს უნდა ეთამაშათ?**

- ვფიქრობ, ჭადრაკის ფედერაციამ მოჭადრაკეებთან ერთად მიიღო იმ მომენტისთვის ერთადერთი სწორი გადაწყვეტილება - უარი თქვა რუსეთის ტერიტორიაზე თამაშზე, თუმცა, როგორც ოლიმპიადამ გვიჩვენა, ჩემპიონატი სხვა ქვეყანაში რომ გამართულიყო და ჩვენს გოგონებს მიეღოთ მონაწილეობა, ჩემპიონატის საბოლოო შედეგი შეიძლება სულ სხვაგვარი ყოფილიყო.

**- ახალგაზრდულ ჩემპიონატში რა წარმატებები გქონდათ? თუ შეიძლება, გვესაუბრეთ პერსპექტიულ მოჭადრაკეებზე, პროექტებზე, მომავლის გეგმებზე.**

- მსოფლიოსა და ევროპის ასაკობრივმა ჩემპიონატებმა დაგვანახა, რომ ქართულ ჭადრაკს ღირსეული მომავალი ეზრდება. პირველ რიგში აღვნიშნავ იმ მოჭადრაკეებს, რომლებმაც თავი გამოიჩინეს: პაიკიძე, არაბიძე, წაწალაშვილი, ლორთქიფანიძე. კარგი პერსპექტივა აქვთ დანელიას, ბრეგაძეს, გურამიშვილს... ვფიქრობ, თუ ისინი მიზანმიმართულად იმუშავებენ, არ იზარმაცებენ, მათ შეუძლიათ დიდი მოჭადრაკეები გახდნენ. ფედერაცია კი ეცდება მათ ხელი შეუწყოს დაოსტატებაში. სწორედ ეს არის ფედერაციის მუშაობის ერთ-ერთი პრიორიტეტი.

**- როგორი იყო წინასაოლიმპიადო მზადება? გუნდი როგორ დაკომპლექტდა? რას ელოდით?**

- როგორც ზემოთ ვთქვი, წინასაოლიმპიადო მზადებისთვის გვქონდა მხოლოდ ერთი თვე, მაგრამ ყველაფერი მოვასწარით: ინდივიდუალური მეცადინეობები, შეკრება, გუნდის ეკიპირება. რაც მთავარია, ერთი მიზნისთვის მებრძოლი გუნდი ჩამოვაყალიბეთ. ვგულისხმობ როგორც ქალებს, ისე ვაჟებს. გუნდის დაკომპლექტებისთვის ავირჩიეთ სპორტული პრინციპი, რომ გამოგვერიცხა საკითხისადმი სუბიექტური დამოკიდებულება. სასურველი შედეგი იყო ქალებისთვის სამეული, ვაჟებისთვის - ათეული. უნდა აღვნიშნო ქალთა გუნდისა და მისი კაპიტნის ბრწყინვალე შედეგი და მაია ჩიბურდანიძის ფანტასტიკური თამაში. ასეთი მაია არ მინახავს. ცალკე მინდა ვთქვა ვაჟებზე. ქალების წარმატების ფონზე მოკრძალებულად ჩანს მე-5 მე-11ადგილის გაყოფა. თუმცა თვითონ ის ფაქტი, რომ არც ერთ დაფაძე ჩავარდნა არ გვქონია (+2 და +3), იმედს მაძლევს, რომ ამ გუნდს დიდი პოტენცია აქვს.

**- რეგიონულ ფედერაციებში რა მდგომარეობაა?**

- რეგიონებში ჭადრაკის განვითარება ფედერაციის მუშაობის ერთ-ერთი მთავარი პრიორიტეტია. ამ მხრივ გასაკეთებელი ჯერ კიდევ ბევრი გვაქვს, თუმცა მოვასწარით არჩევნების ჩატარება იმერეთში, თბილისში. 13 იანვარს იქნება კახეთში, სადაც ფედერაციას სათავეში ჩაუდგება გუბერნატორი, რაც იმედს მაძლევს, რომ კახეთიც სრულფასოვნად ჩაებმება საჭადრაკო ფერხულში.

**- რას გვეტყვით საქართველოს ქალთა 66-ე ჩემპიონატის პირველი ლიგის დროს მოჭადრაკეთა ერთი ჯგუფის მიერ პროტესტის ნიშნად ტურნირში არმონაწილეობაზე?**

- ეს ძალზე სამწუხარო ფაქტია, მით უმეტეს, რომ მასში ჩაბმულნი აღმოჩნდნენ ახალგაზრდა მოჭადრაკეები. ვფიქრობ, ახალგაზრდები დაკავებულნი უნდა იყვნენ დაოსტატების ამაღლებით და არა სატურნირო დებულებების რევიზიით, რაოდენ არასწორადაც არ უნდა მიაჩნდეთ ის. კანონი ყველასთვის კანონი უნდა იყოს. ტურნირის დებულება კი ჩვენი კანონია და მისი ხშირი ცვლა არ შეიძლება.

**- ბოლო ხანს საქართველოს საჭადრაკო ცხოვრება ძალიან გააქტიურდა, ბევრ ახალ ტურნირს ჩაეყარა საფუძველი, ბევრია დაგეგმილი, მომავლის გეგმა...**

- ჭადრაკის ფედრაცია უნდა იყოს აქტიური. სასახლეში უნდა მოდიოდნენ ბევრი ბავშვები, ტარდებოდეს ტურნირები, ხელი უნდა შევუწყოთ მომავალ თაობას დაოსტატებაში, უნდა დავიბრუნოთ გულშემატკივარი. მხოლოდ ეს შეიძლება იყოს შედეგის მომტანი. ოლიმპიური ჩემპიონობა დავიბრუნეთ. შემდეგი მიზანი მსოფლიო ჩემპიონობაა.

# TOP 14-ის ქართული სარაგბო დერბი და სხვა ქართველები


AFP ' 2009

*კლერმონელმა ზირაქაშვილმა "მონპელიესთან" გამარჯვებაში ლომის წილი დაიდო.*

*საფრანგეთის სარაგბო მინდვრებზე, ამ შემთხვევაში კი TOP 14-ში წარმატებულ სვლას განაგრძობს საქართველოს ეროვნული ნაკრების პირველი ხაზის მორკინალი დავით ზირაქაშვილის "კლერმონი". გუნდმა, რომელმაც მიმდინარე გათამაშება არადამაჯერებლად დაიწყო, მდგომარეობა მკვეთრად გაიუმჯობესა. ზედიზედ მესამე შეხვედრაა მოედანს გამარჯვებულის რანგში ტოვებს. ამასთან მოწინავეთა ოთხეულშიც მყარად მოიკიდა ფეხი.*

მე-15 ტურის შეხვედრა და შესაბამისად "კლერმონისა" და "მონპელიეს" შეხვედრა იმადაც იყო მნიშვნელოვანი რაგბის ქართველი გულშემატკივრისთვის, რომ ზირაქაშვილს ურთიერთობის გარკვევა მოუწია ეროვნული ნაკრებიდან მისსავე თანაგუნდელ 2008 წლის საუკეთესო ქართველ მორაგბე მამუკა გორგოძესთან. ამასთან შარშან საუკეთესოდ შერაცხული გორგოძე მასპინძლად მოგვევლინა. მიუხედავად მასპინძლის სტატუსისა თუ შესაბამისი უპირატესობისა "მონპელიემ" კლერმონელებთან გამკლავება მაინც ვერ შეძლო და 3:30 დამარცხდა. ცნობისთვის, ორივე "ბორჯღალოსანი" საკუთარი გუნდის ძირითად შემადგენლობაში იყო.

ქართული დერბი შედგა დავით ხინჩაგიშვილის "ბრივსა" და გია ლაბაძის და დავით ქუბრიაშვილის "ტულონს" შორის. ეგაა, განაცხადში არ ყოფილა ლაბაძე. როგორც არ უნდა იყოს, მასპინძელმა "ბრივმა" 19:9 იმარჯვა.

"ბრივი" 37 ქულით მე-6 საფეხურზეა, "ტულონს" კი 20 ქულა დარჩა და ბოლო, მე-14 ადგილზე დაეშვა.

ეროვნული ნაკრების და საკუთარი გუნდის ლიდერ გოდერძი შველიძის "მონტობანმა", რომლის შემადგენლობაში გიორგი მჭედლიშვილი და ბექა შეყლაშვილიც ირიცხებიან, დაძაბულ ორთბრძოლაში "ბაიონი" 15:13 დაამარცხა. შველიძე განაცხადში იყო და მწვრთნელმა მოედანზე მხოლოდ მას შემდეგ შეუშვა, როდესაც მეტად გაუჭირდათ - მოედანზე 77-ე წუთზე შეუშვეს. მონტობანელების ანგარიშზე ახლა 37 ქულა და მეშვიდე საფეხურზეა.

TOP 14-ში ადგილის შესანარჩუნებლად მებრძოლი აქვსენტი გიორგაძის "კასტრი", საკუთარ მოედანზე ერთ-ერთ კონკურენტთან, საფრანგეთის ნაკრების ყოფილ დამრტყმელ, ქართველ-ფრანგ დიმიტრი იაშვილის "ბიარიცთან" მინიმალური სხვაობით - 9:10 დამარცხდა. გიორგაძე ძირითად შემადგენლობაში იყო და მოედანზე 66 წუთი გაატარა, იაშვილმა კი სრულად ითამაშა.

შეხვედრა მასპინძელთათვის ცუდად დაიწყო, მე-10 წუთზე ლელო გაუშვა და იაშვილმა გარდასახვა ზუსტად შეასრულა, 23-ე წუთზე კი მანვე ჯარიმით ანგარიში 10:0 გახადა. კასტრელებმა სტუმრებს ორ წუთში ჯარიმითვე უპასუხეს. ტაიმის მიწურულს კიდევ ერთი ჯარიმით ანგარიში 6:10 გახადეს. მასპინძლებმა მორიგი ჯარიმა 72-ე წუთზე გაიტანეს და სხვაობის მინიმუმამდე შემცირებით მოგების შანსიც მიეცათ. მაგრამ ეს იყო და ეს. 7 და ნაკლები სხვაობით მარცხისათვის მიღებული პრემიელური ერთი ქულით, კასტრელებს მთლიანობაში 22 ქულა მოუგროვდათ და სატურნირო ცხრილში მე-12 ადგილზე არიან. მათგან განსხვავებით "ბიარიცის" ანგარიშზე 30 ქულაა, რამაც იაშვილის გუნდი მეცხრე ადგილამდე დააწინაურა.

სხვათა შორის, კასტრელებს ბოლო დროს თამაში არ მისდით. უფრო სწორად, ხუთი თამაშია აღარ მოუგიათ – ოთხი წაგება და ერთიც ფრე.

ირაკლი გიორგაძის "დაქსი" (ქართველი განაცხადში არ იყო), საკუთარ მოედანზე რეგულარული პირველობის ლიდერ "ტულუზთან" 9:25 დამარცხდა. სტუმრები არეკნით და ჯარიმით მეხუთე წუთისთვის 6:0 კი დაწინაურდნენ, მაგრამ მასპინძლებმა მერვე წუთზე არეკნითვე უპასუხეს და სხვაობა შეამცირეს. 23-ე წუთზე კი ჯარიმით ანგარიშიც გაათანაბრეს და ტაიმი 6:6 დაასრულეს. მეორე ტაიმში დაქსელები ტულუზელთა შემოტევას ველარ გაუმკლავდნენ და შედეგად წაგება იგემეს.

"დაქსი" ზედიზედ მესამედ დამარცხდა და 26 ქულით მე-10 ადგილზეა.

მე-15 ტურის დანარჩენ ორ შეხვედრაში, სატურნირო ცხრილის მეორე საფეხურზე მყოფმა "სტად ფრანსემ", ბოლოდან მეორე ადგილზე მყოფ "მონ დე მარსანს" სტუმრად 13:6 სძლია.

ამავე ტურში "პერპინიანი", რომელიც დღეისათვის მესამე ადგილზეა, "ბურგონი" 40:14 დაამარცხა, ლიდერს კი სულ რაღაც ხუთი ქულით ჩამორჩება.

# დებიუტი დებიუტად დარჩა

## საქართველო ლიდერთან დამარცხდა

*საქართველოს ქალ ფრენბურთელთა ნაკრები, რომელიც ტალინში მისთვის სადებიუტო მსოფლიოს ჩემპიონატის პირველ საკვალიფიკაციო ეტაპზე თამაშობს, მასპინძლებთან ესტონელებთან 0:3 წაგებისა და შემდგომ უკვე დანიელებთან 3:1 მოგების შემდეგ, გუშინ მოლდაველებთან 0:3 (9:25, 8:25, 13:25) დამარცხდა.*

ბრაზილიელი ლეგიონერებით (ქრისტინა სანტანა და ანდრესა ჩაგასი, ცნობილი როგორც საქართველო) გაძლიერებულმა ქართველმა გოგონებმა პირველი მატჩი 9 იანვარს ესტონეთთან 0:3 (17:25, 20:25, 14:25) დათმეს, თუმცა ძალების მოკრება შეძლეს და მეორე შეხვედრაში 10 იანვარს დანია 3:1 (25:18, 19:25, 25:23, 25:15) დაამარცხეს.

საქართველოს ნაკრებს გუშინ საკვალიფიკაციო ეტაპის მესამე მატჩის ჩატარება მოუწია ჯგუფის ლიდერ მოლდავეთის ნაკრებთან, რომელმაც თავის მხრივ ერთი დღით ადრე ესტონელები 3:2 დაამარცხა.

საქართველოს ნაკრებს მოლდავეთზე გამარჯვების შემთხვევაში ჯგუფში პირველ ადგილზე გასვლის შანსს შეინარჩუნებდა, მაგრამ ფაქტია, შანსი გამოუყენებელი დარჩა. საქმე ისაა, რომ ჯგუფიდან შემდგომ, უფრო სწორად, მეორე საკვალიფიკაციო ეტაპზე მხოლოდ ჯგუფის გამარჯვებული ნაკრები გადის.

იმის გათვალისწინებით, რომ მოლდოვას ნაკრებს ჯერ შეხვედრა არ წაუგია, შემდგომ ეტაპზე გამსვლელთა შორისაც სწორედ მათი ნაკრები მოიაზრება.

**მსოფლიოს ჩემპიონატის პირველი საკვალიფიკაციო ეტაპი. 9-11 იანვარი, ტალინი**

**9 იანვარი**

| | |
|---|---|
| დანია - მოლდოვა | 0:3 |
| საქართველო - ესტონეთი | 0:3 |

**10 იანვარი**

| | |
|---|---|
| საქართველო - დანია | 3:1 |
| ესტონეთი - მოლდოვა | 2:3 |

**11 იანვარი**

| | |
|---|---|
| საქართველო – მოლდოვა | 0:3 |
| დანია - ესტონეთი | |

### ვერონი იტალიაში დაბრუნებას ლამობს

33 წლის არგენტინელ ნახევარმცველს ხუან სებასტიან ვერონს, რომელიც "ესტუდიანტესის" საკუთრებაა, რომის "ლაციოში" დაბრუნება სურს. იტალიური კლუბის ხელმძღვანელებსა და არგენტინელი ფეხბურთელის მენეჯერს შორის კი გაიმართა საუბარი.

"ძალიან მინდა "ლაციოში" დაბრუნება. ამ გუნდთან ერთად ხომ "სკუდეტო" და იტალიის სუპერთასი მოვიგე. საერთოდ, "ლაციოს" შემადგენლობაში გატარებულ პერიოდს მუდამ დიდი სიამოვნებით ვიხსენებ. უბედნიერესი ადამიანი ვიქნები, თუ კლუბის ხელმძღვანელობასთან შეთანხმებას მივაღწევ და რომაელთა ცისფერ მაისურს მოვირგებ", - განაცხადა არგენტინელმა ნახევარმცველმა.

### ამაურის იტალიელობა არ უწერია

როგორც ჩანს, ტურინის "იუვენტუსის" ბრაზილიური წარმოშობის ფორვარდი კარვალიო ამაური ვერ შეძლებს თავისი ოცნების ასრულებას - ითამაშოს იტალიის ნაკრების შემადგენლობაში. მიზეზი, ის არის, რომ მან ვერ მიიღო აპენინური ქვეყნის მოქალაქეობა. ბოლო ორი წლის განმავლობაში პრესაში ხშირად ჩნდებოდა ინფორმაცია, რომ ამაური მალე მიიღებდა იტალიურ პასპორტს, მაგრამ ეს დღე არა და არ დადგა. ახლა კი 28 წლის ბრაზილიელს ბოლო იმედიც გადაეწურა.

საქმე ის არის, რომ ამაურის მეუღლემ სინტია კოზინი ვალადერესმა ვერ შეძლო იტალიელი ჩინოვნიკებისთვის დაემტკიცებინა, რომ ბოლო ათი წლის განმავლობაში ის აპენინებზე ცხოვრობდა. სადავო აღმოჩნდა 1998-2004 წლები, რადგან არ მოიძებნა არავითარი წერილობითი მტკიცებულება, რომელიც ვალადერესის იტალიაში ცხოვრებას დაადასტურებდა. სწორედ ამის გამო ვერ მიიღო ბრაზილიური წარმოშობის წყვილმა იტალიის მოქალაქეობა.

ასე რომ, ამაური, რომელსაც აქამდე ორ ეროვნულ ნაკრებში თამაშის პერსპექტივა ჰქონდა (რა თქმა უნდა, საბოლოოდ ორიდან ერთს აირჩევდა), მომავალში მხოლოდ ბრაზილიის ნაკრებში გამოძახების იმედად უნდა იყოს.

### ავსტრალიის ღია პირველობის საპრიზო ფონდი 12,3 პროცენტით გაიზარდა

ავსტრალიის ღია პირველობის ორგანიზატორებმა ტურნირის საპრიზო ფონდი, შარშანდელთან შედარებით, 12,3 პროცენტით ანუ 23,4 მილიონ ავსტრალიურ დოლარამდე გაზარდეს, რაც ამერიკულ დოლარებში 15,7 მილიონს უდრის.

ამ თანხიდან ერთეულთა შორის გამარჯვებულნი ავსტრალიურ დოლარებში 2 მილიონს, ესე იგი, ამერიკულში 1,344 მილიონს მიიღებენ, ხოლო ფინალისტები - 1 მილიონს, ესე იგი - 672 ათასს.

ორგანიზატორებმა ჯერ კიდევ ოქტომბერში განაცხადეს, რომ ერთეულთა შორის გამარჯვებულს, შარშანდელი 1,37 მლნ ავსტრალიური დოლარის ნაცვლად, 1,62 მილიონი ერგებოდა, მაგრამ იმის გამო, რომ მსოფლიო ფინანსურმა კრიზისმა მათი ვალუტაც მოაყანყალა, მათ გადაწყვიტეს საპრიზო თანხა 2 მილიონამდე გაეზარდათ.

ავსტრალიის ღია პირველობა 19 იანვრიდან 1 თებერვლამდე მელბურნში გაიმართება.

### ჩარლზ ბარკლი სიმთვრალისთვის დაისაჯა

კალათბურთის ნაციონალური ასოციაციის (NBA) ყოფილი სუპერვარსკვლავი ჩარლზ ბარკლი, რომელიც ამჟამად ამერიკულ ტელეარხ Turner Sports-ზე ანალიტიკოსად მუშაობს, ერთხანს ეთერში ვერ გავა.

მედიაკომპანიის ხელმძღვანელობამ ასეთი გადაწყვეტილება იმის გამო მიიღო, რომ კალათბურთის "დიდების დარბაზის" წევრი 31 დეკემბერს პოლიციამ ავტომობილის ნასვამ მდგომარეობაში მართვისთვის დააკავა.

ბარკლის სისხლში ალკოჰოლის რაოდენობა არიზონის შტატში დასაშვებ ნორმას ორჯერ აღემატებოდა. აუცილებელი პროცედურების გავლის შემდეგ კალათბურთელი გაათავისუფლეს. მოგვიანებით მან დანაშაული აღიარა და ბოდიში მოიხადა.

"ჩემთან საუბარში ბარკლიმ დანაშაული აღიარა, ბოდიში მოიხადა და მითხრა, რომ სიტუაციის სიმძიმეს სრულად ათვითცნობიერებს. ახლა მისთვის მნიშვნელოვანი პერიოდი დგება, რადგან ბარკლი წააწყდება როგორც იურიდიულ, ისე პირად პრობლემებს. ჩვენი მხრივ, შემიძლია გითხრათ, რომ მას ვაფასებთ და მისი კეთილდღეობით დაინტერესებული ვართ", - თქვა Turner Sports-ის პრეზიდენტმა დევიდ ლევიმ.



AFP ' 2009

*ჰოლანდიაში ეგმონდის სანაპიროს გასწვრივ, ამავე სანაპიროს სახელის მქონე მარათონი შემდგარა. ბევრი ირბინეს თუ ცოტა, ფინიშის ხაზი პირველს გადაუკვეთავს კენიელ უილსონ კიპსანგს. აშკარაა, შავი კონტინენტის წარმომადგენლებს მარათონში ბადალი არ ჰყავთ.*

ალმოსავლეთ გერმანიის ობერჰოფში მას-სტარტში ბიატლონისტთა მსოფლიო თასის მეოთხე ეტაპი დასრულებულა, სადაც დამაჯერებლად უმარჯვია ავსტრიელ კრისტოფ ზუმანს.

... ესტაფეტაში ამავე რანგის ასპარეზობის მესამე ეტაპზე (ჰოჰფილცენი) ავსტრიის ნკარების წარმატება ბევრმა შემთხვევითობად ალიქვა, მაგრამ ობერჰოფმა ცხადყო, რომ ავსტრიელთა მაშინდელი გამარჯვება შემთხვევითობა არ ყოფილა.

ისე, ერთია წარმატების მიღწევა ესტაფეტაში და მეორე ინდივიდუალურ რბოლაში. როგორც არ უნდა იყოს, ავსტრიელმა ზუმანმა ბოლო ორი წლის განმავლობაში პირველად მიაღწია წარმატებას. კრისტოფი კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე არ შემდგარა სლოვენიური ეტაპის შემდეგ (პოკლიუკე, 2006/2007).

ზუმანს ფეხდაფეხ მიყვნენ შვედი კარლ-იოჰან ბერგმანი და ნორვეგიელი ოლე ეინარ ბიორნდალენი.



AFP ' 2009

თვალის მიკროქირურგიის
ჯ ა ვ რ ი შ ვ ი ლ ი ს
კლინიკა
"ოფთალმიჯი"

ერთადერთი კლინიკა 8 ფილიალით და ერთი მოძრავი საოპერაციო ბლოკით

უკანასკნელი თაობის ასფერული მულტიფოკალური ბროლი Acrysof-ReSTOR კატარაქტის ქირურგიაში
საუკეთესო მხედველობა სათვალის გარეშე როგორც შორს, ისე ახლო მანძილზე

ტელეფონი: 54 53 53; 30 10 80




## ცვლილება ტენდერის ჩატარების შესახებ განცხადებაში

შეტანილ იქნეს ცვლილება ქალაქ თბილისის მერიის მიერ 2009 წლის 9 იანვრის გაზეთ - „24 საათში" აუდიტორული მომსახურების სახელმწიფო შესყიდვის მიზნით გამოქვეყნებულ ტენდერის ჩატარების შესახებ განცხადებაში, ამოღებულ იქნეს სიტყვა - „ორეტაპიანი" და განცხადების სათაური ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად:

ქ. თბილისის მერია აცხადებს ტენდერს აუდიტორული მომსახურების სახელმწიფო შესყიდვის მიზნით და იწვევს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ პირს.

**სატენდერო კომისია**

**1. უცხოურ კომპანიას ესაჭიროება დამლაგებელი, ანაზღაურება შეთანხმებით. მის: სადგური ლილო 51. ტელ: 40-72-36, 40-72-37.**

**2. უცხოურ კომპანიას ესაჭიროება მძღოლი საკუთარი ავტომანქანით, ასევე დისტრიბუტორი, ანაზღაურება შეთანხმებით. მის: სადგური ლილო 51. ტელ: 40-72-36, 40-72-37.**

**3. უცხოურ კომპანიას ესაჭიროება გამოცდილი ბუღლტერი, სამუშაო დღის სრული განაკვეთით, ანაზღაურება შეთანხმებით. მის: სადგური ლილო 51. ტელ: 40-72-36, 40-72-37.**

**4. უცხოურ კომპანიას ესაჭიროება დაცვის თანამშრომელი, აზერბაიჯანული ენის მცოდნე, ანაზღაურება შეთანხმებით. მის: სადგური ლილო 51. ტელ: 40-72-36, 40-72-37.**

### სიახლე!
### ყველას, ვისაც გაწუხებთ ხერხემლის დაავადებები!

სამკურნალო მასაჟისა და მანუალური თერაპიის გამოცდილი სპეციალისტი, ირაკლი ძიძიგური გთავაზობთ ხერხემლის დაავადებების მკურნალობისა და რეაბილიტაციის უახლეს, მაღალეფექტურ კინეზო-ფიზიოთერაპიულ კომპლექსს.

**მის. ი. ჭავჭავაძის 78**

**დავით ტატიშვილის აღდგენითი , მედიცინის ცენტრი ტელ: 293 - 292, (899) 222 - 912, (893) 65 38 39**

## მოწვევა ეროვნულ საკონკურსო ვაჭრობაზე

**საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი**
**სესხი: მუნიციპალური მომსახურების განვითარების პროექტი**
**კონტრაქტის ნომერი და სახელწოდება: P41198-NCB-1.04,**

**ქალაქ სენაკის წყალმომარაგების შიდა ქსელის ნაწილის რეაბილიტაციის პროექტი, სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონი**

**საკონკურსო წინადადებების წარმოდგენის ბოლო ვადა: 2009 წლის 11 თებერვალი**

საქართველოს მთავრობამ მიიღო აზიის განვითარების ბანკის (აგბ) სესხი **მუნიციპალური სერვისების განვითარების პროექტის** დასაფინანსებლად. აღნიშნული სესხის ნაწილი გამოყენებული იქნება **ქალაქ სენაკის წყალმომარაგების შიდა ქსელის ნაწილის რეაბილიტაციის პროექტის** დასაფინანსებლად. კონკურსში მონაწილოების მიღება შეუძლია ყველა მონაწილეს აგბ-ის უფლებამოსილი ქვეყნებიდან.

საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი („დამკვეთი") იწვევს საკონკურსო ვაჭრობაზე მონაწილეობის უფლების მქონე ორგანიზაციებს, რომელთაც უნდა წარმოადგინონ საკონკურსო წინადადებები დალუქულ კონვერტებში ***ქალაქ სენაკის წყალმომარაგების შიდა ქსელის ნაწილის რეაბილიტაციის პროექტის* განსახორციელებლად („სამუშაოები").**

სამუშაოები მოიცავს:
- სათავე ნაგებობებებზე ტუმბოების და ურდულების გამოცვლას;
- სატუმბო სადგურის რემონტს;
- სატუმბო სადგურში ახალი ტუმბოების მონტაჟს;
- საქლორატორო დანადგარის მოწყობას;
- 14 ქუჩაზე ქალაქის ქსელის რეაბილიტაციას.

კონტრაქტის განხორციელების პერიოდი შეადგენს 7 თვეს.

აღნიშნულ კონკურსში მონაწილეობის მიღება შეუძლია შემდეგი კვალიფიკაციების მქონე უფლებამოსილ კონკურსის მონაწილეებს:

- კონკურსანტს, როგორც გენერალურ კონტრაქტორს, ბოლო 5 წლის განმავლობაში წარმატებით უნდა ჰქონდეს განხორციელებული მინიმუმ ორი მსგავსი ტიპის სამუშაო, თითოეული არანაკლებ 500,000 ლარის ღირებულებით. სამუშაოთა სირთულე შედარებული იქნება საკონკურსო წინადადებით განსაზღვრულ სამუშაოებთან;
- საშუალო წლიური ბრუნვა ბოლო სამი წლის განმავლობაში უნდა იყოს მინიმუმ 1,500,000 ლარი;
- ლიკვიდური აქტივების და/ან კრედიტის მოზიდვის საშუალებების მოცულობა, სხვა საკონტრაქტო ვალდებულებებით განსაზღვრული საკრედიტო საშუალებების გარდა, უნდა შეადგენდეს 160,000 ლარის ექვივალენტს. კონკურსის მონაწილემ უნდა უზრუნველყოს დოკუმენტური მტკიცებულება იმის თაობაზე, რომ მისი ფინანსური მდგრადობა არ არის შემოთავაზებული საკონკურსო წინადადების ფასზე ნაკლები;
- კონკურსის მონაწილემ უნდა აჩვენოს, რომ მისი ძირითადი პერსონალი აკმაყოფილებს მოთხოვნილ კვალიფიკაციას: მსგავსი ტიპის პროექტებში მინიმუმ 10 წლიანი სამუშაო გამოცდილება;
- კონკურსის მონაწილე უნდა ფლობდეს საკონკურსო დოკუმენტაციაში მითითებულ სამუშაოების განხორციელებისთვის აუცილებელ მანქანა-დანადგარებს, ან ვალდებულია უზრუნველყოს მათი ხელმისაწვდომობა. აღნიშნული აღჭურვილობა უნდა იყოს მუშა მდგომარეობაში და უნდა შეძლონ აღნიშნულის დემონსტრირება.

ეროვნული საკონკურსო ვაჭრობა ჩატარდება აზიის განივთარების ბანკის ერთეტაპიანი პროცედურის შესაბამისად: შერჩევა ერთი კონვერტის სატენდერო პროცედურების მიხედვით.

დაინტერესებულ კონკურსის მონაწილეებს დამატებითი ინფორმაციის მიღება და საკონურსო დოკუმენტაციის ნახვა შეუძლიათ ქვემოთ მითითებულ მისამართზე 10:00-დან 17:00 სააათამდე (შაბათ-კვირის გარდა):

უფლებამოსილი პირი: ბ-ნი ლაშა გოცირიძე, მგფ-ს აღმასრულებელი დირექტორი,
საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი
მისამართი: დავით აღმაშენებლის გამზ. N150 (გარემოს ეროვნული სააგენტოს შენობა),
III სართული, 0112, თბილისი, საქართველო,
ტელ: 995 32 30 61 89
ელ. ფოსტა: procurement@mdf.org.ge

დაინტერესებულ უფლებამოსილ კონკურსის მონაწილეებს საკონკურსო დოკუმენტაციის სრული პაკეტების შეძენა შეუძლიათ ზემოთ მოცემულ მისამართზე წერილობითი განაცხადის წარმოდგენისა და არანაზღაურებადი 200 ლარის გადახდის შემდეგ. გადახდის მეთოდს წარმოადგენს პირდაპირი დეპოზიტის ან ტრანსფერის განხორციელება შემდეგ ანგარიშზე:

**მოსარგებლის სახელი: საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი**
**საიდენთიფიკაციო კოდი: 206 074 193**
**მოსარგებლე ბანკი: რესპუბლიკა ბანკი, ცენტრალური ფილიალი, გრ. აბაშიძის ქ. N2, თბილისი, საქართველო**
**ბანკის კოდი: 220 101 757**
**უცხოური ვალუტის ანგარიშის ნომერი: 341 800 01 (აშშ დოლარი)**
**ადგილობრივი ვალუტის ანგარიშის ნომერი: 340 800 01 (ქართული ლარი)**
**SWIFT Code: EPLGE22 C/A No.: 04-414-550 with Deutsche Bank Trust Company Americas, NY**
**SWIFT Code: BKTRUS33, ABA#021001033, CHIPS UID: 379104**

ყველა საკონკურსო წინადადებას თან უნდა ახლდეს გარანტია 12,000 ლარის ან აღნიშნულის ექვივალენტის ოდენობით თავისუფლად კონვერტირებად ვალუტში და წარმოდგენილი უნდა იყოს ზემოთ მოცემულ მისამართზე არა უგვიანეს **2009 წლის 11 თებერვლის 12:00 საათისა**.

საკონკურსო წინადადებების გახსნა მოხდება **2009 წლის 11 თებერვალს, 12:00 საათზე** იმ კონკურსის მონაწილეთა თანდასწრებით, რომელნიც მოისურვებენ აღნიშნულ პროცედურაზე დასწრებას.

დაგვიანებული წინადადებები არ განიხილება.

# განცხადება ტენდერის ჩატარების შესახებ

ქ. თბილისის მერია (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7) აცხადებს ტენდერს ქ. თბილისში, ქუჩების (გზის საფარის) კაპიტალური შეკეთების სამუშაოების სახელმწიფო შესყიდვაზე და იწვევს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ პირს.

**1. შესყიდვის ობიექტი -** ქ. თბილისში, ქუჩების (გზის საფარის) კაპიტალური შეკეთება.

**შესყიდვის ობიექტი დაყოფილია 6 (ექვსი) ლოტად:**

**ლოტი N1 -** ქ. თბილისში, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ადმინისტრაციული კორპუსის უკან მდებარე სკოლასთან მისასვლელი გზის საფარის კაპიტალური შეკეთება;

**ლოტი N2 -** ქ. თბილისში, ლეკიშვილის ქუჩის კაპიტალური შეკეთება;

**ლოტი N3 -** ქ. თბილისში, ქერჩის ქუჩის კაპიტალური შეკეთება;

**ლოტი N4 -** ქ. თბილისში, აეროპორტის დასახლებასთან მისასვლელი გზის საფარის კაპიტალური შეკეთება;

**ლოტი N5 -** ქ. თბილისში, ლარეხის ქუჩის კაპიტალური შეკეთება;

**ლოტი N6 -** ქ. თბილისში, ქსნის ქუჩის კაპიტალური შეკეთება;

***შესრულების სავალდებულო ვადა: ლოტი N1; N5 - ეტაპობრივად, ხელშეკრულების გაფორმებიდან არაუგვიანეს 2 (ორი) თვე; ლოტი N3; N4; N6 - ეტაპობრივად, ხელშეკრულების გაფორმებიდან არაუგვიანეს 3 (სამი) თვე; ლოტი N2 - ეტაპობრივად, ხელშეკრულების გაფორმებიდან არაუგვიანეს 4 (ოთხი) თვე;***

2. სატენდერო წინადადება და საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა იყოს შედგენილი ქართულ ენაზე და წარმოდგენილი დედნის ან ნოტარიულად დამოწმებული ასლების სახით სატენდერო კომისიის აპარატში 2009 წლის 02 თებერვლის 11:00 საათიდან 2009 წლის 02 თებერვლის 16.00 საათამდე, მისამართზე: **ქ.თბილისი, ჟ. შარტავს ქუჩა N7, მეორე სართული, ქ. თბილისის მერიის მუნიციპალური შესყიდვების საქალაქო სამსახური**.

3. პრეტენდენტის საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ მოთხოვნებს:

**3.1 იურიდიული პირისათვის:**

ა) ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან;

ბ) ცნობა სასამართლოდან, რომ იურიდიული პირის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების ან რეაბილიტაციის საქმის წარმოება;

გ) ცნობა საგადასახადო ინსპექციიდან, რომ არ ხორციელდება იურიდიული პირის რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია;

დ) ცნობა საჯარო რეესტრის სააგენტოს ადგილობრივი ორგანოდან, რომ იურიდიული პირის ქონებაზე არ არის დადებული ყადაღა.

ე) ცნობა საგადასახადო ინსპექციიდან იურიდიული პირის რეგისტრაციის ადგილის მიხედვით, ბიუჯეტის წინაშე დავალიანების არარსებობის შესახებ.

ვ) ცნობა მომსახურე ბანკიდან საბანკო ანგარიშზე ყადაღის (ინკასოს) არარსებობის შესახებ.

**3.2. ფიზიკური პირისათვის:**

ა) ცნობა უფლებამოსილი სამედიცინო დაწესებულებიდან, რომ ფიზიკური პირი ქმედუნარიანია;

ბ) ცნობა, რომ ფიზიკური პირის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების საქმის წარმოება;

გ) ცნობა საგადასახადო ინსპექციიდან ბიუჯეტის წინაშე დავალიანების არარსებობის შესახებ.

დ) ცნობა მომსახურე ბანკიდან საბანკო ანგარიშზე ყადაღის (ინკასოს) არარსებობის შესახებ.

**3.3 როგორც იურიდიული, ასევე ფიზიკური პირისათვის:**

ა) ინფორმაცია მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შესახებ;

ბ) ინფორმაცია პერსონალის კვალიფიციკაციის და გამოცდილების შესახებ, მ. შ. ანალოგიური საქმიანობის სფეროში;

გ) ინფორმაცია უკანასკნელი პერიოდის განმავლობაში განხორციელებული ან მოცემულ პერიოდში მიმდინარე ანალოგიური მიწოდების შესახებ;

დ) ინფორმაცია ფინანსური შესაძლებლობების შესახებ: პრეტენდენტს უნდა გააჩნდეს ფულადი სახსრები არანაკლებ მისი სატენდერო წინადადების საერთო ღირებულების 10%-სა ან უნდა ჰქონდეს გახსნილი საკრედიტო ხაზი აღნიშნულ თანხაზე: ცნობა მომსახურე ბანკიდან ან კრედიტის გამცემი დაწესებულებიდან.

4.პრეტენდენტების მიერ განცხადების მე-3 პუნქტის შესაბამისად წარმოდგენილი საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები საკვალიფიკაციო შერჩევის დროს შემდგომ დაზუსტებას არ ექვემდებარება.

*შენიშვნა: სამუშაოების შესასრულებლად სუბ-კონტრაქტორ(ებ)ის აყვანის შემთხვევაში, პრეტენდენტის მიერ წარმოდგენილი უნდა იყოს ასევე სუბ-კონტრაქტორ(ებ)ის საკვალიფიკაციო მონაცემები მე-3 მუხლის მიხედვით;*

*ზემოთაღნიშნული საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები უნდა იყოს გაცემული/შედგენილი წინამდებარე განცხადების გამოქვეყნების თარიღის შემდგომ პერიოდში.*

5.თუ პრეტენდენტის მიერ წარმოდგენილი საკვალიფიკაციო მონაცემები ყალბი აღმოჩნდება, ან ვერ დააკმაყოფილებს საკვალიფიკაციო მოთხოვნებს, სატენდერო კომისიას უფლება აქვს მოახდინოს ამ პირის დისკვალიფიკაცია შესყიდვის ნებისმიერ ეტაპზე, სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულების დადებამდე.

6.სატენდერო მოსაკრებელი 200 ლარის ოდენობით უნდა იყოს გადახდილი შემდეგ რეკვიზიტებზე:

**მიმღების დასახელება**: ერთიანი ანგარიში არასაგადასახადო, მიმღების ბანკი: სახელმწიფო ხაზინა, ანგარიში: N200122900, ბანკის კოდი: 220101222; საბიუჯეტო შემოსავლის სახაზინო კოდი: თბილისი 300773174.

**გადახდის დანიშნულება** - სატენდერო მოსაკრებელი, **ქ. თბილისში, ქუჩების (გზის საფარის) კაპიტალური შეკეთების სამუშაოების (6 ლოტიანი)** სახელმწიფო შესყიდვის ტენდერი, ქ. თბილისის მერია.

7.სატენდერო დოკუმენტაცია (ქართულ ენაზე) გაიცემა 2009 წლის 12 იანვრიდან 2009 წლის 02 თებერვლის 11:00 საათამდე სატენდერო კომისიის აპარატში ზემოთ აღნიშნულ მისამართზე გადახდის დამადასტურებელი საბუთის წარმოდგენის შემდგომ. ტენდერში მონაწილეობის მიღების მსურველ პირს ზემოაღნიშნულ მისამართზე უფლება აქვს სატენდერო მოსაკრებლის გადახდამდე გაეცნოს სატენდერო დოკუმენტაციას, რომელიც შედგენილ იქნება ქართულ ენაზე.

8.პრეტენდენტმა უნდა წარმოადგინოს ერთი სატენდერო წინადადება. ალტერნატიული წინადადებები არ განიხილება. ტენდერის შედეგად გამოვლინდება ერთი ან რამდენიმე გამარჯვებული.

9. ტენდერში გამოყენებული იქნება სატენდერო წინადადების უზრუნველყოფის მექანიზმი (საბანკო გარანტია, სატენდერო წინადადების ღირებულების 1%-ზე)

10. ტენდერში გამოყენებული იქნება ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის მექანიზმი (საბანკო გარანტია, ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 2%-ზე).

11.შენიშვნა: არარეზიდენტმა ფიზიკურმა/იურიდიულმა პირებმა უნდა წარმოადგინონ თავიანთი ქვეყნის უფლებამოსილი ორგანოების მიერ გაცემული საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები, რომლებსაც თან უნდა დაერთოს ნოტარიულად დამოწმებული თარგმანი ქართულ ენაზე.

12. დამატებითი ინფორმაციის მისაღებად მიმართეთ სატენდერო კომისიის აპარატს ზემოთაღნიშნულ მისამართზე, მარიამ ცენტერაძე, ტელეფონი - (995-32) 37-85-72

**სატენდერო კომისია**


## პაციენტების საყურადღებოდ !

დავით ტატიშვილის სამედიცინო ცენტრი გთავაზობთ **ულტრასონოგრაფიის** (ექოსკოპიის) მიმართულებით ბოლო თაობის, 2008 წლის აპარატურას და უახლეს **ექოსკოპიურ** ტექნოლოგიებს, რომელთა გამოყენებით ტარდება **ექოსკოპიური** გამოკვლევები კლინიკური მედიცინის ყველა მიმართულებით.

პაციენტების მიღება წარმოებს წინასწარი ჩაწერით.

მიღების საათებია: ორშაბათიდან პარასკევის ჩათვლით - 9 სთ-დან 18 სთ-მდე, შაბათს - 9 სთ-დან 15 სთ-მდე.

მის.: დავით ტატიშვილის
სამედიცინო ცენტრი თბილისი, თენგიზ აბულაძის 20
(ვაკე, „სამების“ ეკლესიის უკან)
**ტელ.: 91 31 19; 91 32 42;**

## თვალის მიკროქირურგიის
## ჯ ა ვ რ ი შ ვ ი ლ ი ს
## კლინიკა
## "ოფთალმიჯი"

ერთადერთი კლინიკა 8 ფილიალით
და ერთი მოძრავი საოპერაციო
ბლოკით

უკანასკნელი თაობის ასფერული მულტიფოკალური
ბროლი Acrysof-ReSTOR
კატარაქტის ქირურგიაში
საუკეთესო მხედველობა
სათვალის გარეშე როგორც შორს, ისე ახლო მანძილზე
ტელეფონი: 54 53 53; 30 10 80

## დავით ტატიშვილის სამედიცინო ცენტრის
## პედიატრიული სამსახური
### მედიცინის მეცნიერებათა დოქტორის,
### პროფესორ ქეთევან ბარაბაძის
### ხელმძღვანელობით გთავაზობთ:

- ბავშვთა მწვავე და ქრონიკული დაავადებების დროულ, ზუსტ დიაგნოსტიკასა და მკურნალობას მსოფლიოში აღიარებული სტანდარტების შესაბამისად უახლესი ლაბორატორიული, ექოსკოპიური, ენდოსკოპიური, ელექტროენცეფალოგრაფიული, რენტგენოლოგიური, კომპიუტერულ ტომოგრაფიული და სხვა მეთოდების გამოყენებით
- დღის სტაციონარს თანამედროვე ლაბორატორიულ-ინსტრუმენტული კვლევებისა და მკურნალობისთვის საჭირო მანიპულაციების სრული კომპლექსით
- ბავშვთა ვაქცინაციას უმაღლესი ხარისხის კომბინირებული ვაქცინებით, რაც უზრუნველყოფს მყარ იმუნიტეტს აცრის შემდგომი გართულებების მინიმუმამდე დაყვანით

**ბავშვთა მოვლისა და მკურნალობის ნებისმიერ საკითხზე**
**მიმართეთ პედიატრიულ სამსახურს**
მის.: დავით ტატიშვილის სამედიცინო ცენტრი
თბილისი, თენგიზ აბულაძის 20
(ვაკე, „სამების“ ეკლესიის უკან)
**ტელ.: 91 31 19; 91 32 42; (893) 28 24 20;**

# განცხადება ტენდერის ჩატარების შესახებ

ქ. თბილისის მერია (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7) აცხადებს ტენდერს ქ. თბილისში, კორპუსების გამაგრება-გაძლიერების სამუშაოების სახელმწიფო შესყიდვაზე და იწვევს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ პირს.

**1. შესყიდვის ობიექტი -** ქ. თბილისში, კორპუსების გამაგრება-გაძლიერება.

**შესყიდვის ობიექტი დაყოფილია 8 (რვა) ლოტად:**

**ლოტი N1 -** ქ. თბილისში, თემქის დასახლება III მ/რ, II კვარტალი, N30 კორპუსის გამაგრება-გაძლიერება (II ეტაპი);

**ლოტი N2 -** ქ. თბილისში, თემქის დასახლება III მ/რ, II კვარტალი, N36 კორპუსის გამაგრება-გაძლიერება (II ეტაპი);

**ლოტი N3 -** ქ. თბილისში, თემქის დასახლება IV მ/რ, N5ა კორპუსის გამაგრება-გაძლიერება (II ეტაპი);

**ლოტი N4 -** ქ. თბილისში, ასათიანის ქუჩა N12-ში მდებარე კორპუსის გამაგრება-გაძლიერება (IV ეტაპი);

**ლოტი N5 -** ქ. თბილისში, ვარკეთილი 3, I მ/რ; N26 კორპუსის გამაგრება-გაძლიერება (III ეტაპი);

**ლოტი N6 -** ქ. თბილისში, ვარკეთილი 3, II მ/რ; N2 კორპუსის გამაგრება-გაძლიერება (IV ეტაპი);

**ლოტი N7 -** ქ. თბილისში, ვარკეთილი 3, II მ/რ; N329-330 კორპუსების გამაგრება-გაძლიერება (IV ეტაპი);

**ლოტი N8 -** ქ. თბილისში, ვარკეთილი 3, III მ/რ; N301 კორპუსის გამაგრება-გაძლიერება (II ეტაპი);

*შესრულების სავალდებულო ვადა: ლოტი **N1; N5** - ეტაპობრივად, ხელშეკრულების გაფორმებიდან არაუგვიანეს 7 (შვიდი) თვე; ლოტი **N2** - ეტაპობრივად, ხელშეკრულების გაფორმებიდან არაუგვიანეს 4 (ოთხი) თვე; ლოტი **N3** - ეტაპობრივად, ხელშეკრულების გაფორმებიდან არაუგვიანეს 2 (ორი) თვე; ლოტი **N4; N8** - ეტაპობრივად, ხელშეკრულების გაფორმებიდან არაუგვიანეს 6 (ექვსი) თვე; ლოტი **N6** - ეტაპობრივად, ხელშეკრულების გაფორმებიდან არაუგვიანეს 8 (რვა) თვე; ლოტი **N7** - ეტაპობრივად, ხელშეკრულების გაფორმებიდან არაუგვიანეს 5 (ხუთი) თვე;*

2. სატენდერო წინადადება და საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა იყოს შედგენილი ქართულ ენაზე და წარმოდგენილი დედნის ან ნოტარიულად დამოწმებული ასლების სახით სატენდერო კომისიის აპარატში 2009 წლის 02 თებერვლის 11:00 საათიდან 2009 წლის 02 თებერვლის 16.30 საათამდე, მისამართზე: **ქ.თბილისი, ჟ. შარტავს ქუჩა N7, მეორე სართული, ქ. თბილისის მერიის მუნიციპალური შესყიდვების საქალაქო სამსახური**.

3. პრეტენდენტის საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ მოთხოვნებს:

**3.1 იურიდიული პირისათვის:**

ა) ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან;

ბ) ცნობა სასამართლოდან, რომ იურიდიული პირის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების ან რეაბილიტაციის საქმის წარმოება;

გ) ცნობა საგადასახადო ინსპექციიდან, რომ არ ხორციელდება იურიდიული პირის რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია;

დ) ცნობა საჯარო რეესტრის სააგენტოს ადგილობრივი ორგანოდან, რომ იურიდიული პირის ქონებაზე არ არის დადებული ყადაღა.

ე) ცნობა საგადასახადო ინსპექციიდან იურიდიული პირის რეგისტრაციის ადგილის მიხედვით, ბიუჯეტის წინაშე დავალიანების არარსებობის შესახებ.

ვ) ცნობა მომსახურე ბანკიდან საბანკო ანგარიშზე ყადაღის (ინკასოს) არარსებობის შესახებ.

**3.2. ფიზიკური პირისათვის:**

ა) ცნობა უფლებამოსილი სამედიცინო დაწესებულებიდან, რომ ფიზიკური პირი ქმედუნარიანია;

ბ) ცნობა, რომ ფიზიკური პირის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების საქმის წარმოება;

გ) ცნობა საგადასახადო ინსპექციიდან ბიუჯეტის წინაშე დავალიანების არარსებობის შესახებ.

დ) ცნობა მომსახურე ბანკიდან საბანკო ანგარიშზე ყადაღის (ინკასოს) არარსებობის შესახებ.

**3.3 როგორც იურიდიული, ასევე ფიზიკური პირისათვის:**

ა) ინფორმაცია მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შესახებ;

ბ) ინფორმაცია პერსონალის კვალიფიციკაციის და გამოცდილების შესახებ, მ. შ. ანალოგიური საქმიანობის სფეროში;

გ) ინფორმაცია უკანასკნელი პერიოდის განმავლობაში განხორციელებული ან მოცემულ პერიოდში მიმდინარე ანალოგიური მიწოდების შესახებ;

დ) ინფორმაცია ფინანსური შესაძლებლობების შესახებ: პრეტენდენტს უნდა გააჩნდეს ფულადი სახსრები არანაკლებ მისი სატენდერო წინადადების საერთო ღირებულების 10%-სა ან უნდა ჰქონდეს გახსნილი საკრედიტო ხაზი აღნიშნულ თანხაზე: ცნობა მომსახურე ბანკიდან ან კრედიტის გამცემი დაწესებულებიდან.

4.პრეტენდენტების მიერ განცხადების მე-3 პუნქტის შესაბამისად წარმოდგენილი საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები საკვალიფიკაციო შერჩევის დროს შემდგომ დაზუსტებას არ ექვემდებარება.

*შენიშვნა: სამუშაოების შესასრულებლად სუბ-კონტრაქტორ(ებ)ის აყვანის შემთხვევაში, პრეტენდენტის მიერ წარმოდგენილი უნდა იყოს ასევე სუბ-კონტრაქტორ(ებ)ის საკვალიფიკაციო მონაცემები მე-3 მუხლის მიხედვით;*

*ზემოთაღნიშნული საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები უნდა იყოს გაცემული/შედგენილი წინამდებარე განცხადების გამოქვეყნების თარიღის შემდგომ პერიოდში.*

5.თუ პრეტენდენტის მიერ წარმოდგენილი საკვალიფიკაციო მონაცემები ყალბი აღმოჩნდება, ან ვერ დააკმაყოფილებს საკვალიფიკაციო მოთხოვნებს, სატენდერო კომისიას უფლება აქვს მოახდინოს ამ პირის დისკვალიფიკაცია შესყიდვის ნებისმიერ ეტაპზე, სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულების დადებამდე.

6.სატენდერო მოსაკრებელი 200 ლარის ოდენობით უნდა იყოს გადახდილი შემდეგ რეკვიზიტებზე:

**მიმღების დასახელება**: ერთიანი ანგარიში არასაგადასახადო, მიმღების ბანკი: სახელმწიფო ხაზინა, ანგარიში: N200122900, ბანკის კოდი: 220101222; საბიუჯეტო შემოსავლის სახაზინო კოდი: თბილისი 300773174.

**გადახდის დანიშნულება** - სატენდერო მოსაკრებელი, **ქ. თბილისში, კორპუსების გამაგრება-გაძლიერების სამუშაოების (8 ლოტიანი)** სახელმწიფო შესყიდვის ტენდერი, ქ. თბილისის მერია.

